

უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

# ბიზნესი კანონმდებლობა



№1 იანვარი-მარტი 2016



№1 January-March 2016

[www.b-k.ge](http://www.b-k.ge)  
[info@iverioni.com.ge](mailto:info@iverioni.com.ge)



# Business & Law

# ბიზნესი და კანონმდებლობა

№1 იანვარი-  
მარტი 2016

## საქართველო,

ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი  
რეგისტრირებულია 2008 წლიდან

**WWW.B-K.GE**

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. უამრავი სტატიების უინაარსუზო და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

### ნაქვემოთ მისაღწივად:

თბილისი, კოსტავას ქ. 6. სართული 3.  
ტელ: 293-53-20, 599 56-14-57, 599 34-64-27  
ვებ გვერდი: [www.b-k.ge](http://www.b-k.ge)  
e-mail: [info@iverioni.com.ge](mailto:info@iverioni.com.ge), [gfaafm@gmail.com](mailto:gfaafm@gmail.com)

### საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;  
ბანკის კოდი: BAGAGE22;  
ა/ა GE30BG000000850902700; ს/კ 404956455.

## გამომცემელი:

საქართველოს აუდიტორთა, ხელაღმართა  
და უინანსური მენეჯერთა უნივერსიტეტი,  
საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“

## რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაურ ნაჭყვიაძე

## მთავარი რედაქტორი:

იური პავასიძე, ეკ. მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესორი

## პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილინა ალაშვილი

## ტექნიკური რედაქტორი:

ლევან ბოჭორიშვილი

## საგარეო საბჭო:

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

იანა მესხია, ნოდარ ჭითანავა, ელგუჯა მექვაბიშვილი,  
პაატა კოლუაშვილი, ნოდარ ხადური, ნატო კაკაშვილი, ნანა შონია,  
დავით ჯალაღონია, თემურ ხომერიკი, კოტე აბულაძე,  
ნიკოლოზ ჩიხლაძე, ლარისა თაკალანძე, გიორგი ღვინია, ლია ელიავა, და-  
ვით ჭიოტაშვილი, სულიკო ფუტყარაძე, დემნა კვარაცხელია,  
ანზორ მესხიშვილი, ბორის ჭიჭინაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი  
ანდრეას სილაგაძე.

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი  
ჯემალ ბახუაძე.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
ბურაკ ნაჭყვიაძე.

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
მამუკა თავაძე.

როზარტ მ. მამუკა (აშშ ფაქტევილის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის, პროფესორი)

ვინსენტ რ. ჯონსონი (სანტ-მარის უნივერსიტეტის სამართლის  
პროფესორი, სან ანტონიო, ტეხასი, აშშ)

ანტონი მ. დენსი (ნორტვესტრალის უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის  
პროფესორი, პრესკოტის ველი, არიზონა, აშშ)

ბერნარდ ზიბლერი (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),

იოჰან ფიშერი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

ალი ალერაჰი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

მარი ლანგი (EFAA-ს ტექნიკური დირექტორი).

ანნა კარმანსკა (პროფესორი, EFAA-ს გამგეობის წევრი,  
ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლის ბუღალტრული  
აღრიცხვის კათედრის ხელმძღვანელი).

ალექსანდრე რუჟი (რუსეთის ფედერაციის ბუღალტრულ ექსპერტთა და  
ფინანსურ აუდიტორთა გილდიის გამგეობის თავმჯდომარე, აუდიტორულ  
საკონსულტაციო ჯგუფის „რუსეთი/ინაუდიტ ალიანსის“ გენერალური  
დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე).

ლილია ბრიგორი (ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი,  
მოლდოვეთის ეკონომიკური მეცნიერებათა აკადემიის  
ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

ფადრიკო დიომედა (დოქტორი, EFAA-ს პრეზიდენტის  
საგანგებო მრჩეველი).

რობინ იარპერსი, (პროფესორი, ASSA-ის საგანგებო მრჩეველი).

# BUSINESS & LAW

№1 JANUARY-  
MARCH 2016

SCIENTIFIC,  
ANALYTICAL-PRACTICAL JOURNAL  
Referenced since 2008

**WWW.B-K.GE**

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

**ADDRESS OF EDITORIAL BOARD:**

Tbilisi, Kostava str. 6.

Tel: 293-53-20, 599 56-14-57, 599 34-64-27

URL: [www.b-k.ge](http://www.b-k.ge)

e-mail: [info@iverioni.com.ge](mailto:info@iverioni.com.ge), [gfaafm@gmail.com](mailto:gfaafm@gmail.com)

**Bank details:**

JSC Bank of Georgia

Bank code: BAGAGE22

c/a GE30BG000000850902700 i/c 404956455

**PUBLISHERS:**

**THE FEDERATION OF AUDITORS, ACCOUNTANTS  
AND FINANCIAL MANAGERS OF GEORGIA;  
INFORMATION – ANALYTICAL AGENCY  
„IVERIONI“**

**CHAIRMAN OF THE BOARD OF EDITORS:**

**ZAUR NACHKEBIA**

**EDITOR - IN – CHIEF**

**IURI PAPASQUA, Doctor of Economics, Professor**

**EDITOR – IN – CHARGE**

**ILONA ADAMIA**

**TECHNICAL DIRECTOR:**

**LEVAN BOCHORISHVILI**

**EDITORIAL BOARD:**

**DOCTORS OF ECONOMICS, PROFESSORS:**

Iasha Meskhia, Nodar Chitanava, Elguja Mekvabishvili, Paata Koguashvili, Nodar Khaduri, Nato Kakashvili, Nana Shonia, Davit Djalagonia, Temur Khomeriki, Kote Abuladze, Nikolodz Chikhladze, Larisa Takalandze, Giorgi Gavgadze, Lia Eliava, Davit Chiotashvili, Suliko Futkaradze, Demna Kvaratskhelia, Giorgi Rusiashvili, Anzor Meskhishvili, Boris Chichinadze.

Member-correspondent of the Georgian Academy of Sciences

**AVTANDIL SILAGADZE**

Doctor of Law and Politics Sciences

**JEMAL GAKHOKIDZE**

Doctor of Legal Sciences, Professor

**GURAM NACHKEBIA**

Doctor of Pedagogical Sciences

**MAMUKA TAVKHELIDZE**

Fayetteville State University Professor

**ROBERT MCGEE (USA)**

Professor of Law, St. Mary's University (San Antonio, Texas, USA)

**VINCENT R. JOHNSON,**

The Graduate School, Northcentral University,  
(Prescott Valley, Arizona, USA)

**ANTONY W. DNES**

Berlin University Professor

**BERNARD ZIGLER (GERMANY)**

Bonn University Professor,

**IOHAN FISHER (GERMANY)**

Baku State University, Professor

**ALI ALERZEVI (AZERBAIJAN)**

**MARIE LANG,** Technical Director of EFAA

**ANNA KARMAŃSKA,** Professor, EFAA Board Member,  
Warsaw School of Economics.

**ALEXEY RUF,** Chairman of the Board of Guild of Accountant  
Experts and Financial Auditors of Russian Federation.

**LILIA GRIGOROI,** Ph. D.in Economics, Head of Accounting Department,  
Academy of Economic Sciences of Moldova.

**FEDERICO DIOMEDA,** doctor, Special Adviser to the President of EFAA.

**ROBIN JARVIS,** Professor, Special Adviser,  
Association of Chartered Certified Accountants.

**შინაარსი**

იური პაპასქუა, სულიკო ფუტყარაძე  
მომავლის გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელი: ეკონომიკის  
ბანკითარების რეალური პერსპექტივა თუ მიზანს აცდენილი ტრანსფორმაცია ... - 5

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბ-ნ გიორგი კვიციანიშვილს!  
ქართული მიწა საფრთხეშია! ----- 16

პაატა კოლუაშვილი, დავით ზარდიაშვილი  
მიწა, ანუ, ბედი ამა ძვეყნისა!----- 18

პაატა კოლუაშვილი, დავით ზარდიაშვილი  
უპატრონო მიწა, სიზნები და სტარტუპ მდგარი ახალი ჯაყობი!----- 21

ნათია ჟოჟუაშვილი  
საინვესტიციო პოლიტიკის სოციალ-კულტურული ასპექტები საქართველოში ----- 24

ლევან კოკაია  
ნავთობისა და გაზის სავაჭრორის სელექციური სტრატეგიით  
ბათუმის ნავთობის რამდენიმე სტანდარტი ----- 27

ლევან კოკაია  
მიწით სარგებლობის უფლებები ნავთობისა და გაზის  
სავაჭრორის გადაზიდვის სელექციური სტრატეგიით ----- 31

თ. ლაჭყებანი, დ. ბაიდაური, მ. კილაძე  
როგორ ფორმირდება „მწვანე“ ეკონომიკა----- 35

გივი ჯაფარიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, გიორგი გაგოშიძე  
საქართველოს ნაბლის ტყის ნიადაგები ----- 38

ირმა ქავთარაძე  
როგორ მოვამარაგოთ საქართველო ელექტროენერჯით ----- 41

ირმა ქავთარაძე  
რეფორმები საქართველოს ელექტროენერჯეტიკის სექტორში (1996-2012 წ.წ.) ----- 45

ირმა ქავთარაძე  
საქართველოს ენერჯეტიკული სექტორის ჰარმონიზაცია  
ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებთან ----- 51

Артаг Оганесян  
ОБЩИЕ ПРИНЦИПЫ ФОРМИРОВАНИЯ НАЛОГОВОЙ СИСТЕМЫ ГРУЗИИ ----- 58  
ПРИНЦИПЫ ФОРМИРОВАНИЯ БЮДЖЕТНОЙ СИСТЕМЫ ГРУЗИИ----- 62

მანანა ხარხელი  
რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის გამოკვლევა და მის საფუძველზე  
ბანკითარების სტრატეგიის არჩევა კახეთის რეგიონის მაგალითზე ----- 65

# მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელი: ეკონომიკის განვითარების რეალური პერსპექტივა თუ მიზანს ასღენილი ტრანსფორმაცია ...

## კითხვები, მოსაზრებები და წინადადებები განსჯისთვის

ჩვენი დროის მთავარი გამოწვევა ეკონომიკის გამოცოცხლება და, შესაბამისად, უმუშევრობის შემცირებაა. ამ მრავალფაქტორიანი ამოცანის გადაწყვეტის ყველა შემადგენელი განუყრელადაა ერთმანეთზე დამოკიდებული. ეკონომიკის გამოცოცხლებისკენ მიმართული ღონისძიებები ადექვატურად აისახება დასაქმებაზეც. თავის მხრივ, დასაქმება ზრდის მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობას, მოთხოვნებს და ქმნის ეკონომიკის აღმავლობის მოტივაციას. ეკონომიკური თეორიის ამ ანბანურ საწყისებში მრავალგზის ნაცადი გამოცდილებით დადასტურებულია ისიც, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტიმულირების ზიგზაგები საგადასახადო კანონმდებლობაზეც გადის.



**იური პაპასია**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
აკადემიური დოქტორი,  
პროფესორი

შეიძლება ითქვას, საგადასახადო კანონმდებლობა „ჯადოსნური სარკეა“, ჩაიხედავ და კარგად ჩანს ხელისუფლების მიერ ქვეყნის მართვის უნარი, სტრატეგიული ხედვა, სულისკვეთება, ფასეულობებისადმი დამოკიდებულება, მემარჯვენე, მემარცხენე, დასავლური თუ ნებისმიერი სახის ორიენტაცია. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ყოველი მორიგი საჭეთმპყრობელი განზრახულობათა რეალიზაციას დაბეგვრის მექანიზმების მორგებით ცდილობს.

საქართველოში საგადასახადო სისტემის გარდაქმნის ექსპერიმენტები 1996 წლიდან კოდექსის შემოღებით დაიწყო და დღემდე გრძელდება. საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების ნაწილი საარჩევნო ციებ-ცხელებასთან იყო მიბმული, ნაწილს კერძო ინტერესები ლობირებდა, ხოლო გარკვეული ნაწილი ობიექტურმა გარდაუვალობამ განაპირობა.

ექსპერტთა ერთი ნაწილი განვლილი ორი ათეული წლის მანძილზე განხორციელებულ ცვლილებებსა თუ რევოლუციურად მონათლულ რეფორმებზე განსხვავებულ პოზიციას (მათ შორის, მკვეთრად ნეგატიურს) ჯერ კიდევ მათ მიღებამდე აფიქსირებდა. უმეტეს შემთხვევაში, ოპონენტთა პროგნოზები გამართლდა - პრაქტიკამ და შედეგებმა დაადასტურეს აგრეთვე გამოთქმული შენიშვნების აბსოლუტური უმრავლესობის მართებულება. წინდახედულობის გამოვლენის და მათი, თუნდაც ნაწილის, გათვალისწინების შემთხვევაში, ცხადია, გადამხდელთათვის უფრო დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემო ჩამოყალიბდებოდა.

საესებოთ გასაგებია, რომ ყველასთვის მოსაწონი, ან იდეალურად სრულყოფილი საგადასახადო სისტემა არცერთ ქვეყანაში არ არის. ინტეგრაციისა და გლობალიზაციის გარდაუვალ პროცესში შესაბამისი გარდაქმნები აუცილებელიცაა. გონივრული ხედვის, საუკეთესო პრაქტიკის ან გამოცდილების გაზიარება ყოველთვის დადებით გადაწყვეტილებად აღიქმება, თუმცა ამ პრაგმატულ დინამიკაში საგადასახადო კანონმდებლობა გამონაკლისია, ხანგრძლივადიან პერსპექტივაზე უნდა იყოს გათვლილი და ხშირ ჩარევებს განერიდოს.

რიგით მესამე საგადასახადო კოდექსში უკვე ასეულობით შესული ცვლილებებისა და განსაკუთრებით, გასული წლის მიწურულს განხორციელებული ცვლილებათა სერიის შემდეგ, ახალი წლის დასაწყისიდან დღემდე კვლავ აქტიურად ამზადდებდნენ ახალ ექსპერიმენტს - კერძო ბიზნესისთვის გადასახადების შემცირების თაობაზე - მთავრობა მოგე-



**სულიკო ფუტყარაძე**  
ბიზნესის მართვის  
აკადემიური დოქტორი



ბის დაბეგვრის ესტონური ვარიანტის საქართველოში ადაპტირებაზე მუშაობს.

ინიციატივა პრემიერ მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს მიენერა, თუმცა რეინვესტირებული მოგების გადასახადისგან განთავისუფლებაზე ადრეც მსჯელობდნენ. მეტიც, მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირება ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში უკვე განთავისუფლებულია მოგების გადასახადისგან. რამდენიმე წლიანი პრაქტიკისა და შედეგების ანალიზის გარეშე, მთავრობამ მყარად გადაწყვიტა გააგრძელოს მოგების გადასახადისგან განთავისუფლების არეალის გაზრდა და „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა კიდეც კანონპროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

თანდართულ განმარტებით ბარათში გაცხადებული ვერსიის თანახმად, **კანონპროექტის მიღების მიზანია ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფა, აგრეთვე დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში გამოსაყენებელი ძირითადი საშუალების იმპორტის ხელშეწყობა, საგადასახადო კონტროლის და დავის პერიოდში სადავო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების სრულყოფა და საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა“.**

ყველა შესწორებისთვის თითქმის უცვლელი ამ დეკლარირებული მიზნის შინაარსიდან ჩანს, რომ ცვლილებათა სპექტრმა უნდა მოიცვას, როგორც საგადასახადო პოლიტიკა, ასევე გადასახადების ადმინისტრირებასაც. ორივე მიმართულებით, კანონპროექტი ითვალისწინებს ისეთ ინიციატივებს, რომელთაც აქვთ ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ ორიენტირებული არსებითი სახის ცვლილებების პრეტენზია, კერძოდ, განსაზღვრულია რეინვესტირებული მოგების გათავისუფლება გადასახადისაგან. რეზიდენტი საწარმოსთვის და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დანესებულებისთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის

ობიექტი იქნება: **გაცემული დივიდენდები, განუღი ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების განწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ მოცულობაზე მეტი ოდენობით განუღი წარმომადგენლობითი ხარჯი;**

კანონპროექტის მიღების შემდგომ, „ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის გამოყენებით ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმრო მომსახურების განწევის (სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოყენების) შედეგად მიღებული შემოსავალი არ აისახება ფიზიკური პირის ერთობლივ შემოსავალში“;

შელავათებით ვერ ისარგებლებენ: კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები (ეს ორგანიზაციები ისედაც სხვისი რესურსებით საზრდოობენ), აგრეთვე ის ორგანიზაციები, რომლებსაც კანონმდებლობით ეკრძალებათ მოგების განაწილება და შესაბამისად მას არ ანაწილებენ. დაბეგვრის რეჟიმი არ ეცვლება იმ პირებსაც, რომლებიც მოგებას იღებენ „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით 1998 წლის 1 იანვრამდე დადებული ხელშეკრულებებით განხორციელებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობ პირებს (თუმცა ეს პოზიცია შეიძლება ჯერ კიდევ გადაისინჯოს. ბიზნესის წარმომადგენლებთან ქვეყნის პრემიერ მინისტრის მიერ გამართული შეხვედრის შემდეგ, მის ინტერვიუში გაჟღერდა, რომ აღნიშნული შეღავათები კომერციულ ბანკებზეც გავრცელდება).

კანონპროექტის მიხედვით, უქმდება ის ნორმა, რომლის თანახმადაც ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ ექვემდებარებოდა სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისთვის იმ საწარმოს კაპიტალიდან აქტივების გამოტანა, რომლის წილის/აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაშია;

წინამორბედი რამდენიმე შესწორებისა და დამატე-

**საგადასახადო პოლიტიკა**

ბის შემდგომ, ესტონეთის მსგავსად, საგადასახადო კოდექსიდან ახლა მთლიანად ამოიღებენ მუხლს სუსტ კაპიტალიზაციაზე;

გამოსაქვითი ხარჯების სტრუქტურაში არ მოიაზრება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე განეული ხარჯი, აგრეთვე ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე განეული ხარჯი;

ცვლილებები შეეხება საერთაშორისო დაბეგრობისა და გადასახადებისგან თავის არიდების აღკვეთის ნორმებსაც და კანონის მიღების შემდგომ სანარმოს შექმნება ჩაითვალოს საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი მოგების გადასახადი შესაბამისი საგადასახადო წლისთვის ამ მოგებაზე საქართველოში გადასახადის გადახდისას, შემოსავალზე, რომელიც მიღებული არ არის საქართველოში არსებული წყაროდან. ხოლო სანარმო, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება მოგების განაწილებისას, უფლებამოსილი იქნება გაცემულ დივიდენდის მიხედვით მოგების გადასახადის გადახდისას შესაბამისი საგადასახადო პერიოდისათვის ჩაითვალოს საქართველოს ფარგლების გარეთ გადახდილი მოგების გადასახადი, იმ შემოსავალზე, რომელიც მიღებული არ არის საქართველოში არსებული წყაროდან.

ორივე შემთხვევისთვის, ჩათვლილი თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადების იმ თანხების ოდენობას, რომლებიც დარიცხული იქნებოდა საქართველოში ამ მოგებაზე საქართველოში მოქმედი წესითა და განაკვეთებით;

სხვა ინიციატივებთან ერთად, საყურადღებოა ცვლილებები საგადასახადო ადმინისტრირებაში, მათ შორის, კანონპროექტი ითვალისწინებს ძირითადი საშუალების იმპორტზე დღგ-ის გადახდის ვადის გადავადებას. იმპორტიორს, რომელიც ძირითად საშუალებებს იყენებს დღგ-ით დასაბეგრობაში არ მოუწევს იმპორტისას დღგ-ის გადახდა. პირდაპირ ცხადდება, რომ სადავო საგადასახადო დავალიანების გადახდის ვალდებულება შეჩერებულად ითვლება საგადასახადო დავის დაწყების დღიდან მის დასრუ-


ლებამდე. სადავო საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად საგადასახადო ორგანოს უფლება არ ექნება, ყადაღა დაედოს: პირის ქონებას; პირის საბანკო ანგარიშებს, სადავო საგადასახადო დავალიანების ფარგლებში;

დეკლარაციის/გაანგარიშების მიხედვით არასწორად ნაჩვენები ინფორმაციის გამო ჯარიმა არ დაეკისრება პირს, რომელმაც საგადასახადო ორგანოს წარუდგინა შესწორებული დეკლარაცია/გაანგარიშება საგადასახადო შემოსემების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადანყვეტილების ჩაბარებამდე ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენამდე;

კანონპროექტი ითვალისწინებს საგადასახადო დავალიანებების ჩამოწმას. კერძოდ, ჩამოიწმდება 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ გადამხდელს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება; 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება;

კანონპროექტთან დაკავშირებით, როგორც ფინანსთა სამინისტრო განმარტავს „წინასწარი გაანგარიშებებით 2011 წლამდე წარმოშობილი 69700 გადასახადის გადამხდელის 1 410 407 433,2 ლარის დავალიანება ჩამოიწმდება და 2013 წლამდე წარმოშობილი დავალიანებიდან ძირითადი გადასახადის 339 513 617 ლარი გადახდის შემთხვევაში 27 380 გადასახადის გადამხდელს ჩამოიწმდება სანქციები 623 570 423 ლარის ოდენობით“. ამასთან, „კანონპროექტის მიღება სავარაუდოდ 400 მლნ. ლარით შეამცირებს 2016 წლის საბიუჯეტო შემოსავლებს“.

ამ ძირითადი არსობრივი წარმოდგენის გარდა, ცხადია, კანონპროექტის ყოველ დეტალს აქ არ გავიმეორებთ (დაინტერესებულ პირს შეუძლია ის ორიგინალში იხილოს) და არც მუხლობრივ კომენტარებს გავაკეთებთ. შევჩერდებით იმ გვერდით მოვლენებზე, რაც ამ ახალ ინიციატივას შეიძლება აედევნოს და შესაბამისად, შედეგიც ფატალური დადგეს.





გულდასმით ნაკითხვის შემდეგ აშკარად რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს კანონპროექტი წინამორბედებისგან განსხვავებით მეტი დაკვირვებითაა შედგენილი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ე.წ. ესტონური მოდელის შესწავლაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ხანგრძლივად მუშაობდა. ქართული დელეგაცია ესტონეთში აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებას დეტალურად გაეცნო. გარდა ამისა, პროცესებში ჩართული იყო აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, რომლის მხარდაჭერითაც მომზადდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელის მიხედვით რეფორმის გავლენის შეფასების დოკუმენტი. პროექტის მომზადებაში მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი ისე ესტონელი ექსპერტები.

**ასეთი შთაბეჭედავი ანონსის მიუხედავად, დაბეგვრის წარმოდგენილი ვარიანტი „სასწაულად“ შერაცხული მოგების გადასახადის ესტონური მოდელის ანალოგი სულაც არ არის. შეიძლება ითქვას, მოცემული ვერსიისთვის გამოყენებულია უცხოური მოდელის მხოლოდ ელემენტი, დანარჩენი კი ინტერპრეტაციაა საეჭვო პერსპექტივით!**

კანონპროექტი უკვე განიხილეს ბიზნესწრეებში და უმეტეს შემთხვევაში, მასზე პოზიტიური გამოხმაურებები გამოითქვა, რაც არცაა გასაკვირი. სავსებით გასაგებია, გადასახადის გადამხდელი დადგენილ გადასახადს (მცირე განაკვეთსაც კი) სიამოვნებით არ იხდის. ბუნებრივია, კმაყოფილებით შეხვდება ყოველგვარ შეღავათს, მით უმეტეს, გადასახადისგან განთავისუფლებას.

დაბეგვრის მექანიზმების გარკვეულ დონემდე ლიბერალიზაციას მნიშვნელოვანი სიკეთის მოტანა, მართლაც, შეუძლია, თუმცა, წახალისების ფორმებს, არაიმპულსური მიდგომა, არამედ შერჩევა და სტრატეგიული გააზრება სჭირდება - გადასახადების ყოველი შემცირება ამავდროულად ეფექტური საგადასახადო სისტემის იდენტობას არ ნიშნავს.

მთავრობას კი მიაჩნია, რომ ინიცირებული ფორმით მოხერხდება ქვეყნის ბიუჯეტის სრული ფორმირება, ხელი შეეწყობა სამეწარმეო აქტივობას, ბიზნესის განვითარების ხარჯზე გაიზრდება საგადასახადო ბაზა, საგადასახადო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების მექანიზმად იქცევა, ბიზნესის დანყებისა და წარმოებისთვის ჩამოყალიბდება

მიმზიდველი კლიმატი, ახალ, პოტენციურ ინვესტორებს გაუჩნდებათ დაინტერესება საქართველოსადმი.

არის ამაში რალაც რაციონალური მარცვალი, მაგრამ მოდით, ვნახოთ, სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე, რას გვპირდებიან, რას მივიღებთ?!

### **რას წარმოადგენს ესტონური „ეკონომიკური სასწაული“**

ჩრდილოეთ ევროპაში ბალტიისპირეთის ამ პატარა ქვეყნის (ტერიტორია მოიცავს სულ 45227 კმ<sup>2</sup>-ს, მოსახლეობა 1 მილიონ 300 ათასია) ეკონომიკის აღმავლობაზე და განსაკუთრებით, საგადასახადო რეფორმების მიღწევებზე ბევრს საუბრობენ.

ეკონომიკური წინსვლა მართლაც, სახეზეა, გამორჩეულია მისი საგადასახადო თავისებურებები, მაგრამ მასზე, როგორც საგადასახადო სისტემის მოდელზე, აქედანვე შეიძლება ვთქვათ, რომ გადაჭარბებულია წარმოდგენის შექმნა. ევროკავშირში მან, ცალკეული ეპიზოდების და შედეგების დადებითი შეფასების გარდა, სამაგალითო ყურადღება ვერ დაიმსახურა და ვერც ფართო გავრცელება ჰპოვა.

თვით ესტონეთშიც კი, 2005-2007 წლებში ეკონომიკის მკვერი ზრდისა და მაღალი პროცენტების მიუხედავად, მშპ-ის წლიური ზრდის ტემპი ბოლო წელს ერთიანის ნიშნულზე დაბალია და ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაც ვერ მოხერხდა.

ამჟამად, მთლიანი საგადასახადო ტვირთი ესტონეთში ცოტათი ნაკლებია ევროკავშირთან შედარებით, მაგრამ გაცილებით მაღალი და მძიმეა, ვიდრე, საქართველოში. ამასთან, შრომის ანაზღაურების დაბეგვრაც და აქციზზე გადასახადი იქ ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროკავშირში.

მაგალითად, თუ საქართველოში ხელფასი და სხვა სარგებელი იბეგრება 20 პროცენტით, ესტონეთში მოქმედებს სოციალური გადასახადიც (33%), უმუშევრობის გადასახადიც (0,5%) და სამემოსავლო გადასახადთან (22%) ერთად ჯამში 55,5% შეადგენს. საქართველოში დივიდენდზე სამემოსავლო გადასახადი 5%-ია, ესტონეთში კი 4,2-ჯერ მეტი (21%). ესტონეთში ქონების გადასახადი დანესებულია მინაზე და არა მინასა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობების ღირებულებაზე. გარდა ამისა, ესტონეთში გაუქმებუ-



**საგადასახადო პოლიტიკა**

ლია ქონების ანდერძით გადაცემის გადასახადი, არც გადარიცხვებზე მოქმედებს დაბეგვრა და არც ფინანსურ ტრანზაქციებზე, როგორც ეს არის, მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სხვა ქვეყნებში.

ესტონეთში ნებისმიერი სახის (მცირე, საშუალო და მსხვილ) კომპანიას თანაბარი უფლება აქვს მოგების ხარჯზე, შეუზღუდავად განახორციელოს რეინვესტიცია - გააფართოონ, გადააიარაღონ წარმოება ან საბანკო დეპოზიტზე შეინახონ თანხა. საანგარიშო პერიოდად დაწესებულია კალენდარული თვე.

ამდენად, კომპანიებს თავისუფლად შეუძლიათ წლის განმავლობაში არაერთხელ შეცვალონ მოგების განაწილების გეგმები თუ საინვესტიციო პროექტები. ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობასთან, ექვემდებარება გამოქვითვას და თავისუფალია გადასახადებისგან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სამენარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი (მოგება) საერთოდ არ დაიბეგრება. იბეგრება მხოლოდ აქციონერებზე/მენილეებზე განაწილებული მოგება (21%-ით). მაგალითად, თუ კომპანიის მოგება შეადგენს 1000 ევროს და აქედან 100 ევრო განაწილდა, ბიუჯეტში გადასახადს ექვემდებარება ამ თანხის 21% - 21 ევრო. დანარჩენი 900 ევროთი იზრდება ბიზნესის ღირებულება, შესაბამისად, მენილეების მოგებაც, მაგრამ ეს მოგებაც პოტენციურად იბეგრება, მათ მიერ წილის გაყიდვის შემთხვევაში.

ასეთი მიდგომის შედეგად, კომპანიებს მიეცათ შესაძლებლობა გაიზარდონ აქტივები, კაპიტალი და, აქედან გამომდინარე, ამაღლდა ინვესტიციების განხორციელების მოტივაციაც.

ესტონური საერთო წარმატების აღსაქმელად მცირე ექსკურსიცაა საჭირო. დავიწყოთ იქიდან, რომ ესტონური საგადასახადო კანონმდებლობისა და ადმინისტრირების მთავარი დამახასიათებელია სიმარტივე, რაც დეკლარაციის შევსებისას თითქმის გამორიცხავს შეცდომების დაშვების ალბათობას, ნაკლებ კითხვებს ბადებს კომპანიების საგადასახადო შემონემებისას, საურავებისა და ჯარიმების დარიცხვისთვისაც არ ქმნის ნოყიერ ნიადაგს. გადასა-

ხადების დეკლარირება მთლიანად ელექტრონულად ხორციელდება და სრულად თავსებადია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან. გაუქმებულია ყველა სახის სპეციალური საგადასახადო შეღავათი (მოგების გადასახადის მიზნებისათვის). არ არსებობს უძრავ/მოძრავი ქონების ამორტიზაციის დაანგარიშების აუცილებლობა. გადასახადებისგან თავის არიდების საწინააღმდეგო რეგულაციებიც, ევროკავშირის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, აქ ბევრად მარტივია. საერთოდ არ არსებობს ე.წ. „სუსტი კაპიტალიზაციის“ მარეგულირებელი ნორმები, ხოლო საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების რეგულირება შეესაბამება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების საერთო წესებს. საგადასახადო ადმინისტრირება ხორციელდება რისკების მართვის პროგრამით, მკაცრად კონტროლდება გადასახადების დამალვის შემთხვევები, სანქციები კი მეტად მაღალია.

ესტონეთის „ეკონომიკური სასწაულის“ განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის გადამწყვეტი წინაპირობაა კანონის უზენაესობა, სტაბილური ბიზნესგარემო, კორუფციის დაბალი დონე, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ინვესტიციების დაცულობის მყარი გარანტიები, მცირე ბიუროკრატია, სახელმწიფოს თანამიმდევრული და კარგად გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკა. ამ მართლაც, შთამბეჭდავ უპრატესობებში, საგულისხმოა, რომ ესტონეთში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების დონე და ხარისხიც ძალზედ მაღალია.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საგადასახადო რეფორმები ესტონეთმა ეკონომიკურად უმძიმეს და უმწვავესი გარედაპირისპირების პრობებში, საკუთარი მომავალისთვის პასუხისმგებლობის აღებაზე მოსახლეობის შთაგონებით და კერძო საწარმოებისთვის აუცილებელი ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნით დაიწყო. უარი თქვა დიფერენცირებულ გადასახადებზე და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი ფიქსირებული ტარიფით განსაზღვრა. ნრფივი საშემოსავლო გადასახადი ჯერ კიდევ 1994 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.



შეზღუდულ კონტროლზე აგებული კანონმდებლობის მიღებამ მკვეთრად შეასუსტა ბიუროკრატია და ახალი კომპანიებისთვის შევიწროების (მარწუხებში მოქცევის) შესაძლებლობა მას პირნიმინდად წაართვა. მთავარი ნარმატივა კი განსაზღვრა საგადასახადო ბაზის მაქსიმალურად გაფართოებამ, გადასახადის გადასახადისაგან გამამხდელითა მინიმალური რაოდენობის განთავისუფლებამ, სანყისი ეტაპისთვის დაბალმა საგადასახადო ტარიფებმა და გადასახადებისთვის თავის არიდების სტიმულის უკიდურესად დაქვეითებამ. შედეგად, სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლებმა სწრაფად დაიწყო ზრდა. კომერციული იურიდიული პირების მოგების გადასახადის რეფორმა მოგვიანებით, უკვე 2000 წლიდან შევიდა ძალაში.

ზოგადად, გამოყენებაშია რეინვესტირებული მოგების გადასახადიდან განთავისუფლების ორი სახე. პირველ შემთხვევაში, რეინვესტიცია შეზღუდულია გარკვეული ვადით, ხოლო, მეორე შემთხვევაში, რომელიც ესტონეთმა აირჩია, მენარმის მიერ არ ხდება იმის დადასტურება, თუ რაში გააკეთა მან მიღებული მოგების რეინვესტირება და მისი გადანყვეტილება არ იბოჭება.

ანგარიშგასანწევია ისიც, რომ ესტონეთმა მოახერხა არ აელო ვალი და სწორედ 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს ევროკავშირის ბიუჯეტიდან მიიღო ფინანსური დახმარება 4.5 მილიარდი ევროს ოდენობით, რაც ძირითადად ავტომაგისტრალების მშენებლობას, უმუშევრების გადამზადებას, განათლებაში ინვესტიციებს მოხმადდა და დადებითად იმოქმედა ეკონომიკურ აღმალობაზე.

ამდენად, ესტონეთის „ეკონომიკური სასწაული“ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობელი ფაქტორთა ერთობლიობამ განსაზღვრა, პირველყოვლისა, ხელისუფლების თანმიმდევრულმა, მიზანმიმართულმა, დაბალანსებულმა, პოზიცია/ოპოზიას შორის შემთანხმებლურმა პოლიტიკამ და მისი შეფასების დროს არ კმარა ცალკე ერთი, მოგების გადასახადის ნიმუშად მოყვანა, მით უმეტეს, მასზე მიბაძვა კომპლექსური სხვა შემადგენლების გათვალისწინების გარეშე, საფუძვლიან წარმოდგენას ვერ შექმნის და დასკვნებიც გამრუდდება.

### **როგორია გადასახადების რეალური ზუნება**

#### **და ვინაა ფაქტობრივი გამამხდელი**

ეკონომიკურ თეორიაში გადასახადის ეკონომიკური არსი, ფუნქციები და დანიშნულება საკმარისად შესწავლილია. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსში გადასახადი განმარტებულია, როგორც სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გამამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, არცერთი გადასახადის გამამხდელი მენარმე სუბიექტი არაა და მას ფაქტობრივად რეალიზებული პროდუქციის/ მომსახურების თუ შესრულებული სამუშაოს უშუალო მომმარებელი მოსახლეობა იხდის.

საქართველოში მოქმედ გადასახადების ჩამონათვალში სულ ექვსი გადასახადია, მათ შორისაა: საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); აქციზი; იმპორტის გადასახადი და ქონების გადასახადი. აქედან, **საშემოსავლო გადასახადს** იხდიან მენარმე ფიზიკური პირები და დაქირავებული პერსონალი. მათი შრომის ანაზღაურება გამოსაქვითი ხარჯია და აისახება ფაქტობრივად რეალიზებული პროდუქციის/ მომსახურების თუ შესრულებული სამუშაოს თვითღირებულებაში; **მოგების გადასახადი** მენარმე სუბიექტის შემოსავლებსა და ამ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული და მომხმარებლისგან ანაზღაურებული დანახარჯების სხვაობის მცირე ნაწილია, რომელსაც მენარმე სუბიექტი ბიუჯეტში რიცხავს; **დღგ და აქციზი** ისედაც არაპირდაპირი გადასახადია და მასაც მომხმარებელი იხდის; **იმპორტის და ქონების** გადასახადებიც თვითღირებულებაში შედის და იმათაც მომხმარებელი იხდის; ძირითადი საშუალებების და ყველა სხვა აქტივების ღირებულებასაც (ცვეთის კვალობაზე) მომხმარებელი იხდის.

ამრიგად, ბიზნესს წარმოების და გაფართოებული კვლავწარმოების ყველა დანახარჯს მომხმარებელი (მოსახლეობა) უნააზღაურებს და აქედან, მენარმე სუბიექტი ასრულებს რა საგადასახადო აგენტის ფუნქციას, მიღებული თანხის მხოლოდ ნაწილს უთმობს ბიუჯეტს გადასახადების სახით. გადასახადების





გადასახადისგან განთავისუფლებით კი საბოლოო ჯამში, უფრო მეტად ბიზნესის მენილეების მოგება (წილის ღირებულება) იზრდება. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ბიზნესის მენილეებიც მომხმარებლები არიან და ამგვარად მონაწილეობენ საერთო სიკეთეების გადანაწილების პროცესში, მათი განსაკუთრებული შეღავათი ისაა, რომ ისინი ბიზნესის ორგანიზებისთვის გადასახადების გადაუხდელად იზრდიან კაპიტალს (რეალურ და პოტენციურ შესაძლებლობას ახალი უპირატესობის მოსაპოვებლად), ხოლო სხვა მომხმარებლები კი იხდიან გადასახადებს უპირატესად სხვისი კეთილდღეობის ასამაღლებლად და მხოლოდ ამის შემდგომ - პირადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ფაქტობრივად, რეინვეტირებულ მოგებაზე გადასახადის მოხსნით ხელი ემართებათ მდიდარ გადამხდელებს, რომელთა კაპიტალი პირადი მოხმარების ხარჯებზე გაცილებით მეტია.

**რა პრაქტიკულ შედეგებთან და პრობლემებთან გვიქმნება საქმი**

რატომაა მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტი მიმზიდველი, ან მიზანს აცდენილი ტრანსფორმაცია?

როგორც უკვე ავლენინეთ, იგეგმება მოგების გადასახადის ესტონური ვარიანტის ცალკეული ელემენტების გადმოღება, რაც მიმზიდველად ჩანს და ბიზნესრეებმაც დადებითად აღიქვეს.

ცნობილია ისიც, რომ საქართველოში ამჟამად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა გარკვეულად შეიცავს მოგების გადასახადის ესტონური ვარიანტის ელემენტებს: სამედიცინო დაწესებულებისა და სასოფლო-სამეურნეო სანარმოებისთვის მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირება ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში უკვე განთავისუფლებულია მოგების გადასახადისგან; დაშვებულია ძირითად საშუალებათა მიხედვით საამორტიზაციო ანარიცხების სრული გამოქვითვა (გარდა სანარმოს კაპიტალში შეტანილი აქტივების ღირებულებისა), თუმცა ეს უკანასკნელი შეზღუდულია 5 წლიანი ვადით და იგი არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებსაც ამორტიზაცია არ ერიცხება.

არსებითი სირთულე, რაც ამ პროექტს შეიძლება აედევნოს, მისი განხორციელების შესაძლებლობაშია. ესტონური საგადასახადო კანონმდებლობის სრული ადაპტირება, მისი წინარე პირობებიდან და შემადგენელი კომპლექსური ფაქტორებიდან გამომდინარე, ჩვენი პირობებისთვის შეუძლებელია. ამიტომ ცხადია, გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული არსებული სიტუაციისთვის ცალკეული ელემენტის მორგება და თავსებადობა. რა თქმა უნდა, საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის გარდა, შესაცვლელი იქნება (ალბათ შეიცვლება) კანონქვემდებარე აქტებიც, რაც დღეს ხელთ არ გვაქვს და ამდენად, ძნელია პროექტის მთლიანობაში შეფასება, მაგრამ თუ ის კანონის ძალას შეიძენს, რა შედეგებთან გვექნება საქმე, რამდენად ხელსაყრელი და მისაღები იქნება იგი გადამხდელთათვის, რა შესაძლო პრობლემები იფუთება აღნიშნული ცვლილებების უკან, ამის დანახვა განჭვრეტით და ნაწილობრივ, პრაქტიკული მაგალითების საფუძველზეც შეიძლება!

ვთქვათ, მენარმის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი შეადგენს **n** ლარს, გამოქვითვები საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კი **m** ლარს. პირობითად ჩავთვალოთ, რომ მიღებული დასაბეგრი მოგება (შემოსავალი), **n - m** 100 ლარის ტოლია.

ამჟამად მოქმედი საგადასახადო ნორმების შესაბამისად, ინდმენარმისა და იურიდიული პირის შემთხვევებში აღნიშნული მოგება (შემოსავალი) შემდეგნაირად იბეგრება:

ა). აღნიშნულ შედეგის გათვალისწინებით, მენარმე ფიზიკურ პირს ბიუჯეტში გადასახდელად ეკისრება საშემოსავლო გადასახადი (100 X 20%) - **20** ლარი, რომელსაც ის გადაიხდის სახელმწიფოს სასარგებლოდ, ხოლო ამ ფიზიკური პირის განკარგულებაში დარჩება **80** ლარი;

ბ). ვთქვათ, ამ ფიზიკურმა პირმა, იქიდან გამომდინარე, რომ ინდ. მენარმე საგადასახადო ვალდებულებების დაგროვების შემთხვევაში სახელმწიფოს წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების მიზნით, გადანყვიტა იგივე ეკონომიკური საქმიანობა განხორციელოს იურიდიული პირის მეშვეობით და დააფუძნა შპს 100

პროცენტის ნილით. ამ შემთხვევაშიც, იურიდიული პირის მიერ მიღებული დასაბეგრი მოგება ( $n - m$ ) იქნება 100 ლარი და ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადს ექვემდებარება ( $100 \times 15\%$ ) ე.ი. 15 ლარი და გასანაწილებელი მოგების სახით დარჩება ( $100 - 15$ ) 85 ლარი. თუ აღნიშნული მოგება სულ დივიდენდად განაწილდება, დაიბეგრება 5%-იანი საშემოსავლო გადასახადით ( $85 \times 5\%$ ) და აქედან ბიუჯეტი მიიღებს 4,25 ლარს.

გამოდის, რომ იურიდიული პირი (შპს) ბიუჯეტში გადაიხდის 19,25 ლარს (მოგების გადასახადს 15 ლარს + დივიდენდის საშემოსავლო გადასახადი 4,25 ლარი), ხოლო ამ იურიდიული პირის (შპს-ის) დამფუძნებელი ფიზიკური პირის განკარგულებაში დარჩება სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული სარგებელი 80,75 ლარის ოდენობით.

**როგორც ხედავთ, საგადასახადო კოდექსის მოქმედი რედაქციის შემთხვევაში, ერთდაიგივე პირობებში, ერთდაიგივე ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი არათანაბრად იბეგრება. ინდ. მენარმის სტატუსის მქონე პირს სახელმწიფოს სასარგებლოდ მოგების (შემოსავლის) სახით მიღებული ყოველი 100 ლარიდან 0,75 ლარით მეტის გადახდა უხდება, ამასთან, თუ ინდ. მენარმის დიდი ოდენობით საგადასახადო ვალდებულება დაუგროვდება, იგი მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს და მაღალია იმის რისკი, რომ მთელი თავისი ქონება დაკარგოს, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში კი პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ საზოგადოების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული აქტივებით იფარგლება.**

მთავრობის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტის პირვანდელი რედაქციის მიხედვით, კიდევ უფრო უარესდებოდა გადასახადის გადამხდელის მდგომარეობა, მაგრამ, როგორც ჩანს, პროექტის ავტორებს მოუწიათ მასში შესწორების შეტანა და საქართველოს „საკანონმდებლო მაცნის“ ვებგვერდზე განთავსებულ კანონპროექტის თანახმად, სსკ-ის 98-ე მუხლის მე-3 ნაწილი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა:

**„3. ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3**

**ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტისთვის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის თანხის 0,85-ზე გაყოფის შედეგად.“**

აღნიშნულმა არსებითად შეცვალა შედეგი, თორემ პირვანდელი რედაქციის დატოვება გადასახადების ლიბერალიზაციას მთლიანად დაჩრდილავდა.

მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმიდან გამომდინარე, კარდინალურად იცვლება დეკლარაციის წარდგენის ვადები და სსკ-ის 153-ე მუხლში (დეკლარაციის წარდგენა) მე-10 ნაწილის შესაძლო შეტანის შესაბამისად, „საწარმო და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება ვალდებულია ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია მოგების გადასახადის შესახებ და საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხების და დაკავებული გადასახადის შესახებ“.

პროექტის მიხედვით, გამოქვითვას არ ექვემდებარება მიკრო ბიზნესის, ფიზიკური და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისგან შექნილი საქონლის/მომსახურების ღირებულება. გადამხდელთა ეს კატეგორია, რატომღაც კვლავ ამოვარდნილი რჩება საერთო სივრციდან და მათ არავინ თვლის ხელგასწვდელ ძალად. ამდენად, სავსებით ბუნებრივად ჩნდება კითხვა: მიკრო ბიზნესის, ფიზიკური და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისგან შექნილი საქონლის/მომსახურების ღირებულება რატომ უნდა მიეკუთვნოს დივიდენდებს ან რატომ არ უნდა გამოიქვითოს? თუ ინვესტირებულ მოგებაზე გადასახადი უქმდება, ასეთი პირები რატომ არიან გამონაკლისი და სხვამ რატომ უნდა გადაიხადოს მოგების გადასახადი? - ამ პოზიციას ახსნა არ აქვს;

პროექტით გათვალისწინებული შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყნებში გადახდილი თანხების დაბეგვრის პირობაც ბადებს შეკითხვებს და არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, ვინაიდან, ასეთ ქვეყნებში შექნილი საქონელი და მომსახურება შეიძლება ბევრად იაფი იყოს, ვიდრე, სხვა ქვეყნებში. მაგალითად: არაბთა



**საგადასახადო პოლიტიკა**

გაერთიანებულ ემირატებში შექმნილი საქონელი გაცილებით იაფია და ასეთი ბაზრის შეზღუდვა უარყოფით გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკაზე;

პროექტის მიხედვით, განაწილებულ მოგებაზე (დივიდენდზე) გადასახადის განაკვეთის ზრდა არ არის გათვალისწინებული და ის კვლავ 5%-იან ნიშნულზე რჩება. ამასთან, მთავრობის მიერ ინიცირებული ტრანსფორმაცია ხორციელდება იმ ფონზე, როცა ჯერ კიდევ მაღალია უმუშევრობა, მომხმარებლის (მოსახლეობის) უმეტესობას რესურსები არ გააჩნია და სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპები საგრძნობლად კლებულობს. ასეთ შემთხვევაში, უფრო მიზანშეწონილია ხარჯების გაზრდის სტიმულირება. ბიუჯეტის დეფიციტთან ბრძოლა კი არა, პირიქით, სწორედ დეფიციტი ქმნის ეკონომიკის აღმასვლის სტიმულს. ვშიშობთ, მომჭირნეობის პოლიტიკა და მომხმარებლის შეზღუდული რესურსები (სიღარიბის არსებული დონე) განსახორციელებელ პროექტთან თავსებადი ვერ იქნება;

საქართველოში ინვესტიციების მაჩვენებელი ფაქტობრივად იზრდება და ამ მხრივ განსაკუთრებული დეფიციტი არ იგრძნობა. ცხადია, რეინვესტირების წამახალისებელი ამ მაჩვენებლის კიდევ მეტად გაზრდა შეიძლება, მაგრამ საამისოდ საჭიროა სტრატეგიულად განისაზღვროს რაში, რომელ სექტორში და რა მოცულობის ინექციები უნდა დაიხარჯოს. ეს სტრატეგია ჩვენ არ გავაჩნია;

საბანკო სექტორი ჩვენთან ისედაც ყველაზე პრივილეგირებულია და დიდ მოგებებსაც ღებულობენ. ისინი ისედაც სხვისი (მოზიდული) რესურსებით საზრდოობენ და თავიანთი საქმიანობის სტაბილურობის შესანარჩუნებლად მაღალ საპროცენტო განაკვეთებსა და ხისტი პირობებით უზრუნველყოფის მყარ გარანტიებს ითხოვენ. მათ ეკონომიკის განვითარებაზე დადებითი ზემოქმედების შესაძლებლობი გააჩნიათ, თუმცა ჩამოყალიბებულ თანაფარდობაში მათზე შეღავათების გავრცელება აუცილებლობას არ წარმოადგენს, მით უმეტეს, ეს უფრო მეტად იმოქმედებს ბიუჯეტის შემოსავლებზე, რამდენადაც საბანკო სექტორი სხვა საგადასახადო შემოსავლებში ნაკლები წილით არის წარმოდგენილი და ისინი ძირითადად მოგების გადასახადის გადამდებლები არიან. ამ კუთხით, მისაღებია პროექტში ჩადებული ვარიანტი;

რისკებისგან არცერთი საგადასახადო სისტემა არაა დაზღვეული. არც ესტონური ვარიანტია გამონაკლისი. შესაძლებელია და მაღალი ალბათობით, იარსებებს სხვადასხვა ინექციების სახით მოგების გაურკვეველ კომპანიაში, ე.წ შვილობილის კაპიტალში გადაქაჩვის და ჩრდილში გადანაცვლების მაღალი რისკი. გარდა ამისა, თუ მოგების გადასახადსა და საშემოსავლო გადასახადების განაკვეთები არ გათანაბრდება, მოგება შეიძლება ხელფასის სახით გაიცეს და ამის გამორიცხვა გაჭირდება, რაც საბოლოო ჯამში მთლიანად დაამახინჯებს ჯანსაღ საბაზრო მექანიზმს და სხვა გამოწვევებსაც გააჩენს;

ბიუჯეტის შემოსულობებში ძირითადი მოცულობა საგადასახადო შემოსავლებს უჭურავს. მათ შორის, მოგების გადასახადზე მოდის 13%. თანხობრივად ეს

1.0 მილიარდ ლარზე მეტს შეადგენს. ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ, თუ საწარმოები მოგების რა ნაწილს მიმართავენ რეინვესტირებისთვის, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ ციფრმა ნახევარს გადააჭარბოს. ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ბიუჯეტი მომდევნო 2-3 წელიწადში 500-500 მილიონ ლარს დაკარგავს, სავარაუდოდ, არც შემდგომ მოხდება დანაკლისის შევსების მკვეთრი მატება. ამდენად, მთავრობა (სახელმწიფო), აძლევს რა საწარმოებს არჩევანს განახორციელონ რეინვესტირება და არ გადაიხადონ მოგების გადასახადი, შეგნებულად მიდის შემოსავლების შემცირებაზე და საკომპენსაციო ალტერნატიული წყაროს მოძიების შანსიც არ გააჩნია. სხვა გადასახადების განაკვეთის გაზრდა ფაქტობრივად ვერ მოხერხდება - ეს გამოიწვევს შემდგომ ფასების ზრდას და ინფლაციურ პროცესს. ეს გზა არ იქნება მომგებიანი არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური მიზანშეწონილობით;

საქართველოს სოლიდური საგარეო ვალი გააჩნია და ბიუჯეტის შესავსებად ახალი ვალის მოზიდვა კიდევ უფრო დაამძიმებს გრძელვადიან მაკროეკონომიკურ მდგომარეობას და სტაბილურობას;

პრაქტიკულად შეუძლებელია ადმინისტრირების გაძლიერებით (ის ისედაც უკიდურეს ზედა ზღვარზეა) დამატებითი თანხების მიმართვა ბიუჯეტში და როგორც უკვე ითქვა, ვერც საბიუჯეტო ხარჯების შემცირებაა გამოსავალი.

ამდენად, არის საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ მოსალოდნელი ტრანსფორმაცია უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში უარყოფითად იმოქმედებს მოხმარებაზე, ეკონომიკურ ზრდაზეც და გამოიწვევს მშპ-ს ზრდის შემცირებას. ცხადია, შესაბამის პერიოდში ის დადებითად აისახება ინფლაციაზე, საგადამხდელო ბალანსზე და ლარის კურსის მერყეობაზეც.

არსებული პრობლემების მიბარება კი შემდგომი გამოდარების პერსპექტივაზე ძლიერ სახიფათოა.

მორიგი საგადასახადო ექსპერიმენტი დამუხტულია შიდა სხვა თანმდევი ნეგატიური მოვლენებითაც. კერძოდ:

იმის გამო, რომ მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით, მოგების გადასახადის დეკლარაციის შედგენა გადასახადის გადამხდელთათვის ყველაზე პრობლემური საკითხი იყო, მისი შედგენისა და შემოსავლების სამსახურში წარდგენისათვის გადამხდელს საკმაოდ დიდი დრო - საანგარიშო წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 1 აპრილამდე, სამ თვიანი ვადა ეძლეოდა. თუ შესაბამისად არ გამარტივდება დეკლარირების ფორმა და შინაარსი, გადასახადის გადამხდელს საანგარიშო თვის დასრულებიდან 15 დღის განმავლობაში გაუჭირდება მოგების გაანგარიშება. ვფიქრობთ, ეს კიდევ რთული აღმოჩნდება იმ გადამხდელისთვის, ვინც საბუღალტრო აღრცხვას დარიცხვის მეთოდით აწარმოებს (დღგ-ის გადამხდელი). ასეთ შემთხვევებში, საანგარიშო თვის განმავლობაში განხორციელებული გაყიდვებიდან (თუნდაც თვის ბოლოს შესრულებული მიწოდებებიდან) შემოსავლები ფაქტობრივად მომდევნო პერიოდში შემოდის გადამხდელს ანგარიშზე და

შესაძლებელია, მას გასანაწილემელი თანხა პრაქტიკულად არც აღმოაჩნდეს ანგარიშზე, მაშინ ვერც მის განაწილებას მოახერხებს და დეკლარირების პროცესი შეფერხდება. გართულდება აგრეთვე საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო შემოსწმენების პროცესიც და გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო შემოსწმენებზე უფრო მეტი დრო დაიხარჯება, ვიდრე აქამდე სჭირდებოდა; აღნიშნული გადასახადის დეკლარირების პერიოდულობის შემცირების, აგრეთვე გადასახდელი გადასახადის დაუგროვებლობის პრინციპიდან გამომდინარე, (რამდენადაც საანგარიშგებო წლის მიხედვით ანგარიშგების შემთხვევაში წლის ბოლოს გადამხდელს უჭირთ ერთიანად მათი გადახდა), მიზანშეწონილია და გადასახადის გადამხდელთათვის უფრო პრაქტიკულია კვარტალური დეკლარებისა და გადასახადის გადახდის დაწესება არაუგვიანეს მომდევნო კვარტლის მეორე თვის 15 რიცხვისა.

აღნიშნულის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელს მნიშვნელოვნად შეუმცირდებათ საგადასახადო ორგანოში წარსადგენი დეკლარაციების რაოდენობა, ამასთან, გონივრულ ვადამდე გაიზრდება დეკლარაციის შედგენისთვის საჭირო დრო (ნაცვლად 15 დღისა, გადამხდელს ამისათვის თვენახევარი ექნება). გარდა ამისა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამით პრაქტიკულად მოგების გადასახადის ბიუჯეტში შემოდინების პერიოდი თანხვედრაში მოვა მოქმედი რეგულაციით გათვალისწინებულ ნორმასთან, რომლის თანახმად, მოგების გადასახადის გადამხდელი წელიწადში 4-ჯერ, - მიმდინარე გადასახადელების სახით (არაუგვიანეს 15 მაისისა, 15 ივლისისა, 15 სექტემბრისა და 15 დეკემბრისა), გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის 25-25 პროცენტის ოდენობით იხდიდა. პრაქტიკულად აღმოიხვერება ის პრობლემაც, რაც თან ახლდა შემთხვევებს, როცა გადასახადის გადამხდელის მიერ მიმდინარე გადასახდელის სახით გადასახდელი ფაქტობრივად არ ემთხვეოდა მიმდინარე წლის შედეგებით წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებს და შედეგად, გადამხდელს ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები რჩებოდა.

აღარაფერს ვამბობთ იმ შემთხვევებზე, როცა გადასახადის გადამხდელი მიმდინარე წლის შემოსავლების (მოგების) 50 პროცენტზე მეტით შემცირების საბაბით, საგადასახადო ორგანოს მიმართავდა მიმდინარე გადასახადებისგან განთავისუფლების თაობაზე, ხოლო წლის შედეგების მიხედვით თუ აღმოჩნდებოდა, რომ მას შემოსავალი (მოგება) 50 პროცენტით კი არა, არამედ 50 პროცენტზე ნაკლებით შეუმცირდა, ამ გადამხდელს მოგების გადასახადის პირადი აღრიცხვის ბარათზე აღუდგება შესაბამისი პერიოდების მიხედვით მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვალდებულება და ფინანსური საწესი (საურავები) დაერიცხება, რაც გადამხდელისთვის ზედმეტ სოლიდურ ტვირთს წარმოადგენს;

კანონპროექტის თანახმად, მოგების გადასახადის ახალი რეგულაციის ამოქმედება იგეგმება 2016 წლის 1 ივლისიდან. ამ დრომდე, 2015 წლის საანგარიშგებო პერიოდის მოგების გადასახადის სავადო დრო - 1 აპრილი. ამდენად, საწარმოებს 2015 წლის დეკლარირებული მოგების გადასახადის გადახდა მოუწევთ საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების ძალაში შესვლამდე. ასევე, მიმდინარე წლის 15 მაისამდე გადაიხდიან მოგების გადასახადის საავანსო გადასახდელსაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ 2016 წლის ბიუჯეტის სეკვესტრის აუცილებლობა დადგეს. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სუბსიდირების, ადმინისტრაციული და სხვა არამწარმოებლური ხარჯების შემცირება მოუწევთ, რაც მომჭირნეობის რეჟიმის და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდის შეფერხების ანგარიშგასანევი ფაქტორია.

მოგების გადასახადის ახალი რეგულაციის ამოქმედებიდან საწარმოებს განაწილებული მოგების მიხედვით მოუწევთ ყოველთვიური დეკლარაციების წარდგენას, 2016 წლის 6 თვეზე - 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით არასრულ საგადასახადო პერიოდზე 2016 წლის 1 ნოემბრამდე ძველი წესისამებრ მოუხდებათ მოგების გადასახადის (ნახევარი წლის) დეკლარაციის ჩაბარება, რომელშიც უნდა აისახოს საწარმოს 2016 წლის 6 თვის - 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით





არასრულ საგადასახადო პერიოდში მიღებული ერთობლივი შემოსავალი და აღნიშნულ პერიოდს მიკუთვნიებული ამ კოდექსით გამოქვითვას დაქვემდებარებული თანხები: საამორტიზაციო ანარიცხები, ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯები, ქონების გადასახადი და სხვა ხარჯები, რომლებიც იანგარიშება მხოლოდ კალენდარული წლის მიხედვით, გამოიქვითება ამ არასრული პერიოდის პროპორციულად.

ჯერ-ჯერობით გაუგებარია და ბუნებრივად ჩნდება კითხვები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ძირითადი საშუალებების წლიური ამორტიზაციის თანხების პროპორციული გამოანგარიშება 2016 წლის პირველ 6 თვეზე, 2016 წლის 1 ნოემბრამდე (დეკლარაციის წარდგენის ვადის ამონაწერამდე), მაშინ როცა მოქმედი წესის შესაბამისად ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის განგარიშება საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით დადგენილი პროცენტული განაკვეთებით, საანგარიშო წლის ბოლოსათვის აღნიშნული ჯგუფების ღირებულებაზე კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ პროცენტულ განაკვეთებზე გამრავლებით ხდება.

გაურკვეველია, რა ბედი ეწევა 2016 წლის წლის 6 თვის არასრული საგადასახადო პერიოდის მიხედვით ძირითად საშუალებათა ამორტიზაციების დარიცხვის შემდგომ საწარმოს ბალანსზე დარჩენილ ძირითად საშუალებათა ნარჩენ საბალანსო ღირებულებებსაც და რა წესით მოხდება მათი გამოქვითვები?

ანალოგიურადვე, რა პროპორციით უნდა მოხდეს 2016 წლის 6 თვეზე წარმომადგენლობითი ხარჯების არასრულ საგადასახადო პერიოდის - 6 თვის პროპორციულად დადგენა, როცა საწარმოს (ეკონომიური საქმიანობის მიერ განმხორციელებელი პირის) წარმომადგენლობითი ხარჯი სსკ-ის 116-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნული პირის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 1 პროცენტის ოდენობით იანგარიშება და 2016

წლის 1 ნოემბრისათვის საანგარიშო წელი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული?

აქვე მნიშვნელოვანი და არსებითია ისიც, რომ სსკ-ის 68-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა, რომელიც არეგულირებს მოგების გადასახადის დეკლარაციის გადავადებას, 2016 წლის არასრული საგადასახადო წლის (6 თვის) მოგების გადასახადის დეკლარაციის გადავადებაზე არ გამოიყენება.

ამასთან, ზემოაღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, როგორ მოახერხოს საწარმომ მითითებულ ვადაში 2016 წლის 1 ნოემბრამდე სრულყოფილი და უნაკლო დეკლარაციის წარდგენა?

ამდენად, აშკარაა, რომ მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეგულაციის ამოქმედება 2015 წლის 1 ივლისიდან გადამხდელთათვის მრავალ თავსატეხს წარმოშობს, ამიტომ თუ ეს მაიც დღის წესრიგში დარჩება, პროექტი უპრიანი იქნება ძალაში შევიდეს მომავალი ახალი საგადასახადო წლის 2017 წლის 1 იანვრიდან. ამით პრაქტიკულად მოიხსნება ის პრობლემა, რაც თან ახლავს 2016 წლის არასრული საგადასახადო პერიოდის (6 თვის) მოგების გადასახადის დეკლარაციის შემოსავლების სამსახურში წარდგენას.

როგორც თანდართულ განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. მის შემუშავებაში, მონაწილეობა არ მიუღიათ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებს (დანესებულებებს), ექსპერტებს, სპეციალისტებს. შესაბამისად არ არსებობს მათი შეფასებები, რის გამოც ახლახან გამართულ ბიზმეს-მენებთან, გადამხდელებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას კანონპროექტის მიმართ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებაზე თავად პრემიერს მოუწია პირობის გაცემა.

ვფიქრობთ, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და წინადადებებიც გარკვეულად მისაღები და გასათვალისწინებელია.

# ქართული მინა საფრთხეშია!

## ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბ-ნ გიორგი კვიციანიშვილს!

**ბატონო პრემიერ-მინისტრო,**

გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ ქვეყნისთვის იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემას, რომელიც საქართველოში მინის მართვისა და აღრიცხვის საკითხს ეხება. სამწუხაროდ, უკვე მივედით იმ სავალალო შედეგამდე, რომელსაც მინის რესურსებზე სახელმწიფოს მიერ ერთიანი კონტროლის დაკარგვა ჰქვია. პრობლემის გადაუწყვეტელობა არარეალურს გახდის ეროვნული ეკონომიკის წინსვლას, გააღრმავებს უნდობლობას ხალხსა და მთავრობას შორის და დიდ დაძაბულობას გამოიწვევს.

**2004 წელს საქართველოს ხელისუფლებამ** მოსულმა ახალმა მთავრობამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უსაფუძვლოდ, გააუქმა მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და, მისი ძირითადი ფუნქციები გადაანაწილა იუსტიციის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს შორის. ფუნქციების ამ გადაანაწილებას (გახლეჩას) შედეგი არ მოჰყოლია. მინის აღრიცხვა და მინის ბალანსის შედგენა დღემდე არ ხორციელდება. დღეს ვერავინ გეტყვით, თუ რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მინის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.

**2005 წლამდე** ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მინების აღრიცხვა მინის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მინის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მინის ბალანსს, რომელიც შემდეგ გადაეგზავნებოდა მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს. თითოეულ რაიონში ჩატარებული მინის აღრიცხვის საფუძველზე ხდებოდა საქართველოს მინის ყოველწლიური ბალანსის შედგენა. მინის ბალანსი განიხილებოდა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და მტკიცდებოდა მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მინის რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

მინის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მინის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მათ შორის, ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზების და სხვა საჭიროებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მინის ჩანაცვლებას და ა.შ.

დღეს ძნელად წარმოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც მინის ყოველწლიური ბალანსი ან მსგავსი რამ არ კეთდებოდა - მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული მინის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდა და არ აანალიზებდა, არ აკონტროლებდა მინის რესურსების მოძრაობას (დინამიკას), არ იცოდა, თუ როგორ იცვლება ქვეყანაში მინის კატეგორიები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რაც აქტუალური გახდა სავარგულის თითოეულ სახეობაზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო, არ ახორციელებდა ქმედით ღონისძიებებს მინის რესურსების რაციონალური მართვის მიზნით.

სამწუხაროდ, სამთავრობო სტრუქტურების ზოგიერთი ხელმძღვანელი მინის ბალანსს ვერ ასხვავებს მინის კადასტრისგან და აცხადებს: რა საჭიროა მინის აღრიცხვა, როცა გვაქვს და ვაკეთებთ მინის კადასტრს. მინის კადასტრი არის რეგისტრაციის მომენტისთვის მინის ფართობის ერთჯერადი დადგენა კარტოგრაფიული და იურიდიული მდგომარეობით.

მინის ბალანსი მინის აღრიცხვა არის მინის ფართობების დადგენა მინის დანიშნულების, კატეგორიებისა და მესაკუთრეების მიხედვით. მაგალითად, მინის ბალანსი რაიონში აღრიცხავს და აზუსტებს მთლიან ფართობს, მათ შორის რამდენი ჰექტარია სასოფლო-სამეურნეო მინა კატეგორიების მიხედვით (სახნავი, სათიბი, საძოვარი, მრავალწლიანი ნარგავები: ვენახი, ხილის ბაღები, ციტრუსები, ჩაის ფართობები და სხვა.), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინა, ტყის ფონდის მინა, წყლის ფონდის მინა და სხვა მინები მესაკუთრეების მიხედვით.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხშირად აქვს ადგილი სასოფლო-სამეურნეო სავარ-



გულისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის ცნებების აღრევას – სავარგული არის მინის ნაკვეთი, რომელიც უშუალოდ გამოიყენება პროდუქციის მოსაყვანად. სავარგულების კატეგორიები: სახნავი, ნასვენნი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბები და საძოვრები; ხოლო, საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთად რეგისტრირებულ მიწებში იგულისხმება სავარგულები და ასევე, ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობები, გზები, ქარსაფარი ზოლები, არხები და ა.შ., რომლებიც ემსახურება სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

**საინტერესოა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელსაც ევალება მინის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, როგორ ადგენს ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმას, როდესაც არ გააჩნია მინის განვითარების ხედვა, სტრატეგია, აღრიცხვის მონაცემები და სახელმწიფო პროგრამა. ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ როგორ შეიმუშავა: „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ.“, როდესაც არ იცის და არ აქვს დაზუსტებული, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მონაცემები, მათი დინამიკა კულტურებისა და საკუთრების მიხედვით.**

როგორც ცნობილია, კონტროლს მინის გამოყენებაზე უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო. მინის ფონდის კონტროლი და მართვა მხოლოდ სახელმწიფოს განსახორციელებელია და ამისთვის შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა ქვეყნის რაციონალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების გარანტი უნდა იყოს.

მართალია, რეგისტრაციის შედეგად მიღებული მინასთან დაკავშირებული ინფორმაცია

წარმოადგენს მნიშვნელოვან და ძვირფას რესურსს, მაგრამ სრულყოფილი რეესტრის წარმოების შემთხვევაშიც კი, მარტო ამ რესურსზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ ქვეყნის მინის პოლიტიკის განხორციელება და ეფექტურად მართვა შეუძლებელი იქნება, თუ არ იარსებებს მინის მართვის ძლიერი სახელმწიფო ორგანო.

იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი საქმიანობა უნდა განხორციელდეს, პოლიტიკური განსჯის საგანი არ უნდა იყოს ის, თუ რომელ სამინისტროს ან ორგანიზაციას შეუძლია უკეთესად შეასრულოს მმართველის ფუნქცია – აუცილებელია შეიქმნას მინის ადმინისტრირების მაკოორდინირებელი ორგანო (სახელს მნიშვნელობა არა აქვს, იქნება სააგენტო, სამსახური თუ სხვა), რომლის ამოცანა იქნება მინის ადმინისტრირება – სახელმწიფო მმართველობა, სახელმწიფო ზედამხედველობა, მინის გამოყენების კოორდინაცია, მინის რესურსების მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა – ცვლილებების ყოველწლიური ანგარიშის მომზადება. ანუ, მინის ადმინისტრირების ორგანო უნდა ფლობდეს ძლიერ პოზიციას მთავრობაში – ერთიანი რესურსის ინფორმაციასა და ძალაუფლებას შორის ურთიერთკავშირის აუცილებლობის გამო.

ქვეყნის უპირველესი ეროვნული სიმდიდრის – მინის – დაცვა და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის მონესრიგება შეუძლებელი იქნება მინის მართვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის, მინაზე მონიტორინგისა და მინის კოდექსის მიღების გარეშე.

მინის ფართობების ყოველწლიური აღრიცხვის უგულებელყოფას და მინის კოდექსის არარსებობას მომავალი თაობები არ გვაპატიებენ!

იმედი გვაქვს, რომ ქმედით ნაბიჯებს გადადგამთ ამ სახელმწიფოებრივად არსებითი პრობლემის გადასაჭრელად.

#### პატივისცემით,

ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), პროტოპრესვიტერი გიორგი (ზვიადაძე), დეკანოზი თევდორე (ამბროლაძე), რეზო ამაშუკელი, გია არეშიძე, რობერტ ბაბლიძე, იოსებ ბაჩიაშვილი, დემურ ბახტაძე, მერაბ ბოხუა, გივი ბუცხრიკიძე, მერი გაბედავა, რამაზ გახოკიძე, მამუკა გიორგაძე, რევაზ გოგოხია, როსტომ გუნთაიშვილი, ვახტანგ გურული, ავთანდილ დემეტრაშვილი, ლევან ვასაძე, მერაბ ვაჩნაძე, დავით ზარდიაშვილი, გენო კალანდია, ჯემალ კაციტაძე, გია მაისაშვილი, ბესიკ მამინაშვილი, გოგოლა მარგველაშვილი, გურამ მაქაცარია, შოთა მაჭარაშვილი, რევაზ მახარობლიძე, ანზორ მესხიშვილი, ზურაბ მიქელაძე, გრიგოლ მურდულია, ნოდარ ნათაძე, ზაურ ნაჭყებია, ოთარ ჟორდანიანი, ბადრი რამიშვილი, ზურაბ რევიშვილი, ნიკა სანებლიძე, ლევან სვანაძე, ავთანდილ სილაგაძე, აპოლონ სილაგაძე, ნაუმ ტურაბელიძე, თენგიზ ურუშაძე, ჯუმბერ ფანჩულიძე, ყარამან ფაღავა, ლევან ფრუიძე, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ომარ ქეშელაშვილი, თამაზ ყურაშვილი, თემურ შაშიაშვილი, ზვიად შვანგირაძე, რევაზ ჩაგელიშვილი, ლევან ჩაჩუა, ნიკო ჩიხლაძე, ნინო ჩიხლაძე, თინა ჩხეიძე, მურმან ცეცხლაძე, თამაზ ნივნივაძე, ნოდარ ჭითანავა, მიხეილ ჭიჭაღუა, ეთერ ხარაიშვილი, ჯემალ ხაჩიძე, რამაზ ხუროძე, ელიზბარ ჯაველიძე, მიხეილ ჯიბუტი, ზაურ ჯინჯოლავა, დოდო ჯოლოსავა, პაატა კოღუაშვილი.

# მინა, ანუ, ბელი ამა ქვეყნისა!

(წერილი პირველი)

## ტერიტორიული იდენტობა და მინათ-მფლობელობა

გიორგი მერჩულემ ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში ბრძანა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.“ ეს დეფინიცია საქართველოს ტერიტორიულ, ენობრივ და სარწმუნოებრივ იდენტობას გამოხატავს.

იდენტობის დამდგენ ამ ტრიადაში უწინარესი ქვეყანაა, ტერიტორიული იდენტობაა. ქვეყანა ქართულად სწორედ მინას აღნიშნავს. „ფრიადი ქვეყანაი“ - მინათა ერთობლიობა და ერთიანი მთლიანობაა; ანუ ტერიტორიული იდენტობაა ეროვნული თვითცნობიერების და შესაბამისად, სახელმწიფოებრიობის ნიადაგი.

ქართული ცივილიზაცია გეორგიანულია. საქართველოს ეს საერთაშორისო სახელდება მინათ-მოქმედებისგან მოდის. მინათმოქმედი, „პურისა და ღვინის მომყვანი“ ხალხისთვის საკუთარი ეროვნული იდენტობის სრულად გაცნობიერება უწინარესად მინათ-მფლობელობისა და მინათ-სარგებლობის მონესრიგებულობას უკავშირდება. „ფრიადი ქვეყანა“ ეს ის ტერიტორიაა, სადაც მინათ-მფლობელობისა და მინათ-სარგებლობის საერთო ქართული ადათი და წეს-რიგია დამკვიდრებული.

ტერიტორიული იდენტობა წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არა მინათ-მფლობელობის და მინათ-სარგებლობის მონესრიგებულობა.

ქართული ტრადიციული სამართალი უწინარესად მინის საკითხს აგვარებდა. ნიშანდობლივია, რომ მინათ-მფლობელობის ძირეული პრინციპი მინაზე არა მხოლოდ კერძო, არამედ, საზოგადოებრივი, ე.ი. სათემო საკუთრების არსებობა იყო. საქართველო ევროპული ცივილიზაციის ნაწილად, პირველ რიგში, სწორედ ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ისტორიულად არსებული მინათ-მფლობელობის ეს ქართული წესი ტიპოლოგიურად სწორედაც რომ ევროპულია.

ასევე, ქართულად თემი იგივეა, რაც ლათინურად კომუნა და როგორც ევროპაში, აქაც ავტონომიურ ტერიტორიულ თანასაზოგადოებას - ისტორიულად, უწინარესად, სოფლის (ასევე, დაბისა თუ ქალაქის ანდაც, მსხვილი დასახლების შემთხვევაში - თუნდაც უბნის) მკვიდრთა საზოგადოებრივ ერთობას გამოხატავს.

მინაზე საზოგადო საკუთრება სახელმწიფო არ გახლდათ, იგი სწორედაც რომ სათემო იყო. ხოლო სახელმწიფოს, მონარქიულ წეს-წყობილებაში მეფე განასახიერებდა და რასაკვირველია, სამეფო თუ საუფლისწულო მინა, ისევე, როგორც საბატონო, ანდა თუნდაც საეკლესიო, სათემოსგან იმიჯნებოდა.

ქართული სოფელი და იქ მოსახლე თემი, როგორც სამართალ-სუბიექტი ისტორიულად მყარად არსებობდა, რამდენადაც იგი სათემო მესაკუთრეს წარმოადგენდა: სოფლის თემისა გახლდათ საერთო



სარგებლობის საძოვარი, სათიბი, ტყე, სოფლის წყარო, წყალსატევი თუ მდინარე, ქალა, სარეზერვო სახნავ-სათესი, სასოფლო და შიდა სამეურნეო გზა და სხვ მინები. თემის თითოეულ მკვიდრს, ე.ი. საკარმიდამოსა და სახნავ-სათესის პატრონ ამ სოფელს კომლს, წილი ჰქონდა და მონაწილეობდა საერთო სარგებლობის სათემო საკუთრების მართვაში.

ამასთან, სოფელში თემს შეკედლებული ხიზნებიც ცხოვრობდნენ, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ სოფელში, შესაძლოა, სამკვიდროც კი შეეძინათ, სათემო ქონებაში იმთავითვე წილი არ ედოთ. მხოლოდ დროთა განმავლობაში, როცა მათი სვე-ბედი სოფლისას იმდენად მჭიდროდ დაუკავშირდებოდა, რომ თემისადმი მათი კუთვნილება, თემის ინტერესებისადმი მათი ერთგულება ჟამის არაერთ გამოცდას გაუძლებდა, ხდებოდნენ ისინი თემის სრულფასოვანი წევრები. ისიც ნიშანდობლივია, რომ თემიდან მოკვეთა, გაძევება სამოქალაქო სიკვდილს უტოლდებოდა და თემის მიერ გამოტანილ ყველაზე მძიმე სასჯელს წარმოადგენდა!

ამრიგად, საქართველოში ტერიტორიული იდენტობა არა მხოლოდ საერთო ეროვნული ანუ საქვეყნო, არამედ სათემოც იყო და ეს იმთავითვე სათემო მინათ-მფლობელობითაც იყო განპირობებული.

ქართული სახელმწიფო, თუნდაც დანაწევრებული და დაშლილიც კი, რომელიც ქართულ სამართალს მაინც აღასრულებდა, ათასწლეულების განმავლობაში მყარად იცავდა მინათ-მფლობელობის ამ ქართულ წესს და მაშასადამე, როგორც საქვეყნო, ე.ი. საერთო-ეროვნულ, ასევე და არანაკლებ, სათემო იდენტობასაც.

მინათ-მფლობელობის მონესრიგებულობიდან წარმოდგებოდა არა მხოლოდ იმდროინდელი თაობების, არამედ მათ წინაპართა და შთამომავალთა ერთიანი იდენტობა, უწყვეტი მემკვიდრეობითობა, წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურღვევი კავშირი. ეს სწორედ

**SOS!**

იმას ნიშნავდა, რომ საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში „ფრიადი ქვეყანაცა“ და ამ ქვეყნის ყოველი სოფელიც ქართველებს სამუდამოდ ჰქონდათ დამკვიდრებული!

მინის საკითხის ქართული წესით მონესრიგებულობა აუცილებელი წინაპირობა იყო, რომ ბედი ამა ქვეყნისა, მიუხედავად ათასგვარი ჟამთა სიავისა, არავითარ შემთხვევაში სასწორზე არ იქნებოდა შეგდებული!

**მინათ-მფლობელობის ქართული წესის მოსაზრება და ტერიტორიული იდენტობის რღვევა. სიზნები და ჯაყობი**

სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ ქართული სამართლის უგულებელყოფა და მინათ-მფლობელობის ქართული წესის მოსაზრება განაპირობა. რუსეთის იმპერიის პირობებში საფრთხე მთლიანად ქართველთა ეროვნულ იდენტობას დაემუქრა.

ეროვნული თვით-ცნობიერების გადასარჩენად დიდმა ილიამ ახალ ეპოქაში თავიდან, ახალ ქართულად, დამახასიათებელი ძარღვიანი ჟღერადობითა და როგორც სამოქმედო დევიზი, გაიმეორა საქართველოს რაობის განმსაზღვრელი გიორგი მერჩულესეული ფორმულა: **„მამული, ენა, სარწმუნოება!“** ამ ტრიადამი იგივე უცვლელი თანმიმდევრობაა შენარჩუნებული; ე.ი. ისევე, როგორც გიორგი მერჩულემ - „ფრიადი ქვეყანა“, ილიამაც ენასა და სარწმუნოებასთან ერთად, უწინარეს საუნჯედ სწორედ მამული - მამა-პაპათგან საპატრონოდ და მოსავლელად დანატოვარი მინა დაასახელა.

მინის, როგორც არა მხოლოდ კერძო საკუთრების ობიექტის, არამედ როგორც ქართველთა ტერიტორიული იდენტობის განმსაზღვრელი ღირებულების - საერთო მამულის დაცვა, ენისა და სარწმუნოების დაცვასთან ერთად, ილიას მიერ დარაზმული ეროვნული მოძრაობის მთავარი გეზი და ძირითადი სამოქმედო პროგრამა იყო.

სწორედ ილიას საადგილმამულო ბანკმა დაიცვა ქვეყანა ინდუსტრიალიზმის გარიჟრაჟზე, იმ პირობებში, როცა ქვეყანა უცხო სახელმწიფოს ოდენ პროვინციას წარმოადგენდა, მინის მიტაცებისა და იმგვარი სრულმასშტაბიანი ეროვნული კატასტროფისგან, რომლის კონტურები დიდმა ქართველმა, **ნიკო ლორთქიფანიძემ** სულისშემძვრელ **„იყიდება საქართველო!“**-თი დახატა...

...რუსეთის ცარისტული იმპერიის დამხობის შემდგომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა უნდა გამხდარიყო ის მთავარი პირობა, რომ ინდუსტრიალური განვითარების ეპოქაში ქართველობა, როგორც რაციონალურად მოწყობილი ერი-სახელმწიფო, „ფრიადი ქვეყანასაც“ და სათემო იდენტობასაც უკვე დემოკრატიული წეს-წყობილებითდაიცავდა. სახელმწიფო ხელისუფლებათა დანაწილებისა და ურთიერთ-განონასწორების, ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპების დამკვიდრება გახდებოდა გარანტი, რათა მინათ-მფლობელობის ქართული წესს ახალ ვითარებაში შეესხა ხორცი.

**სამწუხაროდ, 1918-21 წწ. დემოკრატიული საქართველოს მესვეურებს არა იმდენად ეროვნული, რამდენადაც მარქსისტულ-კლასობრივი იდენტობა ამოძრავებდათ. ამიტომ, ისტორიული მემკვიდრეობითობა მათთვის ნაკლებ ღირებული იყო. ეს სავალალო გარემოება წითელ ხაზად გასდევს მთელს მათ მოღვაწეობას.**

1921 წლის კონსტიტუციის 116-ე მუხლში ჩაინერა, რომ: **„...მინის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მინის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.“**

მიუხედავად იმისა, რომ მინის, როგორც განსაკუთრებულად დაცული ღირებულების, მოვლის სავალდებულობა კონსტიტუციით იქნა დეკლარირებული, სათემო მინათ-მფლობელობის აღდგენა და ამისთვის საკმარისი გარანტიების შექმნა ნაკლებად იყო მენშევიკური აგრარული რეფორმის მიზანი; მათი მთავარი მიზანი კერძო მესაკუთრეებს შორის მინის ე.წ. თანასწორი და „სოციალისტურად სამართლიანი“ გადანაწილება იყო. ეს ქართველ მენშევიკებს არც გამოუვიდათ და არც დასცალდათ; ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე, პროფესორი **ზურაბ ავალიშვილი** აღნიშნავს: **„აგრარულმა რეფორმამ ერთნი გააღატაკა და დაამცრო, ხოლო სხვებს ისე მიაკუთვნა მინა, რომ მათთვის რაიმე სერიოზული ფინანსური გადასახადი ან სავალდებულო სამხედრო სამსახური არ დაუკისრებია...“**

1918-21 წწ. რესპუბლიკის დამხობისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ უწინადაგობა, ყოველი საკითხის, მათ შორის, ცხადია - აგრარული საკითხისაც, გადაწყვეტისას ისტორიული მემკვიდრეობითობის უგულებელყოფა გახდა...

**...თუკი დემოკრატიული რესპუბლიკის აგრარული რეფორმა ჯერ კიდევ ტოვებდა შანსს, რომ ერი-სახელმწიფოდ ორგანიზების კვალობაზე თავიდანვე თუ არა, ბოლოს მაინც აღდგენილიყო სამართლიანი, ე.ი. კერძო და საზოგადოებრივი ქართული მინათ-მფლობელობა, საბჭოთა იმპერიამ ერსაც და ქართულ თემსაც ნიადაგი მთლიანად გამოაცალა: კერძო საკუთრებასთან ერთად საერთოდაც მოსპო სათემო საკუთრებაც; ხოლო ქართული მინა საბჭოეთის საერთო-სახალხო საკუთრებად გამოაცხადა!**

საერთო-სახალხო საკუთრება მინაზე იმას ნიშნავდა, რომ ქართული მინის ყოველ კონკრეტულ ნაკვეთზე მკვიდრ ქართველს ზუსტად იგივე უფლებები ჰქონდა, როგორც ამ უკიდევანო სახელმწიფოს ნებისმიერ გეოგრაფიულ წერტილში მოსახლე ნებისმიერ უცხოტომელს; თუ წარმოვიდგენთ, რომ სსრკ-ში 250 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, მინის ყოველ ნაკვეთზე თითოეული მოსახლის „ფორმალურ-არითმეტიკული“ წილი ერთ ორასორმაცდაათ მემილიონედს, ე.ი. რაც არ უნდა დიდი, მაგრამ კონკრეტული ნაკვეთი წარმოვიდგინოთ, პრაქტიკულად - ნულს შეადგენდა; რასაკვირველია, ასეთ წილი სრულ აბსტრაქციას წარმოადგენდა, რადგან, გარდა იმისა, რომ „ფორმალურ-არითმეტიკულად“ იგი სრულიად უმიშვნელო და პრაქტიკულად ნულის ტოლი იყო, ცალკეული საბ-



ჭოთა მოქალაქე რაიმე წილის მართვისგან მოტიანად იყო ჩამოშორებული; მინას კონკრეტული პატრონი იურიდიულად აღარ ჰყავდა, ხოლო აბსტრაქტული თანასწორუფლებიანობა სინამდვილეში მათი, ვისაც ეს მინა ხელში ჩაუვარდა, ე.ი. ბოლშევიკების, უფრო სწორედ - მათი ბელადების, აბსოლუტურ, შეუზღუდავ ძალაუფლებას ნიშნავდა!

კერძო და სათემო საკუთრების მოსპობამ და მიწაზე საერთო-სახალხო საკუთრების ძალადობით დაწესებამ ყოფილ მესაკუთრეთა, ე.ი. როგორც კერძო, ასევე სათემო მიწათ-მფლობელთა თავისსავე ყოფილ მამულში უმინაწყო ხიზნებად გადაქცევა განაპირობა. სწორედ ის გულსაკლავად დრამატული ვითარება შეიქმნა, რაც მიხეილ ჯავახიშვილს ასე შესანიშნავად აქვს დახატული „ჯაყოს ხიზნებში“. წეს-რიგი ყირამა-ლა დადგა: თეიმურაზ ხევისთავი, უილაჯო და უვარგისი ყოფილი კერძო მემამულე ბედის უკუღმართობით ყოფილ ხიზანს, ჯაყოს, რომელიც მამულს ავაზაკური „მოხერხებულობითა“ და ხეპრეს თავხედობით დაეპატრონა, შეეხიზნა! იგივე უბადრუკ დღეში ჩაგარდა არა მხოლოდ ყოველი კერძო მემამულე, არამედ მინა წართმეული ქართული თემიც!

აბსტრაქტულ საერთო-სახალხო საკუთრებას სინამდვილეში ჯაყოების კასტა დაეპატრონა; მთავარი ჯაყო, ანუ ჯაყოთა-ჯაყო, რასაკვირველია, ბოლშევიკთა დიადი ბელადი იყო, ხოლო მის მიერ „სიმაღლის“ მიხედვით მწკრივში ჩაყენებული ჯაყოები კი იერარქიულად ხელდასმული ნომენკლატურა; ჯაყოთა ამ იერარქიას შეხიზნული აღმოჩნდა მამულ წართმეული ქართველობა სათითაოდაც და საზოგადოდაც, ე.ი. ერთიანობაშიც: როგორც თემი და როგორც ერი. ამ საბედისწეროდ სავალალო ვითარებამ ტერიტორიულ იდენტობას მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა: თეიმურაზ ხევისთავისა არ იყოს, დაიწყო ქართველთა ეროვნული და პიროვნული დე-იდენტიფიკაციის,

**დე-პეროსნალიზაციის, რღვევის მომკვდინებელი პროცესი**, ხიზანთა მდაბიური და მხდალი, თავკერძა და უპასუხისმგებლო „ეთიკის“ ჩამოყალიბება, რაც საბჭოური და პოსტ-საბჭოური პატრონ-კლიენტელიზმის, უფრო სწორედ - პატრონ-ხიზნური (!!!) სოციალური წყობის საფუძველია!

თუმცა, მაინც ღმერთმა დაგვიფარა და ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართველთა ენობრივ-კულტურული იდენტობა იმდენად ღონიერი აღმოჩნდა, რომ მიუხედავად კომუნისტური ჯოჯოხეთისა და წყვდიადისა, ეროვნულობა მაინც არ დაგვიკარგავს! **ეროვნულობა შევინარჩუნეთ, თუმცა, პატრონების გარეშე მოწესრიგებული საქმიანობის უნარი დაგვარგეთ და ხიზნობა ძვალ-რბილში გავგიჟდა...**

...ავაზაკობასა და ძალაობაზე აშენებული საბჭოური ინდუსტრიალიზმი და მისი წეს-რიგი, მათ შორის საბჭოური მავნე მიწათმფლობელობაც, უნდა დანგრეულიყო და აკი დაინგრა კიდევ!

დაინგრა, თუმცა საბჭოური ყაიდის პატრონ-ხიზნური ურთიერთობანი გაცილებით მყარი აღმოჩნდა. მით უმეტეს, რომ მიწათ-მფლობელობის მავნე საბჭოური წესი, რომელიც ჯაყოსა და ხიზნების მოდუსს განაპირობებდა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ახალი წეს-რიგით ვერ შეიცვალა და უკვე უწესრიგობის სახით იჩინა თავი. ხოლო როგორია ეს უწესრიგობა, მომავალ წერილში განვიხილოთ...

**პაატა კოლუაშვილი,**  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ლავით ზარდიაშვილი,**  
ექსპერტი მუნიციპალურ სამართალში

# უპატრონო მიწა, ხიზნები და სტარტზე მდბარი ახალი ჯაყოები!

(წერილი მეორე)

ღვთის მაძლით, საქართველომ სახელმწიფოებრიობა მე-20 საუკუნის მიწურულს კვლავ დაიბრუნა, მაგრამ დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე უმძიმესი საბჭოური მემკვიდრეობით დატოვებულ საბედისწერო პრობლემათა თითქმის გამოუვალ მორევში აღმოჩნდა!

**ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური პრობლემა, რაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველომ დღემდე ვერ მოაგვარა, სწორედ მიწის საკითხია.**

მართალია, საბჭოური საერთო-სახალხო საკუთრება მიწაზე დასრულდა, მაგრამ ამ საკუთრების მემკვიდრე ქართულმა სახელმწიფომ მიწის ჯეროვნად პატრონობა დღემდე ვერ მოახერხა. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ჯეროვანი პატრონობა უწინარესად ის იქნებოდა, რომ ქვეყანა მძიმე მემკვიდრეობიდან საბოლოოდ გათავისუფლებულიყო, „საერთო-სახალხო“, ე.ი. აბსტრაქტული მიწათ-მფლობელობისგან ხელი აეღო და რაც მთავარია: კერძო და სათემო მიწათ-მფლობელობის ქართული წეს-რიგი ახალ ვითარებაში პრაქტიკულად თავიდან, ხელახლა დაემკვიდრებინა!

მართალია, 90-ანი წლების დასაწყისში აგრარული რეფორმის გასატარებლად პირველი ნაბიჯები გადაიდგა, როცა სასოფლო მიწა მის ნამდვილ პატრონებს - ქართველ გლეხებს საკუთრებაში დაუბრუნდათ, მაგრამ ამ რეფორმას განვითარება არ მოჰყოლია: მიწის უდიდესი ნაწილი, რომელიც აბსტრაქტულ საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენდა, ამჟამად სახელმწიფო საკუთრებისა და ვაი, რომ მას დღემდე არ გამოსჩენია ჯეროვანი პატრონი!

სათემო საკუთრება მიწაზე არ აღდგენილა და კონკრეტული შინაარსი მიწაზე საზოგადოებრივ საკუთრებას დღემდე არა აქვს - სახელმწიფო მიწა ძირითადად უქმად მიტოვებული, გამოუყენებელი და დაურეგისტრირებელია, იგი მხოლოდ გასაყიდად, გასასხვიებლად თუ გაახსენდებათ ამ მიწის განმკარგავ ვაი-პატრონებს!

საუბედუროდ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ქართულ თემს უმთავრესი უფლებები არ დაბრუნებია - იგი მესაკუთრე სამართალ-სუბიექტს დღემდე არ წარმოადგენს! ხოლო სათემო ქონებას მოკლებული სოფელი უკვე ქართული სოფელი კი არა, არამედ ბედისწერას მინებებული დასახლებაა, სადაც მკვიდრი თემი კი არ სახლობს, არამედ სწორედაც რომ ხიზნები!

სოფლისთვის თავის დროზე წართმეული სათემო ქონება, მართალია, „საერთო-სახალხო საკუთრებად“ აღარ იწოდება, მაგრამ რა ბედენაა? იგი ფორმალურად სახელმწიფოს მიერ მიღებულ იმ ქონებრივ მემკვიდრეობას წარმოადგენს, რომლის უდიდესი ნაწილი გამოუყენებელია, უსარგებლო და უარესიც: აღურიცხავი და დაურეგისტრირებელია, ე.ი. იურიდიულად ეს მიწა დღემდე უპატრონოა!

არასრული და არც თუ მთლად ზუსტი სტატისტიკური მონაცემებით, უკანასკნელი მიწის ბალანსის მიხედვით, რომელიც 2004 წლის შემდგომ საერთოდ აღარც იწარმოება (?!), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით!) შეადგენდა 3025,8 ათას ჰექტარს, მათ შორის, სახნავი - 802,1 ათას ჰექტარს, მრავანლიანი ნარგავები - 263,5 ათას ჰექტარს, სათიბი - 143,5 ათას ჰექტარს და საძოვარი - 1796,6 ათას ჰექტარს. ეს სტატისტიკა სისტემური მიწათ-მონეობის წარმოების შედეგად დამუშავებულ, ობიექტურ საკადასტრო მონაცემებს კი არ ასახავს, არამედ საბჭოური დროის მონაცემების კორექტირების (ღმერთმა უწყის - რა მეთოდოლოგიით) შედეგია.

ასეა თუ ისე, საბჭოთა დროს მიწა აღირიცხებოდა და მიწათ-მონეობაც, მართალია, საბჭოური წესით, მაგრამ მაინც წარმოებდა. სავალალოა, რომ დღეს საქართველო იმ ველურ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება (ისიც საკითხავია, შემორჩა კი დედამიწაზე მსგავსი ქვეყანა?), სადაც მიწათსარგებლობის კადასტრი არ არსებობს, ხოლო, მიწის უფლებრივი კადასტრი („საჯარო რეესტრი“) უმძიმეს მდგომარეობაშია: ბოლო მონაცემებით





აღრიცხული და დარეგისტრირებულია მხოლოდ 1070, 5 ათასი ჰა სასოფლო მიწა, ამ დარეგისტრირებული მიწიდან სახელმწიფო საკუთრებაშია 380, 4 ათასი ჰა. როგორც ვხედავთ, ყველაზე ძვირფასი საუნჯის, რომელიც განუახლებად ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს და თანასწორად ეკუთვნის ქართველთა წარსულს, აწმყო და მომავალ თაობებს, უდიდესი ნაწილი, ე.ი. არსებული მონაცემებით 1955,3 ათას. ჰა მიწა, ანუ სასოფლო-სამეურნეო მიწის მთლიანი ფონდის 65% (ორი მესამედი!) აღურიცხავი, დაურეგისტრირებელი და იურიდიულად უპატრონოა! არანაკლებ სავაგალო მდგომარეობაა არა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის აღრიცხვიანობის თვალსაზრისითაც.

აღურიცხავობის გამო დღემდე უაღრესად რთულია იმის გარკვევა, თუ რა მოცულობის მიწა ეკუთვნის კერძო სექტორს, სახელმწიფოს და რამდენია ე.წ. რუხ ზონაში, ანუ გაურკვეველ მფლობელობაში.

**უარეს დღეშია, საერთოდაც მოუწესრიგებელი და აღურიცხავია მიწათ-სარგებლობა!** გულსაკლავია, რომ გეორგიანული კულტურის უძველეს ქვეყანაში დღეს მიწის მიმართ ისეთი უდიერი დამოკიდებულებაა, რომელსაც ალბათ ანალოგიც კი არ მოეპოვება თანამედროვე მსოფლიოში!

დღეს არავინ უწყის, რეალურად რა მდგომარეობაშია საქართველოს მიწის ფონდი, სად, ვის ხელში და რამდენი გვაქვს მიწა, რისი პატრონები ვართ - რამდენი გვაქვს სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი, ბაღი, ვენახი, ბოსტანი, ტყე, წყლის ფონდის მიწა, სამრეწველო დანიშნულების, განაშენიანების, რეკრეაციის და სხვ. მიწები. აღარაფერს ვამბობთ მიწათ-მონყოფაზე, რომელიც სსრკ-ს დაშლის მერე ფაქტობრივად საერთოდ მოიშალა; ანდა თუნდაც ქალაქგეგმარებასა და ზოგადად, ტერიტორიების სივრცით დაგეგმარებაზე, რაც სავალალო და კატასტროფულ მდგომარეობაშია! ბუნებრივია, ამ ველურ ყოფაში უსაგნო საუბარი რაიმე ეკონომიკურ წესრიგსა ან მით-უმეტეს განვითარებაზე, ოდენ მტკნარი სიცრუე, თავის მოტყუება, წყლის ნაყვავა და სხვა არაფერი!

განსაკუთრებით გულსატკეპნია, რომ ყველაფერთან ერთად ასევე კატასტროფულ მდგომარეობაშია მიწის სა-

მართალიც! დღეს მოქმედ უაღრესად ფრაგმენტულ და წინააღმდეგობრივ კანონმდებლობაში საერთოდაც არ არსებობს საზოგადო, მწყობრი და ერთიანი სამართლებრივი პრინციპები, რაც მიწასთან, როგორც ქვეყნის განუახლებად და უმთავრეს რესურსთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფართო სპექტრს მოაწესრიგებდა.

პირველ ყოვლისა, ეს ეხება, მიწასთან დაკავშირებულ საკუთრებით ურთიერთობებს. **დღემდე არა გვაქვს მკაფიო და დამაჯერებელი, საბოლოო პასუხი კითხვზე: ვინ შეიძლება იყოს საქართველოში მიწის მესაკუთრე?**

მკითხველს კარგად მოეხსენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელთა საკუთრების საკითხთან დაკავშირებული ცხარე დებატები, რომელიც დღეს-დღეისობით საკონსტიტუციო სასამართლომ ვითომ გადაწყვიტა; **ამჟამად უცხოელებს მკვიდრ მოსახლეობასთან თანასწორად და ყოველგვარი შეზღუდვის ან რაიმე წინასწარი პირობის გარეშე აქვთ საქართველოს მიწაზე საკუთრების შექმნის უფლება; ცხადია, ამ „გადანყვევით“ ცხარე დებატები სულაც არ დახურულა, ქართველთა დიდი უმრავლესობა ამგვარ „გადანყვევტას“ არ დაეთანხმება და სრულიად სამართლიანადაც!**

მიწასთან დაკავშირებულ პრინციპულად გადაუწყვეტელ, ან არასწორად გადაწყვეტილ საკითხთა პრობლემურობა მხოლოდ მიწაზე უცხოელების სადავო უფლებებით არ ამოიწურება; ეს მხოლოდ აისბერგის წვერია და ზოგადად იმ ვითარების შედეგი, როცა ქვეყანა და მისი მკვიდრი მოსახლეობა მიწათ-მფლობელობისა და მიწათ-სარგებლობის მოუწესრიგებლობის გამო მიწას ჯეროვნად არ და ვერ პატრონობს!

როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის სამართალი მკაფიო და ცალსახა პასუხს მიწის მესაკუთრე სუბიექტებზე ვერ იძლევა; ამის საბუთია თუნდაც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონი.

კურონოზია, სამართლებრივი ნონსენსია, რომ ამ კანონის მე-4 მუხლი, რომელიც მიწის შესაძლო მესაკუთრეებს ჩამოთვლის, სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრე სუბიექტს, მხოლოდ კერძო საკუთრების ჩამორთმევასა და მაღალმთიან რეგიონებთან დაკავშირებით, გაკვრითა და ფრაგმენტულად მოიხსენიებს;

**SOS!**

არადა, რეალურად, ფაქტობრივი მდგომარეობით, მიწის ყველაზე მსხვილი მესაკუთრე, ცხადია, სწორედაც რომ სახელმწიფოა!

მართალია, კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, რასაკვირველია, სახელმწიფოს მიიჩნევს სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრედ, მაგრამ ეს კანონი ზოგადად არა სახელმწიფო ქონებით სარგებლობას, მისი გამოყენების, მართვისა და დაცვის ჯეროვან რეჟიმებს, არამედ ოდენ სახელმწიფო ქონების განკარგვას, მის პრივატიზებას ანდაც სარგებლობის უფლებით გადაცემას აწესრიგებს!

ეს თავისთავადაც კიდევ ერთი უძძიმესი ფუნდამენტური პრობლემაა: მართლაც, როგორ წარმოგიდგენიათ ყველაზე მსხვილი და საჯარო მიწების განმარტოვებელი მესაკუთრე ქვეყანაში, რომელიც, როგორც ირკვევა, არა საკუთარი ქონების მოვლასა და სწორ მართვაზე, არამედ, კანონის თანახმად, თურმე მხოლოდ იმაზე უნდა ზრუნავდეს, ეს ქონება და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი - მიწა, როგორმე თავიდან მოიშოროს და ნებისმიერ მსურველს მიყიდოს, ან სულაც გააჩუქოს კიდევ!

უარესი კუროზია, რომ არც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონით, არც ტყის და წყლის კოდექსებით მუნიციპალიტეტი საერთოდაც არ მოიხსენიება, როგორც მესაკუთრე სუბიექტი (?!); არადა, იმისათვის, რომ საზოგადოებრივ, საჯარო ქონებას ჯეროვანი პატრონი გამოუჩნდეს, რათა მან საზოგადო სარგებელი მოიტანოს, სახელმწიფო საკუთრების დეცენტრალიზაციას (ე.ი. სახელმწიფო ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემას) გაცილებით უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ქონების პრივატიზაციას!

სავალალოა, რომ მსგავსი კუროზებით ძალზე „მდიდარია“ ჩვენი კანონმდებლობა. თუნდაც მარტო „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ის ნორმარად ღირს (იხ. ამ კოდექსის 107-ე მუხლის მე-4 ნაწ.), რომლის თანახმადაც მიწაზე საკუთრების უფლება სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტს შორის „შეჯიბრზე“ ხდება დამოკიდებული: თურმე უპატრონო მიწა იმისი იქნება, ვინც მის რეგისტრაციას დაასწრებს (?!), ზუსტად ისე, როგორც ეს „ველურ დასავლეთში“, ამერიკის კოლონიზირების დროს ხდებოდა!

იმის გამო, რომ სათემო საკუთრება მიწაზე დღემდე არ არსებობს, საბჭოთა დროიდან ხიზნებად ქცეული ქართველები ისევ ხიზნებადვე არიან დარჩენილნი; მაგრამ, თუკი ადრე ხიზნებზე გაბოლშვიკებული ჯაყო „ზრუნავდა“, დღევანდელი ხიზნები უმეტესწილად ბედის ინაზარა არიან მიტოვებულნი.

უარესიც: მიიჩნევა, რომ მათ გაუმართლათ, თუკი სადმე ახალი ჯაყო გამოჩნდება და სოფლის საზოგადო ქონებას, როგორც ემშაკნი უპატრონო ეკლესიას, ისე დაეპატრონება!

ეს ახალი ჯაყოები ან პატრონ-კლიენტელური ურთიერთობებით დანიშნაურებული აქაური ხეპრენი, ანდაც მხსნელებად შერაცხული „უცხოელი ინვესტორები“ არიან. რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა მამულის გაყიდვა ქვეყანაში ყველაზე მომგებიან „ინვესტირებად“ არის მიჩნეული!

რა თქმა უნდა, ასეთი ლიკვიდატორულ-გამყიდველური პოლიტიკის ავტორ-შემოქმედნი საქართველოს დღევანდელი ხელისუფალნი არ არიან. „ყველაფერი იყიდება, სინდისის გარდა“ - ეს წინა ხელისუფლების, სააკაშვილის კორპორაციის „საავტორო გამოგონებაა“.

თანამედროვე ჯაყოთა-ჯაყოს, რომელიც თავის დროზე შევარდნაძის ხიზანი იყო და მერე ქვეყანას დაეპატრონა - სააკაშვილის კორპორაციის საკუთარი სარგებლისთვის მართლაც ყველაფრის, არა მხოლოდ მიწის, ალბათ დედა-მშობელისაც კი, გაყიდვა შეეძლო; ყოველივეს ჰყიდდა კიდევ, გარდა, რასაკვირველია, სინდისისა, რადგან ეს უკანასკნელი მას საერთოდაც არ გააჩნდა!

ამ გამყიდველური პოლიტიკის გამოხატულებას წარმოადგენდა როგორც მიწათ-მფლობელობის, ასევე მიწათ-სარგებლობის პრინციპული მოუწესრიგებლობაც, რადგან უპატრონოს გაყიდვა უფრო იოლია, როცა არც კანონიერი მფლობელი, არც კანონმდებლობა და არც მიწის კადასტრი ხელს არ შეეიშლის!

დღევანდელმა ხელისუფლებამ ერთი ხანობა თითქოს შეაჩერა ეს გამყიდველური პროცესი, მაგრამ მხოლოდ დროებით! საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ მიწის უსისტემო და ქაოტური გაყიდვა უკვე 2014 წლის მაისიდან ისევ განახლდა. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ 2014 წლის მაისში სახელმწიფომ გასაყიდად გამოიტანა 172 ათასი ჰა სასოფლო მიწა, რომელსაც მუქთად - 1 ჰექტარს 672 ლარად ნებისმიერ მსურველზე ასხვისებდა (იხ. გაზ. „რეზონანსი“ 01.07.2014წ. [http://www.resonancedaily.com/index.php?id\\_rub=3&id\\_artc=20860](http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=20860)).

მიწა დღესაც ჩალის ფასად იყიდება და უსასყიდლოდაც, არც თუ იშვიათად, ძღვენადაც კი რიგდება (გაიხსენეთ თუნდაც ციხისძირის ბოლო მაგალითი)! ქართველობას ხელიდან მამული ისევე ეცლება, როგორც ეს თავის დროზე ნიკო ლორთქიფანიძემ დაიტირა!

ისიც საყურადღებოა, რომ დღეს, როგორც არასდროს, გლობალიზაციისა და პოსტ-ინდუსტრიალიზმის ეპოქაში, მიწას, არაეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში, უგერგილო მფლობელისთვის ფასი კატასტროფულად სწრაფად ეკარგება! ამ ძვირფას რესურსს, თანაც არაჯეროვანი გამოყენებით გაუფასურებულს, უპატრონოდ არავინ დატოვებს!

თუ თავადვე არ მივხედავთ და არ მოუვლით, თუკი ხიზნებიდან ისევ პატრონებად ვერ ვიქცევით, ახალი ჯაყო უკვე ჩასაფრებულია, სტარტზეა და დიდხანს არ გვალოდინებს! მისგან თავის დახსნა კი უფრო რთული იქნება და ვინ იცის, ეგებ შეუძლებელიც!

არის გამოსავალი? რასაკვირველია! ამ გამოსავალზე შემდგომ ნერილში ვისაუბროთ...

**ვახტა კოლუაშვილი,**  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**დავით ზარდიაშვილი,**  
ექსპერტი მუნიციპალურ სამართალში

# საინვესტიციო პოლიტიკის სოცო-კულტურული ასპექტები საქართველოში

საქართველოს მთავრობას ხშირად ადანაშაულებენ, რომ მათ არ შეუძლიათ სათანადო მოცულობის ინვესტიციების მოზიდვა თითქოსდა უნიათობის გამო.

ამ დროს კი მსოფლიო დონეზე ინვესტიციების ნაკადების დინამიკა განიხილება უმეტესად მენტალური ასპექტების გარეშე, როგორც თავისთავადი მოვლენა, რომელიც დამოკიდებულია რაღაც აბსტრაქტულ ციფრებზე – როგორებიცაა საალრიცხვო განაკვეთი, სავალუტო კურსი, დასაქმების დონე და ა.შ.

თუმცა, სინამდვილეში მსოფლიო ეკონომიკა ჯერ კიდევ შორსაა ასეთი აბსტრაქტული ავტომატიზაციისგან.



**ნათია ჭოჭუაშვილი**  
ეკონომიკის აკადემიური  
დოქტორი

მაგალითად, მხოლოდ ის კმარა, რომ აშშ-ს სარეზერვო სისტემამ არ გაამართლა ინვესტორების მოლოდინები და საალრიცხვო განაკვეთი არ გაზარდა ზუსტად იმ მომენტში, როდესაც ყველა დარწმუნებული იყო ასეთ „ავტომატურ“ ცვლილებაში.

შეიძლება ითქვას, რომ „ავტომატიზაცია“ მხოლოდ პორტფელური ინვესტიციების ბაზრებზე არსებობს და ისიც ფარდობითად. ამ ბაზრის მოთამაშეები ორიენტირებულნი არიან უმეტესად ‘მშრალ ციფრებზე’ – საბირჟო ინდექსებზე, სტატისტიკურ მონაცემებზე და ა.შ. და ამ სფეროში ინვესტირება უფრო მეტად ფინანსურ კაზინოს ჰგავს ვიდრე რეალურ ეკონომიკურ ბაზარს.

ფაქტია, რომ რაც უფრო მეტად იზრდება საინვესტიციო სახსრების მოცულობა, მით უფრო ნამგებობანი ხდება საფინანსო ბაზრებზე ოპერირება.. ყველაზე გარანტირებული სახელმწიფო ობლიგაციების მარჟა, როგორც წესი, 3%-ს არ აღემატება. ამას ემატება კაპიტალების „სირბილი“ მსოფლიო მასშტაბით სავალუტო დისბალანსების შიშით და საბოლოო ჯამში ბირჟიდან ბირჟამდე გადაყიდვების შემდეგ რეალური მოგება 2%-ს თუ აღწევს.

სხვა არასაობლიგაციო საბირჟო ოპერაციებზე კი წაგების შანსი უფრო მეტია, ვიდრე მოგების, რადგან, თავისუფალი კაპიტალის მოცულობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში რამდენჯერმე გაიზარდა. **შესაბამისად, გაიზარდა „სპეკულაციური წნეხიც“.**

შედეგად, პორტფელური ინვესტორები ცდილობენ თავიანთი ფინანსური სახსრები ეკონომიკის რეალურ სექტორში დააბანდონ – საფინანსო-სავალუტო „კაზინოებში“ თამაშის ნაცვლად.

ამიტომაც გახშირდა მათი მხრიდან ასეთი წინადადებები, რომ ოლონდ კი მომგებიანი ბიზნეს-იდეა მოგვანოდეთ და მინიმუმ 50 მილიონი დოლარის ინვესტიცია გარანტირებული გაქვთ და ისიც მაქსიმუმ 10% -იანი მოგების პერსპექტივით..

**ამასთანავე, ეს 10% საოცნებო მოლოდინია, თორემ საინვესტიციო ფონდების უმრავლესობა 3%-იან მოგებასაც კი თანხმდება – ოლონდ კი ეს ნამატი ნამ-**

**დვილად მოსალოდნელი იყოს ან საბანკო გარანტიით იყოს უზრუნველყოფილი.**

ასე რომ, თანამედროვე მსოფლიოში ჩამოყალიბდა არაადეკვატური მდგომარეობა – ერთ მხრივ საინვესტიციო ფონდები ფლობენ გიგანტურ „ზედმეტ“ ფულად სახსრებს და მეორე მხრივ კი, მილიარდობით ადამიანი გაუსაძლის სიღატაკეში ცხოვრობს – მათ შორის საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც..

**შესაბამისად ჩნდება კითხვა: – რატომ არ შეუძლიათ ამ მილიარდობით ლტაკს, რომ მზარდ ეკონომიკურ პროცესებში ჩაერთონ აღნიშნული საინვესტიციო სახსრებს საფუძველზე?** – მით უმეტეს რომ არსებული რეალური წარმოების პოტენციალიც კი მხოლოდ 80% -ით არის ათვისებული და ამ სექტორსაც ზრდის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები გააჩნია...

ამ შეკითხვას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ პირდაპირი ინვესტიციების მზარდი შეთავაზების მიუხედავად მათი რეალურად განხორციელებული მოცულობა 2014 წელს 8%-ით შემცირდა და მხოლოდ 1,26 ტრილიონი დოლარი შეადგინა. არადა, ავტორიტეტული ორგანიზაციების და პირველ რიგში UNCTAD-ს პროგნოზით ეს ციფრი 1,6 ტრილიონი უნდა ყოფილიყო

ადრე თუ ინვესტორები მხოლოდ საფრთხის მოლოდინის გამო ტეხდნენ პანიკას და პარანოიდალურ ისტერიკაში ვარდებოდნენ, დღეს უკვე მხოლოდ დამდგარ საფრთხეზე რეაგირებენ ზედმეტი პანიკების გარეშე.

**ასე რომ, შეიძლება მსოფლიო ეკონომიკა უფრო მასშტაბურმა – მაგალითად ინდოეთ-პაკისტანის ომ-მაც კი ვერ შეარყიოს!**

პირდაპირი ინვესტიციების შემცირების მიზეზი უფრო მეტად სოცო-კულტურულია, ვიდრე, ზოგადპოლიტიკური.

მთელი მსოფლიოს მიმოხილვა შორს ნაგვიყვანს, მაგრამ თუნდაც მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მაგალითზე



**საინვესტიციო პოლიტიკა**

ჩანს, რომ თვითონ საინვესტიციო სახსრების მოძიება რთული არ არის. **საქართველოს მთავრობას საპარტნიორო ფონდში მილიარდზე მეტი დოლარი აქვს მობილიზებული და კიდევ ერთი ამდენის მოზიდვაც ძალიან ადვილად შეუძლია.** მაგრამ მთავარი პრობლემა – სად, რა სფეროში დააბანდოს საიმედოდ.

დიდ ფონდს მცირე და თუნდაც საშუალო ბიზნესის სფეროში ოპერირება ნამდვილად არ უღირს.

დიდი პროექტების განხორციელებას კი წინ „ტრადიციული“ ჯიბრი და მავნებლობა ელოდება. ახალი მოვლენა არ არის საქართველოს ისტორიაში, როდესაც დაპირისპირებული მხარეები საერთო ეროვნულ და საკუთარ საქმეებსაც კი აფუჭებენ, ოღონდ კი მოწინააღმდეგეს შანსი მოუგონ და ბოლომდე გააცამტვერონ!

მთავარი არგუმენტი ამჟამად საინვესტიციო „ბრძოლაში“ არა მაკროეკონომიკური მიზანშეწონილობა ან საზოგადოებრივი ინტერესია, არამედ, გემოვნება – რა ზედაც, როგორც წესი, არ დაობენ.

**მაგალითად 400 მილიონიანი „პანორამა თბილისის“ განხორციელებას თვითონ უცხოელი ინვესტორები არ აჩქარებენ – ხედავენ რა რიყის პარკის ავბედითობას.**

რიყეზე განხორციელებული პროექტი შეაჩერეს და დაბლოკეს მისი თითქოსდა არაესთეტიურობის გამო. ამ დროს კი ერთმა საკმაოდ ავტორიტეტულმა მსოფლიო ასოციაციამ ე.წ. „მშვიდობის ხიდი“ ორიგინალური ხიდების ტოპ-ათეულში შეიყვანა.

**ამ ხიდის მოპირდაპირედ მდგარი ორი უცნაური შენობა ქართველების უმრავლესობას არ მოსწონს, მაგრამ უცხოელი სტუმრებისთვის ეს ლამის საოცრებაა – თითქმის ყველა ტურისტი ცდილობს მათ ფონზე სურათი გადაიღოს აღნიშნული „მშვიდობის ხიდიდან“.**

რა თქმა უნდა ეს შენობები არ უხდება ძველი თბილისის ხედებს, მაგრამ ეს მხოლოდ ქართული ეროვნული გემოვნებით, რომელიც თან კიდევ საბჭოთა არქიტექტურის „ტიპობრიობის“ პრინციპითაა დამახინჯებული.

თორემ, დანარჩენ მსოფლიოში ასეთი კონტრასტები უცხო არ არის.

შეიძლება ითქვას რომ ეს არქიტექტურული პრინციპია. როდესაც ევროპაში თუ აზიაში დადგა საკითხი – თუ როგორ შეეხამებინათ ძველი და ახალი არქიტექტურა – მათ გადაწყვიტეს, რომ ისინი გვერდიგვერდ ყოფილიყვნენ ყოველგვარი გარდამავალი ფორმების თუ გამყოფი ბალების ან გორაკების გარეშე. უშუალო კონტრასტი უფრო მიმზიდველად ჩათვალეს. **და ქართული არქიტექტურა რატომ უნდა დარჩეს პროლეტარული ტიპობრიობის პრინციპის დონეზე?**

ასევე თითქოსდა შეუფერებლობის გამო ეწინააღმდეგებიან „პანორამა თბილისის“ პროექტს.

**არადა, „პანორამა თბილისის“ ზუსტად ისევე შეეფერება გარემოს როგორც რიყის კომპლექსი. და ეს ნამდვილად არ არის ნონსენსი.** პირიქით, როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი კონტრასტი უფრო ბუნებრივად მიიჩნევა, ვიდრე, ძველი ფორმების პირდაპირი კოპირება, ან მათი ძალით სინთეზირება ახალ არქიტექტურულ სტილებთან.

ასევე არადამაჯერებელი არგუმენტებით შეჩერდა ერთმნიშვნელოვნად დადებითი შემოვლითი რკინიგზის პროექტი, რომელსაც ევრობანკი აფინანსებდა. **EBRD-ს რომ ანგარიშს არ გაუწევინ – სხვა ინვესტორს რა გარანტია უნდა ჰქონდეს?!**

შეჩერდა სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებიც, რომლებსაც მსოფლიო თუ აზიის განვითარების ბანკები კურირებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ყოფილი მთავრობის არაჯანსაღი PR-კამპანიების ობიექტები იყვნენ. მაგრამ მოქმედ მთავრობას სრულიად „ჯანსაღად“ შეეძლო განემარტა, რომ ეს პროექტები საერთაშორისო ორგანიზაციების ინიცირებით მიმდინარეობდა, რადგან არც ევრო და არც მსოფლიო ბანკი ნამდვილად არ არიან იმ დონის ორგანიზაციები რომ ყოფილი მთავრობის ახირებებს დამონებოდნენ!

**თუმცა, ამ შემთხვევებშიც ჯიბრის გაუაზრებელი ემოციები სჭარბობს პრაგმატულ მოსაზრებებს.**



ყველაზე პრობლემატური ის არის, რომ არც მთავრობის სრული მხარდაჭერა იძლევა ინვესტიციის განხორციელების გარანტიას. ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასრულებენ დესტრუქციულ როლს.

საკმარისია მათ ერთი მოჭრილი ხის გამო ისტერიკები ასტეხონ, რომ მრავალმილიონიანი საინვესტიციო პროექტი ჩერდება. ამ დროს კი საქართველოში ათასობით ჰექტარი ტყე იჩეხება საექსპორტოდ. ზარალდება არა მხოლოდ ბუნება, არამედ მოსახლეობაც და ეს ნამდვილი ეკოლოგიური კატასტროფა არათუ გააფთრებული ისტერიკების, უბრალო ამოოხვრის საბაბიც კი არ ხდება...

**ასე რომ, საქართველოში ინვესტიციების განხორციელების აუცილებელი სოციო-კულტურული წინაპირობაა, რომ პარტიული შუღლი და ანტიპატივები არ ვრცელდებოდეს საინვესტიციო პროექტებზე და ზოგადად ეკონომიკაზე – ეს პროექტები უნდა შეფასდეს არა დაპირისპირებული ჯგუფების პოლიტიზირებული ემოციებით, არამედ, დამოუკიდებელი ექსპერტების მოსაზრებების საფუძველზე.**

ამასთანავე ინვესტორი არ უნდა ისჯებოდეს რომელიმე პოლიტიკოსის დაფინანსების გამო. ბიზნესმენი უმეტეს შემთხვევაში იძულებულია ითანამშრომლოს პოლიტიკოსთან.. შესაბამისად დანაშაულზე პასუხი უნდა აგოს მხოლოდ პოლიტიკოსმა და არა მისმა სპონსორმა ინვესტორებმა!

კიდევ ერთი სოციო-კულტურული ბარიერი ზოგადად ჩამორჩენილ აზიურ და აფრიკული ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი და არა მხოლოდ საქართველოსთვის...

ამ ქვეყნებში არათუ დანიშნულ, არამედ არჩეულ თანამდებობის პირსაც კი მიაჩნია, რომ ახლა „მისი დრო“ მოვიდა და შესაბამისად ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, როგორც მას მოეპრიანება. ეს ახირება რომ აღმშენებლობითი იყოს, მაშინ კიდევ დადებით ეკონომიკურ ფაქტორად ჩაითვლებოდა. მაგრამ აზიური ჩამორ-

ჩენილობის თუ აფრიკული „ველურობის“ არსი იმაში მდგომარეობს, რომ მედროვე „მბრძანებელი“ თავის ქვეშევრდომებს მათი ნების საწინააღმდეგო ახირებებს ახვევს თავს და ამით ამტკიცებს თავისი ძალაუფლების „სიდიადეს“ და „შეუვალობას“!..

**ასეთი „მედროვეობა“, როგორც წესი, განსკუთრებით ძლიერია პროვინციული ბიუროკრატების დონეზე...**

როდესაც მმართველის მოპრიანებები თვითონ მისი ამამრჩევლების ინტერესებს ეწინააღმდეგება – იქ ინვესტორს არაფერი ესაქმება. ბიზნესისათვის აუცილებელი პრაგმატიზმი და ბიუროკრატული ახირებები აბსოლუტურად შეუთავსებელია.

**ამიტომ უნდა დადგინდეს თამაშის მუდმივი წესები, რომლებსაც შეასრულებენ როგორც არსებული, ასევე მომავალი მთავრობები... ეს თამაშის წესები უნდა იყოს სამართლიანი და უმრავლესობისთვის მისაღები.**

აღნიშნული მენტალური ჩამორჩენილობა უკვე ბევრმა აზიურმა ქვეყანამ გადალახა. პირველ რიგში ჩინეთმა.

ნამდვილად ნონსენსია, თავისი არსით ანტიკაპიტალისტური კომუნისტური პარტია რომ სთავაზობს უცხოელ ინვესტორებს ყველაზე მაღალი დონის დაცულობას და სტაბილურობას. ასევე არაადეკვატურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ ჩინეთიდან პორტფელური ინვესტიციები კი „გარბიან“, მაგრამ სანაცვლოდ პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა იზრდება. 2014 წელს ამ მაჩვენებლით ჩინეთი მსოფლიო ლიდერი გახდა და აშშ-საც კი გაუსწრო პირველად 2003 წლის შემდეგ.

ამ დროს კი „ევროპულად ლიბერალურ“ საქართველოში თვითონ ადგილობრივი ბიზნესმენებიც კი ერიდებიან რეინვესტირებას – არიან რა მოახლოებული არჩევნების და შესაბამისად შესაძლო არეულობების მოლოდინში.

**ასე რომ, ბიზნესის პოლიტიზაცია თუ არ დასრულდა საქართველოში – ინვესტიციების ზრდის ნაცვლად ჩამორჩენის კიდევ უფრო მეტ პერსპექტივებს მივიღებთ.**

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Альбина Кильдибаева. Тенденции инвестиционного развития в 2015 году.
2. “Рынок Ценных Бумаг”. № 10
3. Руйга И. Р., Современные тенденции рынка прямых иностранных инвестиций // Концепт. – 2015. – № 03 (март). – ART 15082. – URL: <http://e-koncept.ru/2015/15082.htm>. – ISSN 2304-120X.
4. UNCTAD. Foreign direct investment: Inward and outward flows and stock, annual, 1980-2014
5. The Wall Street Journal. China Trumps U.S. for Foreign Investment. Paul Hannon Jan. 29, 2015

**RESUME**

In global economic there was not ordinary situation. On the one hand investment funds own huge superfluous financial assets. On the other hand billions people live in poverty.

There is a question: why the majority of less developed countries cannot accept the foreign investments, despite of prevailing growth of their offer?

It is a lot of reasons. But the most important problem is a social bad manners. As for example corruption of authorities, a low level of a standard of work and self-organizing etc.

In Georgia the main problem is excessive politization of investment projects and impudence of local authorities.

So the main precondition of attraction of the investment into Georgia is clearing economy of party disagreements.

# ნავთობისა და გაზის საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული რამდენიმე სტანდარტი

სხვადასხვა ინდუსტრიაში არსებული ხელშეკრულებები, როგორც წესი, ითვალისწინებენ ერთგვაროვანი სპეციფიკური დებულებების არსებობას, რაც მრავალწლიანი პრაქტიკის შედეგად არის დამკვიდრებული. ამ მიმართულებით არც ნავთობისა და გაზის ტრანსპორტაციის საზღვარგარეთის პროექტის ხელშეკრულებებია გამონაკლისი. ისინი ისეთ სპეციფიკურ დებულებებს ითვალისწინებენ, როგორც არის გარემოსდაცვითი, ტექნიკური, სოციალური, შრომითი, ადამიანის უფლებათა, ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოების, ბუნებრივი რესურსების დაცვის და სადაზღვევო სტანდარტები. ცხადია, აღნიშნული ჩამონათვალი შესაძლოა სხვა ინდუსტრიისთვისაც იყოს დამახასიათებელი (მაგალითად მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის ხელშეკრულებები და სხვა), ვინაიდან მათი უმეტესობა, თავისი შინაარსით, უნივერსალური მნიშვნელობის მქონეა. განსახილველი სტანდარტების მიზნია, რომ ნავთობისა და გაზის საერთაშორისო გადაზიდვები განხორციელდეს უფრო უსაფრთხოდ და ყველასათვის მისაღები ფორმით და დაცულ იქნას, როგორც შესაბამისი ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის, აგრეთვე პროექტში ჩართულ ინვესტორთა და მესამე პირთა ინტერესები.



**ლევან კოკია**  
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მონვეული ლექტორი

არსებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ პროექტები, რომელთა განხორციელების პროცესში მრავალი მხარეა ჩართული (აქ მხოლოდ უშუალოდ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ მოიაზრებიან), ბუნებრივად ზრდის შესაძლო პოტენციური ზიანის მიყენების ალბათობას პროექტის განხორციელებაში მონაწილე რომელიმე პირისათვის ან/და გარემოსათვის. შესაბამისად, რაც უფრო მასშტაბურია პროექტი, მით უფრო მეტად ჭარბობს შესაბამისი ე.წ. „დაცვითი“ დებულებების არსებობა ხელშეკრულებათა შინაარსში.

აღსანიშნავია, რომ განსახილველ სტანდარტთა სახელშეკრულებო ფორმულირების სახით ჩამოყალიბება ხშირად საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა უნივერსალური წყაროდან გამომდინარეობს (მაგალითად ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელი გაეროს კონვენციები და მათი შესაბამისი ოქმები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეგულაციები, გარემოსდაცვითი საერთაშორისო პაქტები და კონვენციები და სხვა), შესაბამისად, პროექტის ფარგლებში დადებული სამთავრობო ხელშეკრულებებიც ნავთობისა და გაზის საერთაშორისო გადაზიდვის მიზნებისთვის ახორციელებენ სხვადასხვა საერთაშორისო ვალდებულებათა სახელშეკრულებო დეკლარირებას.

მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საზრიანია მიმოვიხილოთ აღნიშნული საქმიანობის სფეროში აპრობირებული სტანდარტების შესახებ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ პროექტის, აგრეთვე ენ-

ერგო ქარტიის სამდივნოს მიერ შემუშავებულ მოდულურ ხელშეკრულებათა მიდგომები.

## 1. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ პროექტის და მოდულური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სტანდარტთა ზოგადი მიმოხილვა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საქსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ მთავრობათაშორის ხელშეკრულების მეოთხე მუხლი განსაზღვრავს ტექნიკურ, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ სტანდარტებს, რომელიც პრინციპული მნიშვნელობის მქონე დებულებაა და შესაბამისი ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულებებისათვის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სტანდარტის დეტალური გათვალისწინების საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული ნორმა მოიცავს თითოეული სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ მათ სხვა სახელმწიფოებთან და შესაბამისი პროექტის ინვესტორებთან ითანამშრომლონ იმ ერთგვაროვანი ტექნიკური, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სტანდარტების ფორმულირებისა და დანესების მიზნით, რომლებიც პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპზე მილსადენის მშენებლობის, ექსპლუატაციის, შეკეთების, გამოცვლის, სიმძლავრეების, გაფართოების ან განვრცობის ტექნიკური მომსახურებისთვის უნდა გამოიყენებოდეს. განსახილველი სტანდარტები ნავთობის

მილსადენით ტრანსპორტირების სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს, ევროკავშირში აღარებულ მიახლოებულ სტანდარტებს და შესაბამისი ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.

მთავრობათაშორისი მოდელური ხელშეკრულება მოიცავს გარემოსდაცვით, უსაფრთხოების და ტექნიკური სტანდარტების შესახებ გარკვეულ რეგულირებას, მაშინ, როდესაც ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული მოდელური ხელშეკრულება დამატებით მოიცავს ხარისხის, შრომის და სოციალურ სტანდარტებს. ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ წარმოადგენენ მოდელურ ხელშეკრულებათა რეგულირების სფეროს. ამ ნიშნით, მოდელური მთავრობათაშორისი ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომ გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების სტანდარტები შემუშავებული უნდა იყოს იმ პირობათა გათვალისწინებით, რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებულია და მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ განსაზღვრულ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტებთან და სახელმძღვანელოებთან მიმართებაში ნაკლებმნიშვნელოვანი ხარისხით არ გამოირჩევა.

მთავრობათაშორისი ხელშეკრულების ზემოაღნიშნული დებულების შინაარსი დეტალურად არის წარმოდგენილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობასა და ინვესტორთა ჯგუფს შორის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების სხვადასხვა მუხლში, რომელიც ცალკე ეხმიანება პროექტის ეფექტურად და უსაფრთხოდ განხორციელებისათვის მისაღებ ამა-თუ იმ სტანდარტის შინაარსს.

## 2. გარემოსდაცვითი სტანდარტები

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობასა და ინვესტორთა ჯგუფს შორის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების მე-3 დანართი სპეციალურ ნორმებს მოიცავს, რომელიც უშუალოდ სამშენებლო-საექსპლუატაციო სტანდარტებს არეგულირებს. აღნიშნული დანართის 3.1 ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ პროექტის მონაწილე მხარეები ვალდებული არიან მილსადენის პროექტის განხორციელების პროცესის მანძილზე სრულად გაითვალისწინონ გარემოსდაცვითი სტანდარტები, რომელიც განსახილველი ხელშეკრულების მე-3 დანართით არის წარმოდგენილი, აგრეთვე ის ტექნიკური სტანდარტები და ნორმები, რომლებიც მილსადენის მსგავსი პროექტის განხორციელებისათვის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საყოველთაოდ არის ცნობილი. ასევე საგულისხმოა, რომ განსახილველი ხელშეკრულება მოიცავს პროექტის დაგეგმვის ისეთ სპეციფიკურ ფაზებს, როგორიც არის გარემოს საწყისი მდგომარეობის შესწავლის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმის განერა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: პროექტის აღწერას, იმ შესაბამისი ტერიტორიების ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ აღწერას, რომლებმაც შეიძლება ზემოქმედება განიცადონ, მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებას, გარემოზე ზემოქმედების თითოეული გამოვლენილი შემთხვევისათვის ზიანის შემცირების ზომების დადგენას და განხორციელების პრაქტიკული გეგმის არსებობას და მონიტორინგის პროგრამის შემუშა-





ვებას იმ მიზნით, რომ შემონმებული იყოს ზიანის შემამსუბუქებელი ზომები.

აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული მოდელური ხელშეკრულების მე-16 მუხლი ასევე გარემოსდაცვითი სტანდარტის მიმოხილვით შემოიფარგლება, რომელიც ხელშეკრულების ცალკე დანართად გამოყოფს გარემოსდაცვითი სტანდარტის რეგულირების ტექნიკურ პარამეტრებს. განსახილველი ნორმა პროექტის ინვესტორებს ავალდებულებს, რომ პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპზე საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი სტანდარტები მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს. ამ მიმართულებით ინვესტორთა ვალდებულება ფართო სპექტრით შემოიფარგლება, რომელიც გარემოს უვნებლობისათვის შესაბამისი საფრთხის ნარმოქმნის შემთხვევაში ვალდებულება, რომ ყველა სათანადო ზომა გაატაროს გარემოს დაბინძურების აღსაკვეთად და შეძლებისდაგვარად აღადგინოს ყველა ის დაზიანება, რომელიც მისმა ქმედებამ გამოიწვია. ამასთან საგულისხმოა, რომ გარემოსათვის ნარმოქმნილი ზიანის რეაბილიტაციის პროცესში შესაბამისი ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობის ჩართულობაც სავალდებულო ხასიათს ატარებს.

გარემოს დაცვის საყოველთაო ინტერესი მიანიშნებს იმაზე, რომ როგორც განსახილველი, ასევე მოდელური ხელშეკრულება მისი შინაარსის მაქსიმალური დეტალიზებით გამოირჩევა. როგორც წესი, გარემოსდაცვით სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნულ ხელშეკრულებათა მიდგომები არა მხოლოდ ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროცესში გარემოსათვის შესაძლო რისკის პრევენციული ღონისძიების მატარებელია, არამედ ასევე ის საყოველთაოდ აღიარებული სიკეთეა, რომელთა დაცვას განსახილველი პროექტის მსგავსად, სხვა ასევე გარემოსათვის მაღალი რისკის შემცველი პროექტები ატარებენ.

**3. შრომითი სტანდარტები**

შრომის დაცვის სტანდარტებს ეხმიანება განსახილველი ხელშეკრულების მე-18 მუხლის 18.2 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ პროექტის მონაწილეებს უფლება ეძლევათ, პროექტის განსახორციელებლად განსაზღვრონ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, რომელთა დაქირავებასაც ისინი აპირებენ. ნებისმიერ პირთან, რომელიც პროექტის განხორციელების მიზნებისათვის დაქირავებული იქნება, უნდა გაფორმდეს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც სამუშაო საათების რაოდენობას, შრომის ანაზღაურებას, ხელფასზე დანამატს და სხვა პირობებს უნდა ითვალისწინებდეს. გასათვალისწინებელია, რომ პროექტის ფარგლებში დასაქმებულთა შრომითი პირობები არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები სტანდარტის, რასაც საქართველოს შრომის კანონმდებლობა განსაზღვრავს.

შრომით სტანდარტებთან მიმართებაში დაახლოებით იდენტური მიდგომა გააჩნია ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან მოდელური ხელშეკრულებას, რომლის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ შრომითი პირობები, როგორც არის სამუშაოს საათები, შვებულებით სარგებლობის უფლება, ანაზღაურებისა და კომპენსაციის საკითხები, სოციალური შეღავათები, შრომის უსაფრთხოებისა და მსგავსი საკითხები არ უნდა იყოს იმ სტანდარტებზე ნაკლები შინაარსის შემცველი, რაც შესაბამისი ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის შრომის კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

**4. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები**

მსგავსი ტიპის პროექტის განხორციელების ფარგლებში დაგროვილი გამოცდილების დანერგვის საშუალებას ნარმოადგენს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობასა და ინვესტორთა ჯგუფს შორის ტერიტო-

რიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების მე-3 დანართის მე-4 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტების განმტკიცების სახელშეკრულებო საშუალებას. კერძოდ, აღნიშნული ნორმა პროექტის მონაწილეებს ავალდებულებს, რომ პროექტის განხორციელებისას მათ გაითვალისწინონ ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ის სტანდარტები, რომლებსაც საერთაშორისო თანამეგობრობა მილსადენის მსგავს პროექტებთან მიმართებაში იცავს.

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, როგორც პროექტიდან მომდინარე პოტენციური საფრთხის დაბალანსების საპირწონე, მაღალი რისკის შემცველი პროექტების განხორციელებისას დიდი აქტუალობით გამოირჩევა. ხშირად, სხვადასხვა პროექტი განსახილველ სტანდარტს გარემოს დაცვის სტანდარტის ქვეშ განმარტავს, რაც გარემოს დაცვას, როგორც სახელშეკრულებო სტანდარტს უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებს.

ცხადია, ზემოაღნიშნული განსხვავება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, იმდენად, რამდენადაც ამოსავალ საკითხად რჩება ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, როგორც სტანდარტის მკაფიო სახელშეკრულებო დეკლარირება.

განსახილველი ხელშეკრულების მიერ ადამიანის

ჯანმრთელობის დაცვის, როგორც სტანდარტის განწერა მეტყველებს აღნიშნული პროექტის განხორციელების მრავალი ნიუანსის გათვალისწინებაზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილეებს გარკვეული ვალდებულებების შესრულებას აკისრებს.

ამრიგად, ისევე, როგორც სხვა სახელშეკრულებო დებულებები მეტნაკლები სიზუსტით მოდელურ ხელშეკრულებათა მიდგომებს განსახილველენ, ამ ნიშნით არც ხელშეკრულებით განსაზღვრულ სტანდარტთა შინაარსი არ არის გამონაკლისი. არსებობს საკითხთა სპექტრი, რომელიც თავისი უნივერსალური ბუნებიდან გამომდინარე თითქმის იდენტური ფორმულირებით არის წარმოდგენილი როგორც განსახილველ ხელშეკრულებაში, ასევე მოდელურ ხელშეკრულებებშიც (მაგ.: გარემოს დაცვის სტანდარტები). აგრეთვე საყურადღებოა სხვადასხვა საერთაშორისო საჯარო სამართლებრივი ნორმა, რომელიც წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ მათ მაღალი რისკის შემცველი პროექტების განხორციელებისას სრულად გაითვალისწინონ ის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები, რომელთა შესახებაც შესაძლოა გარკვეული მინიშნებები გაკეთებული იყოს არამხოლოდ საერთაშორისო კონვენციებში, არამედ ასევე აღნიშნული სტანდარტები აპრობირებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიღწევების შედეგად.

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. Barbara v. Gayling-Westphal, Intergovernmental Agreements and Host Government Agreements on Oil and Gas Pipelines – A Comparison; Energy Charter Secretariat 2015.
2. Model Host Government Agreement for Cross-Border Pipelines. (Second Edition). Energy Charter Secretariat.
3. Agreement Among Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Relating to the Transportation of Petroleum Via the Territories of the Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Through the Baku-Tbilisi-Ceyhan Main Export Pipeline.
4. Host Government Agreement Between and Among the Government of Georgia and [THE MEP PARTICIPANTS].

**SEVERAL STANDARDS OF INTERNATIONAL AGREEMENTS OF OIL AND GAS**

**Levan Kokaia** – Guest lecturer at Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

**SUMMARY**

The publication is dedicated to the different standards of the international oil and gas agreements. Namely, an author generally mentions environmental, technical, social, labor, human rights and healthcare, security, accounting and insurance standards. The publication marks, that there are a lot of demands of the public international law, which obliges the parties to foresee the high meaning of one or another standard (for instance different international conventions of human rights, international environmental instruments and etc).

An author lights the special provisions of environmental, labor, healthcare and security standards of Baku-Tbilisi-Ceyhan project and the model agreements. Due to analysis of the different clauses of these agreements there is find out, that the meaning of the some standards are approximately the same as in the described and also in the model agreements and also, there are some different clauses regarding to the healthcare standards.

# მინით სარგებლობის უფლებები ნავთობისა და გაზის საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულებათა მიხედვით

სხვადასხვა მსხვილი საინვესტიციო პროექტი, რომელიც ინფრასტრუქტურულ ელემენტს აერთიანებს, ისეთ სახელშეკრულებო მოწესრიგებას მოითხოვს, სადაც შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განსაზღვრული მიწის ფართობით სარგებლობისა და მიწაზე საკუთრების უფლებები მკაფიოდ გათვალისწინებულია.



როგორც წესი, მსგავსი ტიპის პროექტები დროის ხანგრძლივ პერიოდზეა გათვალისწინებული, რომელიც მინით სარგებლობის საკითხს აქტუალობას მატებს. ნავთობის და გაზის საერთაშორისო საინვესტიციო პროექტები, თავიანთი კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, ითვალისწინებენ შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამა-თუ იმ მიწის ფართობთან დაკავშირებულ უფლებათა განსაზღვრას და მათ შესაბამის სახელშეკრულებო განმტკიცებას.

იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი ტიპის პროექტთა განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ მხარეს ინვესტორებთან ერთად ყოველთვის შესაბამისი სახელმწიფოები წარმოადგენენ, პროექტში ჩართული თითოეული მონაწილისთვის მინით სარგებლობის უფლებათა ოპტიმალურ სახელშეკრულებო რეგულირებას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება.

ხელშეკრულებაში მინით სარგებლობის უფლებათა შესაბამისი ფორმულირებით ასახვა ინვესტორთა გადაწყვეტილებების ფორმირებისათვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, რომელიც ჯერ კიდევ წინასახელშეკრულებო ეტაპზე განსჯის საგანი ხდება.

მინით სარგებლობის უფლებათა ამა-თუ იმ ფორმით განსაზღვრა რისკის შემცველია პროექტში ჩართული სახელმწიფოებისთვის და შესაბამისად, სახელშეკრულებო საკითხთა სხვა მრავალ ნიუანსთან ერთად, მხარეთა პოზიციების ჩამოყალიბება თავის თავში მინით სარგებლობის უფლებათა წინასწარ განსაზღვრას მოითხოვს.

პროექტის განხორციელებისას სხვადასხვა მიწის ფართობთან დაკავშირებულ უფლებათა განსაზღვრის დასადგენად, განვიხილოთ ნავთობისა და გაზის საერთაშორისო გადაზიდვის სფეროში არსებული რამდენიმე ხელშეკრულების, მათ შორის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის და ენერგო ქარტიის სამდივნოს მიერ შემუშავებული ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის

მთავრობასთან არსებული მოდელური ხელშეკრულებების მიდგომები. იმის გამო, რომ მილსადენის/გაზსადენის მშენებლობა და ოპერირება ბუნებრივად ერწყმის სხვადასხვა მიწის ფართობით სარგებლობის კომპონენტს, ამიტომ, განსახილველ ხელშეკრულებათა შინაარსი მინით სარგებლობის უფლებებს მრავალმხრივ არეგულირებს.

## 1. მინით სარგებლობასთან დაკავშირებული რამდენიმე სახელმწიფო დეფინიცია და ტერიტორიის ათვისების ტექნიკური ფაზები

ნავთობის და გაზის საერთაშორისო გადაზიდვის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, მინით სარგებლობასთან დაკავშირებულ უფლებათა შინაარსობრივი დატვირთვა შეიძლება მრავალფეროვანი იყოს. სწორედ ამიტომ, პროექტში ჩართული მხარეები ხელშეკრულებით ექსკლუზიურად ათანხმებენ ყველა იმ კომპონენტს, რომელიც მინით სარგებლობას ეხება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობასა და ინვესტორთა ჯგუფს შორის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების პირველი დანართით გათვალისწინებულია მიწაზე უფლებების სახელშეკრულებო დეფინიცია, რომელიც მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთთა ექსპერტიზის, ტესტირების, შეფასების, ანალიზის, ინსპექტირების, მშენებლობის, სარგებლობის, ფლობის, გაკონტროლების, უფლებათა გადაცემის და გამოყენების უფლებას ხელშეკრულების მე-2 დანართის პირობათა გათვალისწინებით, რომელიც პროექტთან დაკავშირებულ ტერიტორიაზე მიწაზე უფლებებს შეეხება.

როგორც ჩანს, მიწაზე უფლებათა სახელშეკრულებო



ბო დეფინიცია ფართო მნიშვნელობით გამოიყენება. კერძოდ, ასათვისებელი მინა იმ ტერიტორიასაც მოიცავს, რომელიც პროექტის მონაწილეებმა შეიძლება იმ კონკრეტული მარშრუტის და ადგილების შესაფასებლად განსაზღვრონ და შეარჩიონ, რომლებიც პროექტის განხორციელების პროცესში შეიძლება დასჭირდეთ.

განსახილველი ხელშეკრულება „სახელმწიფო“ და „არასახელმწიფო“ მინის ტერმინოლოგიურ განსაზღვრას ახდენს და მისი პირველი დანართით „სახელმწიფო მინის“ ქვეშ მოიაზრებს საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ისეთ მინის ნაკვეთსა და ამგვართან დაკავშირებულ ყველა სახის და ხასიათის უფლებასა და პრივილეგიას, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების საკუთრებაში, კონტროლის ქვეშ ან სარგებლობაში იმყოფება და რომელიც განსახილველ ხელშეკრულებაში და მის მე-2 დანართში დადგენილ მინაზე უფლებათა ნაწილს წარმოადგენს.

რაც შეეხება „არასახელმწიფო მინას“, მისი დეფინიცია ასევე ხელშეკრულების პირველი დანართით განისაზღვრება, რომლის მიხედვით „არასახელმწიფო მინის“ ქვეშ იგულისხმება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული მინა და ნებისმიერი სახის უფლება და პრივილეგია, რომელსაც სახელმწიფო მინის გარდა რაიმე ტიპის შემხებლობა აქვს მინასთან.

როგორც „სახელმწიფო“, ასევე „არასახელმწიფო“ მინის უფლებრივი დატვირთვა კონცენტრირდება პროექტით გათვალისწინებული ე.წ. „მუდმივი მინის“ ცნებასთან, რომელიც განსახილველი ხელშეკრულების მე-2 დანართის მიხედვით გულისხმობს მილსადენის დერეფანს, იმ სხვა მინის ნაკვეთებს, რომლებსაც პროექტის მონაწილეები დროდადრო განსაზღვრავენ და რომლებიც პროექტის მონაწილეთა მიერ შექმნილია და/ან მათთვის მოხმარების მიზნით არის გადაცემული, როგორც ადგილები, რომლებზედაც ან რომელთა ქვეშაც პროექტის განხორციელების მთელ მანძილზე განთავსებულია მილსადენი და მისი განმტოებები.

ასევე, მუდმივი მინა იმ უფლებებს ეხება, რომ-

ლითაც ხელშეკრულების ცალკეული დებულებებით პროექტის მონაწილე მხარეებს მინით სარგებლობის სხვადასხვა უფლებამოსილება ენიჭებათ. მაგალითად: პროექტის მონაწილეთა უფლება ისარგებლონ, ფლოდენენ და აკონტროლონ მუდმივი მინა, აგრეთვე ამ მინაზე ან/და მინის ქვეშ აწარმოონ სამშენებლო სამუშაოები.

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული მოდელური ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრულია მინით სარგებლობის უფლების დეფინიცია, რომელიც გულისხმობს მინის შემონახვის, შეფასების, ანალიზის, ინსპექტირების, მინაზე მშენებლობის, სარგებლობის, ფლობის, იჯარის, კონტროლის და საკუთრების უფლებებს. ყოველი აღნიშნული უფლება ვრცელდება სახელმწიფოს იმ ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო და სამონტაჟო ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ მოდელური ხელშეკრულებაც ამ ტერმინს ფართო მნიშვნელობას ანიჭებს, რომელიც „მინის“ ქვეშ ასევე ზღვის ფსკერს მოიაზრებს.

მოდელური ხელშეკრულება ასევე განსაზღვრავს „პროექტისთვის განკუთვნილი მინის“ განმარტებას, რომელიც მისაღდენის მარშრუტს და ყველა იმ მინის მონაკვეთს გულისხმობს, რომელიც აუცილებელია პროექტის განხორციელებისთვის.

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულება „პროექტისთვის განკუთვნილ მინას“ ცალკე დეფინიციად არ განსაზღვრავს, თუმცა, მოდელური ხელშეკრულების ციტირებული განმარტება შინაარსობრივად მიესადაგება განსახილველი ხელშეკრულების „მუდმივი მინის“ სახელშეკრულებო განმარტებას, რომელიც „მინით სარგებლობას“ ფართო მნიშვნელობას ანიჭებს, რაც პროექტის განხორციელების სირთულიდან გამომდინარე მასში ჩართული თითოეული მხარის არსებულ, ან სამომავლო მოთხოვნათა დაკმაყოფილებას უკავშირდება.

საგულისხმოა, რომ როგორც განსახილველი, აგრეთვე მოდელური ხელშეკრულება დანართის სახით



**სახელმწიფო უკუთმართობები**

განსაზღვრავს მინით სარგებლობის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა დებულებას, რომელიც ტექნიკურად სამი ფაზისგან შედგება. ესენია: **1) მშენებლობის წინა ეტაპი (მარშრუტის შერჩევა); 2) მშენებლობისა და მონტაჟის ეტაპი და 3) მშენებლობის შემდგომი ეტაპი.**

როგორც ჩანს, მინით სარგებლობის უფლებათა სახელშეკრულებო განმარტებებთან მიმართებაში მოდელური და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ პროექტის ხელშეკრულება მეტნაკლები სიზუსტით ერთიან მიდგომას ითვალისწინებს, რომელიც უფლებათა ფართო სპექტრს განსაზღვრავს. აგრეთვე, აღნიშნული ორივე ხელშეკრულება, მილსადენის მშენებლობის პროცესში ასათვისებელი მინის ფართობის გამოყენების ტექნიკურ ფაზებს იდენტურად არეგულირებს.

**2. მინით სარგებლობასთან დაკავშირებული ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობის რამდენიმე ვალდებულება**

ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების პროცესში ჩართულ ინვესტორებს ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობის მიერ განცხადებულ მრავალ გარანტიასთან ერთად ისეთი გარემოს არსებობა ესაჭიროება, რისი მეშვეობითაც მათ შესაძლებლობა შეექმნებათ, რომ პროექტის განხორციელების მიზნებისთვის სხვადასხვა მინის ნაკვეთი გამოიყენონ. აღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობასა და ინვესტორთა ჯგუფს შორის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების შინაარსი ფართოდ არეგულირებს სახელმწიფოთა იმ ვალდებულებებსა და გარანტიებს, რომელიც ექსკლუზიურად მინით სარგებლობის უფლებებს მოიცავს. მაგალითად, განსახილველი ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის ii. ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ **საქარ-**

**თველოს სახელმწიფო ხელისუფლება პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლად, პროექტის მონაწილეებს ანიჭებს ექსკლუზიურ და შეუზღუდავ უფლებას მინაზე და აგრეთვე იმ სახელმწიფო მინასთან დაკავშირებით, რომელიც ხელშეკრულების მე-2 დანართით არის განსაზღვრული. ასევე, ამავდროულად iii. ნაწილი განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების ნებას, რომ იგი პროექტის თითოეულ მონაწილეს არასახელმწიფო მინის მიმართ მიანიჭებს ისეთ სტატუსსა და საკუთრებაში მიღების უფლებას, სავალდებულო გასხვისების უფლებას და ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ ექსპროპრიაციის უფლებას იმისათვის, რომ ინვესტორებისთვის შესაძლებელი გახდეს პროექტის შემდგომი განხორციელება.**

პროექტის ინვესტორთა მიერ ზემოაღნიშნულ უფლებათა სრული რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, ერთ-ერთ საყურადღებო სახელშეკრულებო დებულებას განსახილველი ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის (vii) (6) ქვეპუნქტი წარმოადგენს, რომლის მიხედვით, **სახელმწიფო ხელისუფლება მხოლოდ სახელმწიფო მინასთან დაკავშირებით მოაგვარებს კომპენსაციის საკითხებს, ან გადაუხდის ასეთ კომპენსაციას იმ პირებს, რომელთა დაკმაყოფილებასაც საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს.**

სახელმწიფო მინასთან დაკავშირებული კომპენსაციის გაცემის საკითხს განსხვავებული მიდგომით არეგულირებენ ტრანს ადრიატიკის მილსადენის პროექტის ფარგლებში საბერძნეთის რესპუბლიკასთან დადებული და ასევე თურქეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ბუნებრივი გაზის მილსადენის სისტემის ტრანს ანატოლიის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულებები, რომლებიც სახელმწიფოს ნაცვლად მსგავსი სახის კომპენსაციის გადახდას ინვესტორებს ავალდებულებენ.

მინით სარგებლობის უფლებათა მრავალმხრივ რეალიზაციისთვის „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ პროექტის ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის ii ქვე-



პუნქტი განსაზღვრავს, რომ ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის ყველა მონაწილის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, სახელმწიფო ხელისუფლებამ რომელიმე პირზე არ უნდა გასცეს რაიმე უფლება პროექტთან დაკავშირებული საშუალებებით სარგებლობასთან ან მიწაზე უფლებებთან დაკავშირებით, ანდა მიანიჭოს სხვა უფლება, რომელიც არ შეესაბამება, ეწინააღმდეგება ან ხელს უშლის პროექტის მონაწილეთა მიერ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მათი უფლებებით სრულად სარგებლობას ან განხორციელებას. ასევე საგულისხმოა განსახილველი ნორმის VII ქვეპუნქტის (5) ნაწილი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას ავალდებულებს, რომ მან დაეხმაროს პროექტის მონაწილეებს მათ მიერ ისეთი უფლებების განხორციელებაში, როგორცაა საკუთრების შექმნა, მიწის ნაკვეთის დაკავება, სავალდებულო შექმნის უფლება, შესაბამისი ანაზღაურებით კერძო საკუთრების ჩამორთმევის სუვერენული უფლება და არასახელმწიფო მიწასთან მიმართებაში სახელმწიფოს სხვა იმგვარი უფლებების გამოყენება, რაც პროექტის მიზნებისთვის აუცილებელია, მათ

შორის ყველა იმ სასამართლო და პროცესუალური წესებისა და მოთხოვნების შესრულება, რომლებიც პროექტის მონაწილეთა მიერ ამ უფლებებით სარგებლობასთანაა დაკავშირებული.

ყოველი ციტირებული ნორმა ხაზს უსვამს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ფარგლებში, ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულება მინით სარგებლობასთან დაკავშირებით, ვრცლად მიმოიხილავს ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობის ვალდებულებათა სპექტრს, რომელიც პროექტის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში მაქსიმალური სარგებლის მომტანი უნდა იყოს როგორც თითოეული ინვესტორისათვის, აგრეთვე მესამე პირებისთვისაც, რაც აღნიშნულ ინდუსტრიაში ინვესტორთა სამართლებრივი დაცულობის მეტი გარანტიის არსებობას უზრუნველყოფს.

**ლევან კოკაია**

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მონვეული ლექტორი

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Dr. Rafael Leal-Arcas, Energy transit activities: Collection of intergovernmental agreements on oil and gas transit pipelines and commentary; Energy Charter Secretariat 2015.
2. Model Host Government Agreement for Cross-Border Pipelines. (Second Edition). Energy Charter Secretariat.
3. Host Government Agreement Between and Among the Government of Georgia and [THE MEP PARTICIPANTS].
4. Host Government Agreement Between The Hellenic Republic and Trans Adriatic Pipeline AG, Concerning the Trans Adriatic Pipeline Project.
5. Host Government Agreement Between the Government of the Republic of Turkey and Trans Anatolian Gas Pipeline Company B.V. Concerning Trans Anatolian Natural Gas Pipeline System.

**LAND RIGHTS ACCORDING TO THE INTERNATIONAL TRANS-BOUNDARY AGREEMENTS OF OIL AND GAS**

**Levan Kokaia** – Guest lecturer at Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

**SUMMARY**

The work describes approaches of determination land rights of the several international trans-boundary agreements of oil and gas (basically Baku-Tbilisi-Ceyhan project agreement) and the model host government agreement for cross-border pipelines worked out by energy charter secretariat.

There are underlined several contractual definitions, such as “state” and “non-state” land, “permanent land” and “the land for the project”; also the publication describes the different phases of mastering the land areas, which are regulated by Baku-Tbilisi-Ceyhan and model host government agreements.

An author broadly defines several duties of the host states, which is directly connected to the issue of the land use. Namely, there is reviewed an approach of the host government agreement between and among the government of Georgia and [THE MEP PARTICIPANTS], which obliges a lot of responsibilities to the Government of Georgia. Also an author represents host government agreement between the Hellenic republic and Trans Adriatic Pipeline AG, Concerning the Trans Adriatic Pipeline Project and host government agreement between the government of the republic of Turkey and Trans Anatolian gas pipeline company B.V. concerning Trans Anatolian natural gas pipeline system. Regarding to the land use these agreements instead of the host state oblige different responsibility to the investors.

An author concludes that due to the mentioned responsibility of the host state (Georgia) Baku-Tbilisi-Ceyhan project agreement ensures more guarantees of the investors’ legal protection.

# როგორ ფორმირდება „მწვანე“ ეკონომიკა

„მწვანე“ ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე.

ეკონომიკის სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება, რომ იგი პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური ღირებულება. ის ქმნის სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, ამცირებს გარემოს დაბინძურებას, აფერხებს რესურსების გამოლევის საშიშროებას, სტიმულს აძლევს და მოტივაციას უქმნის ბიზნესს ანარმოს მწვანე პროდუქტები და მისი სახეები. ის მიჩნეულია ეკონომიკური თეორიის იმ კომპონენტად, როდესაც იგი ეკოსისტემების ნაწილად მოიაზრება. კლასიკური ეკონომიკის თანახმად „მწვანე“ ეკონომიკა არ განიხილება არა დამოუკიდებლად, არამედ, როგორც მეცნიერების კომპონენტი.

„მწვანე“ ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს ერთმანეთისგან არ მიჯნავს. იგი ეკონომიკური გადანაცვების პოზიტიური ალტერნატივაა. „მწვანე“ ეკონომიკის მთავარი სტრუქტურა არა სახელმწიფო და კერძო ბიზნესია, არამედ საშუალებაა, რომელსაც მას ირივებს.

მრავალი სპეციალისტის აზრით, „მწვანე“ ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს:

- განახლებადი ენერჯია (მზე, ქარი, გეოთერმული, საზღვაო(ტალღები) ბიოგაზი, ღია სითბური, უჯრედის ენერჯია);
- მწვანე შენობები, მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები;
- სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი), საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ელექტროობა, პორტი);
- წყლის მენეჯმენტი (წყლისა და ონკანის გამწმენდი სისტემები ( შიდა წყლის ლანდშაფტი);
- ნარჩენების მენეჯმენტი (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, განმეხდა);
- მიწის მენეჯმენტი (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები, ტყეების განაშენიანება). ამჟამად საზოგადოებას სხვადასხვანაირად აქვს გაგებული „მწვანე“ ეკონომიკის არსი.

ერთნი თვლიან, რომ ეს არის ეკონომიკის ახალი დარგები, რომლებიც აუმაჯობებენ ქვეყნის ბუნებას.

მეორენი-ეს არის ეკოსისტემის ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც მოწოდებულნი არიან დაეხმარონ და ხელი შეუწყონ ბუნებას მოუტანოს სარგებლობა.

ისინი თვლიან, რომ ეს არის გადასვლა განვითარე-



ბის ახალ ეტაპზე, რომლის მიზანია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შექმნა.

ყველა ეს განმარტება ახლოა გამოთქმულ მნიშვნელობასთან.

„მწვანე“ ეკონომიკა ეს არის ეკონომიკა მიმართული საზოგადოების კეთილდღეობის შენარჩუნებაზე ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენების ხარჯზე, აგრეთვე რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო გამოყენებას სანარმოო ციკლში. ჰპირველ ყოვლისა, „მწვანე“ ეკონომიკა მიმართულია იმ რესურსების ეკონომიკურ გამოყენებაზე, რომლებიც განიცდიან გამოფიტვას (სასარგებლო ნიადაგი, წყალი, აირი) და ამონურვადი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე.

„მწვანე“ ეკონომიკის საფუძვლად გამოდის სუფთა, ან „მწვანე“ ტექნოლოგიები. სპეციალისტების სიტყვებით „მწვანე“ ეკონომიკის გამოყენება ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში ეკოლოგიური კრიზისის თავიდან აცილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ „მწვანე“ ეკონომიკის მიღებული განმარტება არ არსებობს. ჩგაეროს ექსპერტები „მწვანე“ ეკონომიკას განიხილავენ, როგორც სამეურნეო საქმიანობას, „რომელიც ამაღლებს ადამიანთა კეთილდღეობას და უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას. ამასთან მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოსადმი რისკებსა და ბუნების გაღარიბებას. (Зелёная экономика ,здрава о хранение (United nations thvizomentat: gzun Economy `htp III wruriv icnepozq green-conomy /Poztals (88) documents/ zeseazch products/ bzic finpapecs Ru\_Ge\_ HeaLTH.Pdt.) სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მწვანე“ ეკონომიკას მიაკუთვნებენ სამეურნეო საქმიანობის იმ სახეებსა და შედეგებს, რომლებიც წარმოების მოდერნიზაციასა და ეფექტიანობასთან

ერთად ხელს უწყობს ცხოვრების დონისა საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას. სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალურ დოკუმენტებში სხვადასხვანაირად არის მოცემული. განვითარებულ ქვეყნებში პირველ ადგილზე აქვთ კონკურენცია, სამუშაო ადგილები, განვითარებადში-მდგრადი განვითარება, სიღარიბის ამოქაჩვა, მოქალაქეთა მონაწილეობა.

დღეს მონეტარულ პოლიტიკას და სახელმწიფო რეგულირებას არ შეუძლიათ შექმნან გონივრული ეკონომიკური სისტემა, შეუძლებელია წარმოიდგინო შედარებით უფრო არაეფექტიანი ირაციონალური ეკონომიკა, ვიდრე, ჩვენ გვაქვს. „მწვანე“ ეკონომიკა გულისხმობს ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობის განვითარებას, „მწვანე“ სამრეწველო წარმოებას, ალტერნატიულ ენერჯეტიკას და ა.შ. ეს დიამეტრულად განსხვავდება ეკონომიკური განვითარების შემადგენელი მოდელისგან, რომელიც ფაქტიურად განიავებულია.

**„მწვანე“ ეკონომიკის განვითარების შედეგად შეიძლება შეიქმნას იმდენი სამუშაო ადგილი, რომ მან კომპენსირება გაუკეთოს ეკონომიკის სხვა დარგებში შემცირებულ სამუშაო ადგილებს. განსაკუთრებით ეს ეხება სოფლის მეურნეობას, ენერჯეტიკას, სატყეო მრეწველობას, ტრანსპორტს. თუმცა ზოგ სექტორში სადაც კაპიტალი მცირეა ზოგიერთ დარგებში „გამწვანება“ მოითხოვს დასაქმებისა და შემოსავლების დროებით შემცირებას, მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივებში ამ სექტორში შეიძლება საჯარო გახდეს ინვესტიციების მოზიდვა და კადრების მომზადება.**

„მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლა სტიმულს აძლევს ინოვაციურ აქტივობას, მათ შორის, ფირმების დონეზეც, რომელიც მხარდაჭერილ უნდა იქნეს სასარგებლო კონკურენტუნარიან გარემოს შექმნასთან ერთად, რეგულირების მეთოდით. ამ შემთხვევაში ლაპარაკია, რომ „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამედროვე ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს

მდგრადი განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის. ინფრასტრუქტურაში შედის წყლის ინფრასტრუქტურა, მინათმონყობა, ურბანიზებული ტექნოლოგიების განვითარება, წყლისპირა ტერიტორიების დაცვა, საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ენერჯეტიკა. ეს სექტორები ხასიათდებიან სანარმოო აპარატის და ინვესტირების ხარნგრძლივადიანი ხასიათით, რაც პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს მოდერნიზაციას. ამასთან დაკავშირებით სპეციალურად განვითარებადი ქვეყნებისათვის საყოველთაოდ განიხილავენ ე.წ. „ბაყაყის ნახტომის“ (ლეაპროქ) სტრუქტურის გამოყენებას. „მწვანე“ ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის განვითარებადი ქვეყნებისათვის (საქართველო) პრინციპულად მნიშვნელოვანია მსხვილი ინვესტირებები რომლებიც შეიძლება იყოს მ.შ.პ.- ის 7%. ამ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ დიზაინს.

ზოგიერთ ქვეყანაში (ა.შ.შ. დიდი ბრიტანეთი ავსტრალია) ჩამოყალიბდა ეგრეთ ნოდებული კერძო „მწვანე“ ბანაკები.

მნიშვნელოვან ინტერესებს წარმოადგენს ინოვაციები. სწორად დამუშავებული საინოვაციო პოლიტიკა მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი გზაა.

ევროპის ქვეყნებში „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირების სფეროში ერთ-ერთი აღიარებული ლიდერია ევროკავშირის ქვეყნები, რომელთა საქმიანობის გათვალისწინება საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია, ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ევროკავშირში დამუშავებული და 2012 წელს ჟურნალში წარმოდგენილი სტრატეგია „ინოვაციურობა მდგრადი განვითარებისათვის“ „ბიოეკონომიკა ევროპისათვის“ (inovating for sustainable development “bioeconomy for europa”), აგრეთვე მისი რეალიზების გზები. ამ სტრატეგიის მიზანია ინვესტიციების ფორმირება, რაც შეეხება ბიოეკონომიკის განვითარების თანამედროვე მდგომარეობას მას ეკონომიკაში დაკავშირებული დარგების ფულადი ბრუნვა აქვს 2 ტრ. ევრო, დასაქმებულთა რაოდენობა 22 მილიონია რაც

**ბიოეკონომიკა ევროკავშირში. ცხრილი I**

ეკონომიკის სექტორები	წლიური ბრუნვა მილიარდი ევრო	დასაქმებულთა რიცხვი	მონაცემთა წყაროები
სასურსათო	965	4400	CLAA
სოფლის მეურნეობა	381	1200	copa-cogecor eurostat
ხის დამუშავების მრეწველობა	375	1800	CEPH
მეთევზეობა და აგროკულტურა	32	500	EC <sup>xxx</sup>
მეტყევეობა	269	3000	CEI-BOIS
ბიონდუსტრია			
ბიოქიმია და ბიოპლასტიკები	50*	150*	UUSDA, ARTRURD letille, FFST MC
ბიოკატალიზატორები	0.8**	5*	Amfee, Aovosymes Genencoz Dsm
ბიოსასუქი	6**	150	EEBB, ebio
სულ	2078	2205	



ეკონომიკაში დაკავებული მთელი სულადობის 9% ია. (იხილეთ ცხრილი I).

საბოლოოდ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად უნდა ავლნიშნოთ, რომ „მწვანე“ პოლიტიკის ინსტრუმენტების მიზნობრივი „პაკეტის“ დამუშავებისათვის აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მოვლენათა ერთობლიობა ამა თუ იმ ქვეყნის დონის გათვალისწინებით, ასევე პოლიტიკური ფაქტორები და სოციალური უპირატესობები. მათ მიეკუთვნებათ ფინანსური ბაზრების სიმწიფე, მარეგულირებელი ორგანოების უნარი შეიმუშავონ „წინ ნასული“ „მწვანე“ პოლიტიკა ოპოზიციური ფენების შესაძლებელი წინააღმდეგობების გათვალისწინებით, რომლის ინტერესებიც ეხება სტრუქტურულ რეფორმებს. ამასთან ერთად მან

უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი კონტროლი დასახული მიზნების შესრულებაზე. ამ შემთხვევაში ლაპარაკი შეიძლება იყოს „მწვანე“ ბაზრების რეალურ ფორმირებაზე, ინოვაციურ პრინციპებზე, მოდერნიზაციის პროცესების პოტენციალზე, ახალი ინსტრუმენტების გამოყენებაზე.

**თ. ლაჭყეპიანი** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**დ. ბაიდაური** - ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი

**მ. კილაძე** - საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა. მწვანე ეკონომიკის ანგარიში. 2010 წ.
2. მწვანე ეკონომიკის ინსტიტუტი. ოფიციალური ვებგვერდი <http://greeneconomics.org.uk>.
3. პ.კოლუაშვილი-საქართველომ უნდა დაიწყოს რევილუცია, რომელსაც მათი ორგანული მწვანე რევილუცია დაერქმევა. საზოგადოება ჯეპ. საზოგადოებრივი ინტერპორტალი. (ინტერნეტი).19.09.2013.

**CERTAIN ISSUES REGARDING FORMATION OF “GREEN” ECONOMICS**

**T. Lachkepiani** – Academic Doctor of Economics  
**D. Baidauri** - Academic Doctor of Buisness Administration  
**M. Kiladze** - Academic Doctor of Engineering sciencee

**RESUME**

The article reviews advanced trends of formations based on new structural transformation of economics, which is called by specialists “green economics”. There has been analyzed the instruments’ complete which are advisable to be used while elaboration and implementation of the strategy of sustainable development. The problematic spheres have been revealed which are less acute for Georgia while formation of ecologically safe, socially fair competitive economics which is based on wide usage of innovations.

# საქართველოს ნაბლის ტყის ნიადაგები

ნაბლის ტყეების ბუნებრივ ზონაში როგორც დასავლეთ (ზ.დ.–დან 400-500 მ–დან 900-1000მდე), ისე აღმოსავლეთ საქართველოში (500-600 მ–დან 1000-1100მ–დე), ნაბლნარების ქვეშ განვითარებულია ტყის ყომრალი ნიადაგები.

აღსანიშნავია, რომ ტყის ყომრალი ნიადაგების გენეზისის, გეოგრაფიისა და კლასიფიკაციის საკითხების შესწავლაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის აკად. თ.ურუშაძეს, რომელმაც დეტალურად დაადგინა ამ ნიადაგების პროფილის შენება, ნიადაგწარმოქმნის პროცესები, ტყის მცენარეულობასა და აღნიშნულ ნიადაგებს შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმოქმედების თავისებურებათა სპეციფიკა და სხვა.



20 წლის განმავლობაში ჩვენს მიერ ნაბლის ტყის ტიპების, მათში ნიადაგური საფარის, ბუნებრივი განახლებისა და სხვა საკითხების კვლევა წარმოებდა სხვადასხვა ადგილსამყოფელის პირობების ანუ ეკოტოპების მიხედვით, რომელთა გამოყოფას საფუძვლად დავუდეთ ედაფური პირობების ტენიანობის სქემა.

ნაბლნარების ნიადაგები შევისწავლეთ ზომიერად მშრალ (მომშრალ – Subsiccum), ზომიერად ტენიან (Subhumidum) – და ტენიან (Humidum) ეკოტოპებში, რაც შეეხება მშრალ (siccum) ეკოტოპს, აქ კორომები უფრო ქართული მუხის გაბატონებით იყო წარმოდგენილი და მასში კვლევები არ გვინარმოებია.

აღსანიშნავია, რომ ნიადაგის ტენიანობის ხარისხის მიხედვით გამოყოფილი ეკოტოპები გავრცელებული იყო სხვადასხვა დაქანების ფერდობებზე და ხასიათდებოდა განსხვავებული სიღრმის ტყის ყომრალი ნიადაგებით, მაგალითად:

- **დამრეც (10°–დე) ფერდობებზე**, საშუალო სიღრმის (30-60 სმ) და ღრმა (60 სმ და მეტი) ნიადაგებით;
- **დაფრდებულ (საშუალო დაქანების) ფერდობებზე** (11-20°–დე), საშუალო სიღრმის (30-60 სმ) და ღრმა (60 სმ და მეტი) ნიადაგებით;
- **ციცაბო (21-35°) და ძლიერ ციცაბო (35° და მეტი) ფერდობებზე**, თხელი (30 სმ–დე სიღრმის) და პრიმიტიული ნიადაგებით.

დასავლეთ საქართველოში ზომიერად მშრალ (მომშრალ) ეკოტოპში – Subsiccum, ჩვენს მიერ აღწერილი იქნა – იელიანი ნაბლნარები (Castanetum azaleosum), წივანიანი რცხილნარ – ნაბლნარი (Carpineto-Castanetum festucosum), წივანიანი რცხილნარ – წიფლნარ – ნაბლნარი (Carpineto – Fageto – Castanetum fastucosum) და მუხნარ – რცხილნარ – ნაბლნარი თხილიანი (Querceto – Carpineto – Castanetum corylosum), რომლებიც გავრცელებულია აღნიშნული რეგიონის თითქმის ყველა გეობოტანიკურ რაიონში (სამეგრელო, რაჭა–ლეჩხუმი, იმერეთი, აჭარა–გურია) და იკავებს ტერიტორიას 400-500–დან 900-1000 მ. სიმაღლემდე, ჩრდილო – აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი ექსპოზიციის დაფრდებულ (15-20°) და ციცაბო (25-30°)

ფერდობებზე. ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი მათგანის ნიადაგების დახასიათება.

**იელიანი ნაბლნარების ნიადაგები (Castanetum azaleosum)** შევისწავლეთ ჩხორონწყუს სატყეო მეურნეობის თაიას, საჩხერის სატყეო მეურნეობის ჯალაბეთისა და ხარაგაულის სატყეო მეურნეობის ხარაგაულის სატყეოებში. აღმოჩნდა, რომ ეს ნიადაგები ხასიათდებიან მაღალი აგრეგატობითა და ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის მიმართ მდგრადობით.

ამავე დროს, ისინი საშუალო სიღრმის ნიადაგებს მიეკუთვნება, მექანიკური შემადგენლობით კი საშუალო და მძიმე თიხნარებია, ამ ნიადაგების რეაქცია სუსტი მჟავაა, ჰუმუსის შემცველობა ზედა ჰორიზონტებში საშუალოა, ქვედა ჰორიზონტებში – მკვეთრად ეცემა, ასეთივე კანონზომიერებაა აზოტის შემცველობის მხრივაც. ამ ნიადაგებს კარბონატი არ აღმოაჩნდათ.

**წივანიანი რცხილნარ–ნაბლნარში (Carpineto-Castanetum festucosum)** ნიადაგების შესწავლის მიზნით ჭრილები მოვანყვეთ ცაგერის სატყეო მეურნეობის ტვიშისა და ხონის სატყეო მეურნეობის ძეძილეთის სატყეოებში. აღმოჩნდა, რომ ეს ნიადაგები წყალგამძლე და ფორიანი სტრუქტურისაა, რაც ტენტევადობის, წყალგამტარობისა და ჰაერშელწევადობის მაჩვენებელია. მათი ზედა გენეზისური ჰორიზონტები ძირითადად მსუბუქი თიხნარებია, რომლებიც სუსტი მჟავე რეაქციით ხასიათდებიან. ისინი საშუალოდ ჰუმუსიანია და ზედა ჰორიზონტებში აზოტისა, სიღრმეში ჰუმუსისა და აზოტის შემცველობა მცირდება. ამ ნიადაგებში კალციუმის კარბონატი არ აღმოჩნდა.

**რცხილნარ – წიფლნარ – ნაბლნარი წივანის საფართო, (Carpineto-Fageto-Castanetum Festucosum)** საკმაო გავრცელებით ხასიათდება სამეგრელოს (ნალენჯისა, ლეჩხუმის (ცაგერი), ქსვანეთის (ლენტეხი), აჭარა – გურიის (ქობულეთი, ოზურგეთი) და სხვა გეობოტანიკურ ოლქებში. ტყის ამ ტიპში ნიადაგები შევისწავლეთ – საჩხერის სატყეო მეურნეობის ჭალისა და ტყიბულის სატყეო მეურნეობის ორპირის სატყეოებში. აღმოჩნდა, რომ ტყის ამ ტიპის ნიადაგებს ახასიათებს წყალგამძლე სტრუქტურა, საკმაოდ

## სატყეო მუხრანობა

მაღალი წყალგამტარობა და ჰაერშელწვეადობა. ისინი საშუალო სიღრმისაა, საშუალო და მძიმე თიხნარებია, სუსტი მჟავე რეაქციით, ჰუმუსისა და აზოტის საშუალო შემცველობით ხასიათდებიან, თუმცა ქვედა ჰორიზონტებში ჰუმუსისა და აზოტის შემცველობა მინიმალურია. კარბონატების არსებობა მათში არ შეინიშნება.

**ზომიერად ტენიან (გრილ) ეკოტოპში – Subhumidum** – შედიან მოცვიანი ნაბლნარები (*Castanetum arctostaphylosum*) და ნიფლნარ – ნაბლნარები (*Fageto-Castanetum arctostaphylosum*). მათგან პირველი ფართოდაა გავრცელებული – აჭარა – გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და სხვა. იკავებს ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციებსა და 15-20°-დე დაქანების ფერდობებს, ზღვის დონიდან 600-1000 მ-ის ფარგლებში. ტყის ამ ტიპში ნიადაგები შევისნავლეთ ამბროლაურის სატყეო მეურნეობის, ჭრებალოს სატყეოში. აღმოჩნდა, რომ ეს ნიადაგები მექანიკური შემადგენლობით მსუბუქი და საშუალო თიხნარებია, ზოგჯერ ქვედა ჰორიზონტი მძიმე თიხნარებს მიეკუთვნება. ტყის ამ ტიპში ნიადაგები შევისნავლეთ ასევე ხელვაჩაურის სატყეო მეურნეობის მაჭახელას სატყეოშიც, სადაც აღმოჩნდა, რომ მოცვისქვეტყიანი ნაბლნარების ნიადაგები მიეკუთვნება ყომრალი ნიადაგების მჟავე ქვეტიპს. ზოგადად, ჩვენს მიერ მოპოვებული მონაცემებით ირკვევა, რომ ეს ნიადაგები სუსტი მჟავე რეაქციით და ჰუმუსის საშუალო შემცველობით ხასიათდება.

**მოცვისქვეტყიან ნიფლნარ-ნაბლნარებში (Fageto-Castanetum arctostaphylosum)** ნიადაგები შევისნავლეთ საჩხერის სატყეო მეურნეობის ლიჩის სატყეოში. აღმოჩნდა, რომ მექანიკური შემადგენლობის მიხედვით ეს ნიადაგები-საშუალო და მძიმე თიხნარებს მიეკუთვნება, ისინი საშუალო სიღრმის და სუსტი მჟავეა, ზედა ჰორიზონტებში მაღალჰუმუსოვანი, ნაყოფიერების მიხედვით – მაღალნაყოფიერია.

**ტენიან ეკოტოპში (Humidum)** აღვწერეთ მაყვლის-საფრიანი, შქერისქვეტყიანი ნაბლნარები და მთის ჩაღუნიანი და წყავიან-ჭყორიანი ნიფლნარ-ნაბლნარები.

**ნაბლნარი მაყვლის საფარით (Castanetum rubosum)** – ფართოდაა გავრცელებული აჭარა-გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და სხვა. იკავებს ტერიტორიებს ზღვის დონიდან 400-500 მ-დან 1200 მ. სიმაღლემდე და გვხვდება როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთი ექსპოზიციის დამრეც და საშუალო დაქანების ფერდობებზე. ნიადაგები ტენიანი და ზომიერად ტენიანი ტყის ყომრალეებია. ტყის ამ ტიპში ნიადაგები შევისნავლეთ ქედის სატყეო მეურნეობის ცხმორისისა და ტყიბულის სატყეო მეურნეობის სანირის სატყეოებში. ამ ნიადაგებს კარგად გამოხატული სტრუქტურა და ეროზიის წინააღმდეგ მდგრადობა ახასიათებთ. ზედა ჰორიზონტების მექანიკური შემადგენლობა მსუბუქი თიხნარია, შუა ჰორიზონტის – საშუალო, ხოლო ქვედა ჰორიზონტებისა მძიმე თიხნარია. რეაქცია სუსტი მჟავეა, ჰუმუსისა და აზოტის შემცველობა საშუალოა, მაგრამ ხელსაყრელია ნაბლის ტყეების ზრდა-განვითარებისათვის.

**ნაბლნარი შქერის ქვეტყით (Castanetum rhododendrasum)** – გვხვდება დასავლეთ საქართველოს ყველა გეობოტანიკური რაიონის ტერიტორიაზე. იკ-

ავებს ჩრდილოეთი ექსპოზიციის დამრეც, საშუალო და ციცაბო ფერდობებს, ზღვის დონიდან 400-1200 მ. სიმაღლემდე. ტყის ამ ტიპში ნიადაგები შევისნავლეთ ამბროლაურის სატყეო მეურნეობის ჭრებალოს სატყეოს ტერიტორიაზე. აღმოჩნდა, რომ ეს ნიადაგები მიეკუთვნება ღრმა ნიადაგებს. ისინი მაღალნაყოფიერია, მსუბუქი და საშუალო თიხნარი, მჟავე ქვეტიპის, რომელიც საკმაოდ მაღალჰუმუსიანია.

**მთის ჩაღუნიანი ნიფლნარ-ნაბლნარი (Fageto-castanetum filicosum)** გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ყველა გეობოტანიკურ რაიონში, ზღვის დონიდან 700-1200მ-ის ფარგლებში. იკავებს ძირითადად ჩრდილოეთი ექსპოზიციის 11-20°-დე ფერდობებსა და მდინარეთა ტენიან ხეობებს. ტყის ამ ტიპში ნიადაგები შევისნავლეთ ნალენჯიხის სატყეო მეურნეობის ჭალის სატყეოში. გამოირკვა, რომ ეს ნიადაგები მსუბუქი და საშუალო თიხნარებია, სუსტი მჟავე რეაქციით და მიეკუთვნება ჰუმუსით და აზოტით მდიდარ ნიადაგებს.

**ჭყორიან-წყავიან ნიფლნარ-ნაბლნარი (Fageto-Castanetum ilexo-Laurocerasosum)** ტყის ტიპის ნიადაგები შევისნავლეთ ტყიბულის სატყეო მეურნეობის გურნის სატყეოში. აღმოჩნდა, რომ ეს ნიადაგები მექანიკური შემადგენლობით საშუალო და მძიმე თიხნარებია, სუსტი მჟავე რეაქციით, ჰუმუსისა და აზოტის მაღალი შემცველობით, ეს ნიადაგები ასევე არ შეიცავენ კარბონატებს.

აღმოსავლეთ საქართველოში ნაბლი რამდენადმე მნიშვნელოვანი რაოდენობით მხოლოდ კახეთის რეგიონში გვხვდება.

**ზომიერად მშრალ (მომშრალ) ეკოტოპში (Subsicum)** ნაბლის ტყის ნიადაგები შევისნავლეთ მუხნარ-რცხილნარ-ნაბლნარებში მთის ნივანას საფარით (*Querceto-Carpineto-Castanetum Festucosum*), რომელიც საკმაოდ გავრცელებული ტყის ტიპია და იკავებს სამხრეთი ექსპოზიციის დაფერდებულ და ციცაბო ფერდობებს ზღვის დონიდან 400-500მ-დან 1000-1100 მ-დე სიმაღლეთა ფარგლებში. ტყის ამ ტიპში ნიადაგები შევისნავლეთ ახმეტის სატყეო მეურნეობის პანკისის სატყეოში და ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის გურგენიანის სატყეოში. პანკისში მიღებული შედეგების მიხედვით ეს ნიადაგები მიეკუთვნება თიხნარებს, რომლებიც ზედა ჰორიზონტებში მსუბუქი თიხნარებია, ხოლო ქვემოთ-საშუალო. გამონაკლისია გურგენიანის სატყეოში მოპოვებული მონაცემები, რომლის მიხედვითაც, ეს ნიადაგები ქვედა ჰორიზონტებში მძიმე თიხნარებია. ზედა ჰორიზონტებში ჰუმუსი უფრო მეტია, ვიდრე ქვედაში და ეს კლება პანკისის სატყეოს ნიადაგებთან შედარებით, გურგენიანის სატყეოში უფრო თვალნათელია. რეაქცია ორივე სატყეოს ნიადაგებში სუსტი მჟავეა, ნიადაგები ძირითადად ღრმაა (60 სმ და მეტი).

**იელიანი რცხილნარ – ნაბლნარი (Carpineto-Castanetum azaleosum)** ძირითადად დამახასიათებელია მთიანი კახეთის გეობოტანიკური რაიონის ზომიერად მშრალი ადგილმდებარეობის ფართოფოთლოვანი ტყეებისთვის და გავრცელებულია საშუალო დაქანების და ციცაბო, სამხრეთი ან აღმოსავლეთი ექსპოზიციის ფერდობებზე ზღვის დონიდან 600-900მ-ის სიმაღლეზე. იგი გვხვდება ახმეტის სატყეო მეურნეობის პანკისისა და ყვარლის სატყეო მეურნეობის-მთისძი-

რის, ახალსოფლისა და მცირედ ყვარლის სატყეოების ტერიტორიებზე. აღნიშნული ტყის ტიპი განვითარებულია საშუალო სიღრმის (30-60მ) ტყის ყომრალ ნიადაგებზე. ჩვენს მიერ ნიადაგის ჭრილები გაკეთდა და საანალიზო ნიმუშები აღებული იქნა ყვარლის სატყეო მეურნეობის მთისძირის სატყეოში. დადგინდა, რომ ეს ნიადაგები მსუბუქ თიხნარებს მიეკუთვნება სუსტი მჟავე რეაქციით. ჰუმუსისა და აზოტის შემცველობის გათვალისწინებით, ეს ნიადაგები საშუალოდ ჰუმუსირებულ ნიადაგებს მიეკუთვნება.

**ზომიერად ტენიან (გრილ) ეკოტოპში (Subhumidum)** აღვნიშნეთ მკვდარსაფრიანი, თხილსქვეტყიანი და მაცვლისსარიანი შერეული ნაბლნარები.

**ნიფლნარ-ნაბლნარი მკვდარსაფრიანი (Fageto - castanetum nudum)** ტყის ტიპი ვრცელდება მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე-ყვარლის სატყეო მეურნეობის ყვარლის, მთისძირის, ახალსოფლის, ლაგოდეხის სატყეო მეურნეობის-ფონის, ბაისუბნისა და ლაგოდეხის, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის-გურგენიანისა და ლაგოდეხის, თელავის სატყეო მეურნეობის-ფშავლისა და ნაფარეულის, ახმეტის სატყეო მეურნეობის პანკისისა და ახმეტის სახელმწიფო ნაკრძალის-ბანარის სატყეოების ტერიტორიებზე, ზღვის ზღვიდან 600-650 მ-დან 1000-1100მ. სიმაღლემდე და იკავებს ძირითადად ჩრდილოეთის, ზოგჯერ კი დასავლეთისა და აღმოსავლეთი ექსპოზიციების უმეტესად 10-დან 20°-დე, ხოლო რიგ შემთხვევაში 25°-დე დაქანების ფერდობებს. ტყის ამ ტიპში ნიადაგები შევისწავლეთ ლაგოდეხის სატყეო მეურნეობის ფონისა და ყვარლის სატყეო მეურნეობის ყვარლის სატყეოებში. კვლევის შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ეს ნიადაგები საუკეთესო ფიზიკური თვისებებით ხასიათდებიან. ამ ნიადაგების ზედა და შუა ჰორიზონტები საშუალო თიხნარებს მიეკუთვნება, ხოლო ქვედა ჰორიზონტი მძიმე თიხნარებია. ნიადაგის რეაქცია მერყეობს სუსტი მჟავედან სუსტ ტუტემდე, კერძოდ, ზედა ჰორიზონტებში რეაქცია სუსტი მჟავეა, ხოლო ქვედა ჰორიზონტში-სუსტი ტუტე. ჰუმუსის შემცველობა სიღრმის მატებასთან ერთად მცირდება. ზოგადად ეს ნიადაგები ღრმაა და უკარბონატო.

**რცხილნარ-ნიფლნარ-ნაბლნარ თხილის ქვეტყით (Carpinetum-Fageto-Castanetum corylosum)** გავრცელებულია ახმეტის სატყეო მეურნეობის – პანკისის, ახმეტის სახელმწიფო ნაკრძალის-ბანარის, ყვარლის სატყეო მეურნეობის-ყვარლის, ახალსოფლის, მთისძირისა და ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის-გურგენიანისა და ლაგოდეხის სატყეოების ტერიტორიებზე ზღვის დონიდან 400 მ-დან 1000-1200 მ. სიმაღლემდე და ძირითადად იკავებს ჩრდილოეთი, მცირედ სამხერთი, აღმოსავლეთისა და დასავლეთი ექსპოზიციების 10-დან 25°-დე, იშვიათად 35°-დე დაქანების ფერდობებს. ნიადაგები შევისწავლეთ ახმეტის სატყეო მეურნეობის პანკისისა („სპეროზის“ მთის მიდამოები) და ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის ლაგოდეხის სატყეოებში („დანგრეული ფერდი“). აღმოჩნდა, რომ ნიადაგები საუკეთესო ფიზიკური თვისებებით ხასიათდება. ამ ნიადაგების ზედა ჰორიზონტები მიეკუთვნება საშუალო, ხოლო ქვედა ჰორიზონტები-მძიმე თიხნარებს. ჰუმუსის შემცველობა სიღრმის მატებასთან

ერთად კლებულობს, რეაქცია სუსტი მჟავეა, კარბონატობა არ შეინიშნება.

**ტენიანი ეკოტოპის (Himidium)** ნაბლნარები კახეთის კავკასიონის მიდამოებში წარმოდგენილია ნიფლნარ-ნაბლნარი კორომების სახით და გავრთიანებულია მაცვლიან, გვიმრიან და მაცვალ-გვიმრიან ტყის ტიპებში. ეს უკანასკნელი დანარჩენ ორ ტყის ტიპთან შედარებით უფრო მეტადაა გავრცელებული, რის გამოც ქვემოთ მოგვყავს მისთვის დამახასიათებელი ნიადაგების კვლევის შედეგების ანალიზი.

**ნიფლნარ-ნაბლნარი მაცვალ-გვიმრიანი (Fadeto-Castanetum ruboso-filicosum)** ტყის ტიპი გავრცელებულია ახმეტის სატყეო მეურნეობის-პანკისის, ახმეტის სახელმწიფო ნაკრძალის-ბანარის, ყვარლის სატყეო მეურნეობის – მთისძირისა და ახალსოფლის და ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის – გურგენიანისა და ლაგოდეხის სატყეოების ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 450-500 მ-დან 1000-1200 მ. სიმაღლემდე, სადაც იკავებს – ჩრდილოეთის ექსპოზიციების დაფერდებულ და ციცაბო ფერდობებს. ნიადაგების შესწავლას ვაწარმოებდით ყვარლის სატყეო მეურნეობის მთისძირის სატყეოში. აღმოჩნდა, რომ შესწავლილი ნიადაგები მძიმე თიხნარებია, მაღალჰუმუსოვანი და სუსტი მჟავიანობის მქონე, ღრმა, ტენიანი, უკარბონატო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ნაბლნარები განვითარებულია ყომრალი ტიპის, ღრმა ან საშუალო სიღრმის მსუბუქ, საშუალო ან მცირედ-მძიმე თიხნარ ნიადაგებზე, რომლებსაც ახასიათებს სუსტი მჟავე, იშვიათად სუსტი ტუტე რეაქცია, ეს ნიადაგები ძირითადად მაღალჰუმუსიანია, აზოტის საკმაოდ მაღალი შემცველობით, ძირითადად უკარბონატო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი საუკეთესო კონდიციით და მაღალი აგროსანარმოო თვისებებით ხასიათდებიან, რაც სავსებით ხელსაყრელია ნაბლის ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის.

**გივი ჯაფარიძე**  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი  
**რევაზ ჩაგვლიშვილი**  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი  
**გიორგი გაგომიძე**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**ბამოყენებული ლიტერატურა**

1. ვ. გულისაშვილი – საქართველოს ბუნება და ბუნებრივი ზონები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977 წ.
2. მ.საბაშვილი – საქართველოს ნიადაგები, გამომც. „განათლება“, თბილისი, 1950 წ.
3. თ.ურუშაძე – საქართველოს ტყის ნიადაგები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972 წ.
4. თ.ურუშაძე – საქართველოს მთა-ტყის ნიადაგები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977 წ.
5. თ. ურუშაძე – საქართველოს ძირითადი ნიადაგები, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1997 წ.



# როგორ მოვაპარაბოთ საქართველო ელექტროენერჯით

ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების საფუძველს ენერგეტიკა განსაზღვრავს. იგი უწყვეტ და შეუფერხებელ რეჟიმში უზრუნველყოფს ქვეყანაში მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და კომუნალური მეურნეობების განვითარებას.



ეკონომიკური განვითარების სტაბილურობა მიუღწეველია მუდმივად განვითარებადი ენერგეტიკის გარეშე. სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის საფუძველში ენერგეტიკის განვითარება ძევს. შრომის მწარმოებლურობის ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სანარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. მათ საფუძველზე მიმდინარეობს ხელით შრომის, განსაკუთრებით კი მონოტონური და მძიმე შრომის მანქანური წარმოებით შეცვლა.

ამასთან ერთად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკურ საშუალებათა უმრავლესობა მექანიზირებული, ავტომატიზირებული და შექმნილია ელექტროენერჯის გამოყენების საფუძველზე. განსაკუთრებით მასსიურად გამოიყენება ელექტროენერჯია ელექტრომობილებში. ელექტრო მანქანების სიმძლავრე განსხვავებულია რამდენიმე ვატის მცირე სიდიდიდან (საყოფაცხოვრებო ტექნიკის მცირე მოტორებიდან) უზარმაზარ სიდიდეებამდე (ელექტრო სადგურების გენერატორები).

საზოგადოების მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე ყოველწლიურად იზრდება, ხოლო ბუნებრივი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მარაგები (ნავთობი, ნახშირი, გაზი, და სხვა) და ბირთვული საწვავის მარაგები (ურანი და თორიუმი რომლებიც ბირთვულ რეაქტორებში პლუტონიუმის მისაღებად გამოიყენება) ამონურვადია.

ამის გამო დღეისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელექტროენერჯის მაღალეფექტური წყაროების მონახვა, განსაკუთრებით კი ისეთების რომლებიც იქნება იაფი, მარტივი კონსტრუქციის, ექსპლოატაციისა და მასალების თვალსაზრისით.

მრეწველობა ელექტროენერჯის ყველაზე დიდი მომხმარებელია. ელექტროენერჯია მრეწველობაში აუცილებელია სხვადასხვა ავტომატური მექანიზმების მოქმედებისთვის და უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებში გამოსაყენებლად.

სოფლის მეურნეობაში ელექტროენერჯია ძირითადად სათბურების გასათბობად, გასანათებლად და ფერმებში ხელით შრომის ავტომატიზაციისთვის გამო-

იყენება. ელექტროენერჯია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სატრანსპორტო კომპლექსში. სარკინიგზო ტრანსპორტი განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ელექტროენერჯის მომხმარებელია. ეს საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ გზების გამტარიანობა, ავამაღლოთ მატარებლების მოძრაობის სიჩქარე და შევამციროთ გადაზიდვებზე დანახარჯები.

ელექტროენერჯია ყოფით ცხოვრებაში კომფორტულ სიცოცხლეს უზრუნველყოფს. თითქმის ყველა საყოფაცხოვრებო ტექნიკა(მაცივრები, ტელევიზორები, კომპიუტერები და სხვა) იყენებს ელექტროენერჯიას. რაც უფრო მეტი ენერჯია ჭირდება კაცობრიობას, მით უფრო იზრდება ელექტროენერჯის გენერაციის სადგურების როლი. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახეობის ელექტროსადგურების რაოდენობა ძირითადად დამოკიდებულია შესაბამისი რესურსების არსებობაზე. გარდა ამისა, არსებობს ტრადიციული და არატრადიციული ელექტროენერგეტიკა.

## ტრადიციული ელექტროენერგეტიკა

ტრადიციული ელექტროენერგეტიკა რამდენიმე საუკუნეა რაც არსებობს და გამოცდილია ექსპლოატაციის განსხვავებულ პირობებში. მსოფლიოში ელექტროენერჯის დიდ ხვედრით ნილს ტრადიციულ თბოელექტროსადგურებში (თეს-ებში) აწარმოებენ.

თბოენერგეტიკაში ელექტროენერჯია ინარმოვება თბოელექტროსადგურებში, სადაც ორგანული სათბობის ბუნებრივი ენერჯის თანმიმდევრულად გარდაქმნა მიმდინარეობს სითბურ და ელექტროენერჯიად. არსებობს ორთქლის, გაზის, აგრეთვე ერთად ორთქლისა და გაზის ტურბინების მქონე თესები.

მსოფლიოში თბოენერგეტიკას სხვა სახეობებთან შედარებით წამყვანი როლი აქვს. ნავთობიდან აწარმოებენ მსოფლიოში არსებული ელექტროენერჯის 39%-ს, ქვანახშირიდან - 27%-ს, ხოლო გაზიდან - 24%-ს.

პოლონეთსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ენერგეტიკა ძირითადად ეფუძნება ქვანახშირის გამოყენებას, ჰოლანდიაში კი - ბუნებრივ გაზს. თბოენერგეტიკის მაღალი ხვედრითი ნილი ახასიათებს ისეთ

ქვეყნებს როგორცაა: ჩინეთი, ავსტრალია და მექსიკა. თბოენერგეტიკას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები. დადებითი ფაქტორებია:

- შედარებით თავისუფალი განლაგების ადგილი, რომელიც დაკავშირებულია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების განთავსებასთან;
- სეზონური ცვლილებებისგან დამოუკიდებლად ელექტროენერჯის წარმოების შესაძლებლობა; უარყოფითი ფაქტორები:
- თესი ხასიათდება დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტით. უფრო ზუსტად ბუნებრივი რესურსების ენერჯის მხოლოდ 32%-50% გარდაიქმნება ელექტრო ენერჯიად;
- სათბობენერგეტიკული რესურსები შეზღუდულია მსოფლიოში.
- გარემოზე უარყოფითად მოქმედებს.

**ჰიდროენერგეტიკა**

ჰიდროენერგეტიკაში ელექტროენერჯია იწარმოება ჰიდროელექტროსადგურებში (ჰესებში), რომლებიც წყლის ნაკადის ენერჯიას გარდაქმნიან ელექტროენერჯიად. ჰესებში ყველაზე იაფ ელექტროენერჯიას აწარმოებენ, მაგრამ მათ გააჩნიათ მშენებლობის მაღალი დანახარჯები. ჰესების მთავარი ნაკლოვანებაა მათი მუშაობის სეზონური ხასიათი, რაც მრეწველობისთვის არამოსახერხებელია.

ჰესების რამდენიმე სახეობა არსებობს. მათ შორის:

**ჰიდროელექტროსადგურები**, რომელთა მშენებლობამ მდინარეთა ბუნებრივი წყლის რესურსები გარდაქმნა ხელოვნურ ჰიდროენერგეტიკულ რესურსებად. ისინი ტურბინებში გარდაქმნის შემდეგ გადაიქცევა მექანიკურ ენერჯიად. იგი თავის მხრივ გამოიყენება

გენერატორში და გარდაიქმნება ელექტროენერჯიად.

**მოქცევის სადგურები**. ამ სადგურებში გამოიყენება ზღვის წყალი. მოქცევის და მიქცევის საფუძველზე ზღვის დონე იცვლება. ასეთ შემთხვევებში ტალღა ზოგჯერ 13 მეტრს აღწევს. ამ სხვაობის გამო იქმნება წყლის ჭავლი. ამავე დროს მოქცევის ტალღა ხშირად იცვლება და ამის შედეგად იცვლება როგორც წყლის ჭავლი, ასევე სადგურის სიმძლავრე. ასეთი ჰიდროელექტროსადგურების ძირითად ნაკლოვანებას წარმოადგენს მათი მუშაობის იძულებითი რეჟიმი. ამ სახის ჰესები ელექტროენერჯიას გვაძლევენ არა იმ დროს, როდესაც ეს აუცილებელია მომხმარებლისთვის, არამედ, ბუნებრივი პირობების ცვლილებების (მოქცევის და მიქცევის წყლის დონის) შესაბამისად. აღსანიშნავია აგრეთვე ასეთი ჰესების აღჭურვილობის მაღალი ღირებულება.

**ჰიდროაკუმულირებადი ჰიდროელექტროსადგურები**. ასეთი სადგურები შენდება ერთი და იგივე რაოდენობის წყლის გადაადგილების ციკლურობის გამოყენების მიზნით განსხვავებული დონეების მქონე აუზებში. მაშინ როდესაც ღამე ელექტროენერჯიზე მოთხოვნა უმნიშვნელოა წყალი ცირკულირებს დაბალი აუზიდან მაღალი აუზისკენ, ღამე წარმოებული ენერჯის ნამეტის გამოყენების საფუძველზე. დღის საათებში როდესაც ელექტროენერჯის გამოყენება მკვეთრად იზრდება, წყალი ზედა აუზიდან ტურბინებით ქვედა აუზში გადაისროლება და ელექტროენერჯიას წარმოქმნის. ასეთი მიდგომის საფუძველზე ჰესი პიკური დატვირთვის შემცირების საშუალებას გვაძლევს. აღსანიშნავია ასევე, რომ ჰესები განსაკუთრებით ეფექტიანია, რადგან ამ შემთხვევაში გამოიყენება აღდგენადი რესურსები და შედარებით მარტივად





იმართება. მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი 80%-ს აღემატება. ამდენად გამომუშავებული ელექტროენერგია ყველაზე იაფია. ამავე დროს ჰესების მშენებლობა გრძელვადიანია და მოითხოვს დიდ კაპიტალურ დანახარჯებს.

**ბირთვულ ენერგეტიკაში** ელექტროენერგია ატომურ სადგურებში (აეს-ებში) ინარმოება. ასეთ სადგურებში ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად ურანის ჯაჭვურ რეაქციას იყენებენ. სხვა სახეობის ელექტროსადგურებთან შედარებით აეს-ების უპირატესობა შემდეგშია:

**იგი არ აბინძურებს ბუნებრივ გარემოს (თუ არ ჩავთვლით ფორს-მაჟორულ გარემოებებს);**

**მათი განთავსება შესაძლებელია ყველგან სადაც კი ბუნებრივი რესურსი (წყალი) არსებობს.**

**აეს-ების ნაკლოვანება ელექტროსადგურების სხვა სახეობებთან შედარებით არის:**

- ფორსმაჟორული მდგომარეობის, ავარიების, მიწისძვრებისა და სხვა პრობლემათა კატასტროფული შედეგები. ისინი ვლინდება დიდი ტერიტორიების რადიოაქტიურ დაბინძურებაში, რაც ცოცხალი ორგანიზმების არსებობას საფრთხეს უქმნის;

- სირთულე რადიოაქტიური ნარჩენების დამარხვასთან დაკავშირებით.

ატომურ ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ ლიდერობს საფრანგეთი, სადაც ელექტროენერგიის დიდი რაოდენობა(80%) აეს-ებში ინარმოება. ელექტროენერგიის წარმოებაში აეს-ების ხვედრითი წილი ასევე მაღალია აშშ-ში, ბელგიაში, იაპონიასა და სამხრეთ კორეაში.

**არატრადიციული ელექტროენერგეტიკა**

არატრადიციული ელექტროენერგეტიკა ძალზე ახალგაზრდაა. მას ჯერ არ გააჩნია კონკურენციული უპირატესობა ელექტროენერგეტიკის ტრადიციულ დარგებთან. მიუხედავად ამისა არატრადიციული

ელექტროენერგეტიკის დარგები განვითარებული ქვეყნების მთავრობათა ხელშეწყობით სწრაფად ვითარდება. ამ ვითარებას განაპირობებს დედამიწაზე ენერგორესურსების (ნავთობის, გაზის, ქვანახშირის) ამონურვადი ხასიათი. ამ რესურსების მარაგები ბუნებაში მილიონი წლების განმავლობაში იქმნებოდა, ხოლო მათ ამონურვას კი სულ რამდენიმე ასწლეული სჭირდება. კაცობრიობამ უკვე დაიწყო ენერგიის არატრადიციული რესურსების მასშტაბური გამოყენებისთვის მზადება.

ალტერნატიული ენერგორესურსების ძირითად წყაროებს წარმოადგენს:

- წყლის (მცირე მდინარეების, მოქცევებისა და მიქცევების, ტალღების, ჩანჩქერების და სხვა) ენერგია;
- მზის ენერგია;
- ქარის ენერგია;
- გეოთერმული ენერგია;
- ბიომასის გადამუშავებით მიღებული ენერგია და ა.შ.

ამ წყაროების გამოყენების საფუძველზე მომუშავე ელექტროსადგურების მშენებლობაზე ზემოქმედი დადებითი ფაქტორებია: გრძელვადიან პერიოდში ელექტროენერგიის დაბალი ღირებულება; მცირე სიმძლავრის ბევრი, ლოკალური ელექტროსადგურების არსებობის შესაძლებლობა; ენერგიის არატრადიციულ წყაროთა განახლებადი ხასიათი; და არსებული ენერგოსისტემების საიმედოობის ამაღლება(პოლიტიკური რისკის მაქსიმალური შეზღუდვა). ალტერნატიული ენერგეტიკის მახასიათებლებს წარმოადგენს:

- მისი ეკოლოგიური სისუფთავე;
- მშენებლობის მაღალი კაპიტალტევადობა და
- შედარებით მცირე სიმძლავრე.

ჩვენს მიერ მოყვანილ შესაძლებლობათა ჩამონათვალიდან მცირე ლია ეკონომიკის მქონე განვითარებული ქვეყნებისთვის და მათ შორის საქართველოსთვის ხელმისაწვდომია წყლის, მზის, ქარისა და ბიომასის



ენერჯის გამოყენების შესაძლებლობები. ამავე დროს მაღალი სიმძლავრის გრანდიოზული ჰესების მშენებლობა ყოველთვის დიდ რისკებთან იქნება დაკავშირებული, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთი, წყალსაცავიანი ჰესები იძლევა ელექტროენერჯის სტაბილურად მიღების შესაძლებლობას, მაშინ როდესაც წყლის მოდინებაზე დამოკიდებული ჰესების გამომუშავება არასტაბილურია.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ქვეყნის სტაბილური და მდგრადი მომარაგება ელექტროენერჯით, საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის

ა) ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის იმგვარად ათვისება, რომ მცირე ჰესების მშენებლობა-ექსპლუატაცია იყოს არანაკლებ მომგებიანი, ვიდრე დიდი ზომის ჰესებისა;

ბ) მოძველებული, დაბალეფექტური თბოსადგურები უნდა შეიცვალოს მაღალეფექტური, კომბინირებული თბოსადგურებით, რომლებიც ნაკლები საწვავით მეტ ენერჯიას გამოიმუშავებს;

გ) ელექტროსისტემის საიმედოობის ზრდის პარა-

ლელურად, გამოყენებული იქნას ქარის სადგურები;

4) ნახალისდეს ენერგოეფექტურობის ღონისძიებები;

5) შემოღებულ იქნას ე.წ. განაწილებული გენერაცია (**distributed generation**), რაც საშუალებას მისცემს მიკრო (და არა მარტო მიკრო) გენერაციის წყაროების მფლობელ მომხმარებლებს, გამანაწილებელ ქსელში მიაწოდონ ჭარბი ელექტროენერჯია.

6) შემოღებულ იქნას დღე-ღამური/საათობრივი ტარიფები, რაც საშუალებას მისცემს სისტემას მეტნაკლებად გაათანაბროს მოხმარება დღიურ ტრილში და მოხსნას/შეარბილოს პიკური დატვირთვები.

7) გაგრძელდეს ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისთვის განკუთვნილი ხაზების მშენებლობა/გაფართოება/გაძლიერება.

მხოლოდ ამ და სხვა (ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანს) ღონისძიებების კომპლექსური გამოყენების შედეგად იქნება შესაძლებელი ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობის და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდა.

ირმა ქავთარაძე

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გ. თავაძე, ი. ქავთარაძე, დ. ჩომახიძე, დ. მენაბდე, „ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა“.თბ. 2006.
2. რ. არველაძე., ნ. კერესელიძე. XX საუკუნის ენერგეტიკა-მისი შემდგომი პრობლემები და პერსპექტივები. ჟურნალი ენერჯია, №4, 2000.
3. დ.ზუბიტაშვილი. ენერგოეფექტურობის საკითხები წარმოებაში. ჟურნალი „ენერჯია“ №3, 2004.
4. ნ. მელაძე. ენერჯის არატრადიციული განახლებადი წყაროების გამოყენება საქართველოში. ჟურნალი ენერჯია, №10, 2004.
5. BP- Statistical Review of world energy 2014 workbook. xlsx., June 2014.
- U.S. Energy Information Administration - International Energy Statistics, 2009.

**SUMMARY**

The article discusses the importance of Electricity and operation areas and the development of modern conditions. The paper gives the traditional and non-traditional energy assessment characterization and the analysis of their advantages and negative characteristics.

Development trends in the electricity sector in the long-term development perspectives of discussion, argument based on the need for economic development with the concept.

# რეფორმები საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში

(1996-2012 წ.წ.)

## რეფორმების I ეტაპი 1996-2004წწ.

საქართველოში 1994 წლის მინურულიდან პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია დაიწყო. 1995 წლის შემოდგომაზე შემოღებულ იქნა ლარი, მშპ ზრდის ტემპმა 1995 წელს 3%, ხოლო 1996-97 წლებში 10-11% შეადგინა. 1995 წელს მიღებული იქნა კანონი „მენარმეთა შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა კომერციული კომპანიების შექმნა და მათი შემდგომი საქმიანობა. 1997 წელს ძალაში შევიდა სამოქალაქო კოდექსი. 1996 წელს დაიწყო მასობრივი პრივატიზაციის პროცესი და მოხდა სახელმწიფო საწარმოების კერძო მესაკუთრეების ხელში გადასვლა. სხვადასხვა სფეროს საწარმოებთან ერთად მოხდა „საქენერგოს“ სისტემაში არსებული 30 საწარმოდან 23-ის პრივატიზაცია. 1996 წლის გაზაფხულიდან პრივატიზების მეორე ეტაპი დაიწყო.

მიუხედავად სტაბილიზაციის პროცესის დაწყებისა, მწვავე კრიზისი იყო ენერგეტიკულ სექტორში. საქართველო ჯერ კიდევ განიცდიდა საწვავის მკაცრ უკმარისობას, რომელიც აუცილებელი იყო თბოელექტროსადგურების ოპერირებისთვის.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 30 მაისის ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ **ფინანსური მდგომარეობა ენერგეტიკის სექტორში ძალზე რთულია. ფინანსების უმეტესი ნაწილი ზამთრის განმავლობაში დახარჯული იყო საწვავის საყიდლად, მაგრამ სამინისტროებმა და რეგიონებმა არასათანადოდ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და შედეგად, მარტის თვეში საქენერგო ფინანსური რესურსების გარეშე აღმოჩნდა. ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო ვერ ხდებოდა თბოსადგურებისთვის საჭირო საწვავის სრული**


მოცულობით შექმნა, რის გამოც მომხმარებელების უმეტესობას, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, ელექტროენერგია მხოლოდ დღეში რამდენიმე საათით მიეწოდებოდა.

დიაგრამა გვიჩვენებს ელექტროენერგიის გენერაციას 1990-2011 წლებში საწვავის სახეობის მიხედვით.

**ასეთ ვითარებაში ქვეყანას არ დარჩა არჩევანი - რეფორმები ენერგეტიკის სექტორში (ისევე როგორც სხვა სექტორებში) გარდაუვალი იყო. მეორეს მხრივ, ასეთი იყო დონორების მოთხოვნაც.**

1996 წელს შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, რომელსაც დაევალა სათბობ-ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ენერგეტიკული სექტორის სახელმწიფო მართვა და რეგულირება. 1996 წელს გამოიცა პრეზიდენტის ორი ბრძანებულება, რომლებიც იმ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო და რომელსაც საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის გატარებაში მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი გამოიწვია. ეს გახლდათ: 1996 წლის 4 ივლისის #437 ბრძანებულება „ენერგეტიკის სექტორის რესტრუქტურის შესახებ“ და 1996 წლის 19 დეკემბრის №828 ბრძანებულება „ელექტროენერგიის სექტორის პრივატიზაციის შესახებ“. ენერგეტიკის სფეროში მდგომარეობის ნორმალიზებისთვის აგრეთვე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1996 წლის 19 დეკემბრის №829 ბრძანებულება „ენერგეტიკის სფეროში სატარიფო სისტემის ეტაპობრივი ნორმალიზაციისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი ზომების შესახებ“.

ბრძანებულება ენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურის შესახებ განსაზღვრავდა:



წყარო: ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მასალები. 2012წ.

1. ენერგეტიკული სექტორი აღიარებულ იქნა პრიორიტეტულ სფეროდ;

2. ეკონომიკის სამინისტროში უნდა შექმნილიყო ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელიც უფლებამოსილი იყო დაერეგულირებინა საბითუმო და საცალო ტარიფები ენერგეტიკის სფეროში. ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრები უფლებამოსილნი იყვნენ დაემტკიცებინათ მეთოდოლოგია და წესები ელექტროენერჯის საბითუმო და საცალო ტარიფების მეთოდოლოგია და ამ ტარიფების დადგენის წესები.

3. უნდა მომხდარიყო ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანია „საქენერჯის“ რეორგანიზება და მის ბაზაზე შექმნილიყო ფინანსურად დამოუკიდებელი 3 ქვესექტორი - გენერაცია, გადაცემა - დისტრიბუცია და დისტრიბუცია.

ბრძანებულება ელექტროენერჯის სექტორის პრივატიზაციის შესახებ მიზნად ისახავდა რეგულირებული ენერგეტიკული ბაზრის შექმნას; ენერგეტიკის სექტორის კრიზისიდან გამოყვანას; სექტორის მოდერნიზაციას, განვითარებას და მასში ინვესტირების სტიმულების შექმნას; მარეგულირებელი და კომერციული ფუნქციების გამიჯვნას; საკუთრების სხვადასხვა ფორმების შემოღებას; კონკურენტული გარემოს შექმნას; სახელმწიფო მონოპოლიის მოსპობას; ადგილობრივი და საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვას და სხვ. ბრძანებულებით დამტკიცდა სექტორის პრივატიზაციის გეგმა. გეგმით განისაზღვრა რომელი საწარმოები უნდა ყოფილიყო პრივატიზირებული და რომელი - არა. გადანყდა გენერაციისა და დისტრიბუციის კომპანიების პრივატიზაცია მათი წილების პრივატიზების გზით. სადისტრიბუციო კომპანიების შემთხვევაში, წილების 51% გამოტანილი იქნა ტენდერებზე.

ბრძანებულებამ ენერგეტიკის სექტორში სატარიფო სისტემის ეტაპობრივი ნორმალიზების და მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი ზომების შესახებ გააუქმა სხვადასხვა შეღავათები, რომლებიც არსებობდა კომპანიებისა და ორგანიზაციებისთვის და შემოიღო ყველასთვის უნიფიცირებული ტარიფი (გარდა მოსახლეობისა) - 4,5 თეთრი (მაშინდელი ფასებით - დაახლოებით 3.6 ცენტი) 1კვტს-ზე. მოსახლეობისთვის 3.2 თეთრი (დაახლოებით 2.56 ცენტი) 1კვტს-ზე. ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიას დაევალა წარმოედგინა წინადადებები, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ტარიფებში სოციალური დაცვის ზომების სისტემა, ხოლო ეკონომიკის სამინისტროს, ენერგეტიკის სამინისტროსა და ევალატი მარეგულირებელ კომისიასთან ერთად - მიეღოთ გადანყვეტილება განსხვავებული საფეხურის (ძაბვის მიხედვით) ტარიფების დადგენის შესახებ.

1997 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ელექტროენერჯის შესახებ, რომელმაც ერთმანეთისგან განაცალკევა საკუთრების, კომერციული და მარეგულირებელი ფუნქციები ენერგეტიკის სექტორში. კანონმა შექმნა იურიდიული საფუძვლები სექტორში საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული

ურთიერთობების შემოღებისათვის, ინვესტიციების მოზიდვისათვის, კონკურენტული ბაზრის შექმნისათვის. კანონმა, ასევე შემოიღო საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის პრინციპები იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის ინტეგრირება დასავლეთის ქვეყნების შესაბამის ბაზრებთან. კანონი ადასტურებდა მარეგულირებლის დამოუკიდებელ სტატუსს. ამის შედეგად, მარეგულირებელი კომისია გამოეყო ეკონომიკის სამინისტროს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ერთეულად - საქართველოს ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიად (სემეკი).

როგორც ვხედავთ, რეფორმები ეხებოდა ენერგეტიკის სექტორის მართვის ინსტიტუციონალურ სტრუქტურას, სექტორის რეორგანიზებას, პრივატიზაციას და ტარიფებს. ამავე დროს, ყველა რეფორმა როდი იქნა გატარებული ზედმინევიანთ და ზუსტ ვადებში, (რადგან, როგორც ადრე აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობა განიცდიდა სერიოზულ პრობლემებს საკუთარი გადანყვეტილებების აღსრულებაში), მაგრამ სამოქმედო გეგმა შემუშავებულ იქნა. რეფორმებმა წამოჭრა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და მარეგულირებელი კომისიის შექმნის აუცილებლობა. მოგვიანებით - დღის წესრიგში დადგა აგრეთვე ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარზე ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხები.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, დაევალა ელექტროენერჯის სექტორში (1999 წლის მაისიდან - გაზის სექტორშიც) სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია. აგრეთვე, სექტორის განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების, პრიორიტეტების და პროგრამების. განსაზღვრა მას მონაწილეობა უნდა მიეღო სექტორის საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის შექმნაში, ხელი შეეწყო ელექტროენერჯის ტრანზიტისათვის და ექსპორტ-იმპორტისთვის, შემუშავებინა ენერგოუსაფრობის სტრატეგია და სტრატეგია არაორდინარული სიტუაციებისათვის და ა.შ. მესაკუთრის, მარეგულირებლის და ოპერატორის ფუნქციები გაიმიჯნა სამინისტროს ფუნქციებიდან.

1997წლიდან სემეკი გახდა საჯარო სამართლის დამოუკიდებელი იურიდიული პირი სახელწოდებით: საქართველოს ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელიც არ ექვემდებარება რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანოს. კომისიის ფუნქციებს წარმოადგენდა: ლიცენზიების გაცემა, მოდიფიკაცია, გაუქმება და რეგულირება; ელექტროენერჯის გენერაციის, გადაცემის, დისპეჩერიზაციის, დისტრიბუციისა და მოხმარების საბითუმო და საცალო ტარიფების დადგენა და რეგულირება; დაგების მოგვარება ლიცენზიატებს შორის, აგრეთვე ლიცენზიატებსა და მოხმარებლებს შორის. კომისიას მიენიჭა ნორმატიული აქტების - დადგენილებების, აგრეთვე გადანყვეტილებების გამოცემის უფლება. კომისიის წევრები დაინიშნენ პრეზიდენტის მიერ ფიქსირებული ვადით, ექვემდებარებიან ინტერესთა კომფლიქტის რეგულაციებს და ეკრძალებათ პოლიტიკური საქმიანობა. 1999

**ენერგეტიკა**

წლის მაისიდან კომისიის ფუნქციებს დაემატა ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზიების გაცემა, აგრეთვე ბუნებრივი გაზის სექტორის რეგულირება. მისი სახელი შეიცვალა და 2007 წლამდე იწოდებოდა როგორც საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, ხოლო 2007 წლიდან - საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის ბრძანებულებით, ვერტიკალურად ინტეგრირებული ენერგო კომპანია „საქენერგო“ რეორგანიზებული იქნა 3 ქვესექტორად - გენერაცია, გადაცემა-დისპეჩერიზაცია და დისტრიბუცია. გენერაციის სადგურების ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებები. გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ერთეულების ბაზაზე შეიქმნა ფინანსურად დამოუკიდებელი კომპანია საქენერგო, რომელიც 1998 წელს გარდაიქმნა გადაცემისა და დისპეჩერიზაციის კომპანიებად. 2002 წელს ეს ორი კომპანია შეერწყა ერთმანეთს და ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა. ელექტროენერჯის სადისტრიბუციო აქტივების საფუძველზე ჩამოყალიბდა დაახლოებით 70 რაიონული სააქციო საზოგადოებს, რომლებიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს გადაეცათ მმართველობაში.

„საქენერგოს“ დაყოფა კონკურენტულ და არაკონკურენტულ სფეროებად პოზიტიური ნაბიჯი იყო და ხელს უწყობდა რეფორმების წარმატებას, მაგრამ რაიონული სადისტრიბუციო კომპანიების მუნიციპალიტეტებზე გადაცემამ სრულად მოშალა სექტორის ფინანსური მდგომარეობა. რეფორმატორებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ქვეყანა სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისში იყო. მუნიციპალიტეტები ფინანსური სახსრების უზარმაზარ დეფიციტს განიცდიდნენ. შესაბამისად, ადგილობრივი მთავრობების, კორუმპი-

რებული თანამდებობის პირების, სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლების და კრიმინალების მიერ ეს კომპანიები განიხილებოდა, როგორც შემოსავლების უფასო წყარო. ამის შედეგად, ფული აღნიშნული სექტორიდან მიიმართებოდა სოციალური და სხვა საჭიროებებისთვის. სადისტრიბუციო კომპანიები არ უხდინდნენ მომსახურების საფასურს გადაცემისა და დისპეჩერიზაციის კომპანიებს, ხოლო, ელექტროსადგურებს - მიწოდებული ენერჯის საფასურს. ამან გამოიწვია გადაცემისა და გენერაციის ინფრასტრუქტურის შემდგომი ნგრევა - სექტორს არ გააჩნდა ფული არა მარტო რეაბილიტაციისთვის, არამედ ყოველდღიური ოპერირებისთვისაც. ენერგო კომპანიების თანამშრომლები თვეების განმავლობაში არ იღებდნენ ხელფასს და მათი ნაწილი ჩართული იყო კორუფციაში. მდგომარეობა გაუმჯობესდა პრივატიზაციის შემდგომ.

საქართველოს ენერგოსექტორის ფისკალურმა დანაკარგებმა 2001-2004 წწ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით 717,4 მლნ.დოლარს მიაღწია (იხ. ცხრილი).

**პრივატიზაცია.** ენერგეტიკული სექტორის პრივატიზებაში საქართველოს დაეხმარნენ დონორი ორგანიზაციები. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოხდა მერილ ლინჩის დაქირავება მრჩეველად ელექტროენერგეტიკული სექტორის პრივატიზაციის საკითხებში. მთავრობამ შექმნა სახელმწიფო მნიშვნელობის სანარმოების პრივატიზაციის სახელმწიფო კომისია. 1998 წლის ზაფხულში გამოცხადდა ტენდერი თბილისის სადისტრიბუციო კომპანია „თელასის“ წილების 75%-ის პრივატიზაციაზე. მიღებული იყო 2 წინადადება - „ეი-ი-ეს“ კორპორაციისგან და ი-დი-ეფ-გან. ეი-ი-ეს კორპორაცია გამოცხადდა გამარჯვებულად. პრივატიზაციის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1998 წლის 21 დეკემბერს და ეი-ი-ეს სილქ როუდ ჰოლდინგს

	2001	2002	2003	2004
<b>Power sector</b>				
Quantity delivered (million kWh) 1/	6085.5	6433.7	6669.8	7076.9
Cost (US cents)	4.1	4.1	4.5	5.0
Tariff (US cents)	4.1	4.1	4.2	4.8
Collection rate (percent) 2/	19.7	35.0	52.4	48.0
Generation cost (US\$ million)	247.7	263.5	298.6	357.0
Billed amount (US\$ million)	247.7	263.5	277.9	339.0
Collected amount (US\$ million)	48.8	92.2	145.6	162.7
Total losses (US\$ million)	198.9	171.3	152.9	194.3
Of which: price effect (US\$ million)	0.0	0.0	20.6	18.0
Of which: non-payment effect (US\$ million)	198.9	171.3	132.3	176.3
Total losses (percent of GDP)	6.2	5.0	3.8	3.7

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

B.V.-მ (ეი-ი-ეს კორპორაციის შვილობილი კომპანია) დაიწყო ოპერირება 1999 წლის 4 იანვრიდან. 2000 წელს „ეი-ი-ეს“-მა მოახდინა **თბილსრესის თბოელექტროსადგურის 2** ენერგობლოკის პრივატიზაცია, ხოლო 2 ჰიდროელექტროსადგური - **ხრამჭესი 1** (112.8 მეგავატიანი) და **ხრამჭესი 2** (110 მეგავატიანი) - გადაცემული იქნა მასზე 25 წლიანი მართვის ხელშეკრულებით. კახეთის სადისტრიბუციო კომპანია პრივატიზებული იქნა ქართველი ინვესტორის მიერ. ელექტროენერჯის დანარჩენი სექტორის პრივატიზაცია ვერ მოხერხდა

თელასის პრივატიზებამ უზარმაზარი გავლენა იქონია ელექტროენერგეტიკულ სექტორზე. პრივატიზაციამ ნათელი მოჰფინა საქართველოს ენერგეტიკის სექტორის ბევრ პრობლემას. მან აჩვენა, რომ მხოლოდ სადისტრიბუციო და გენერაციის კომპანიების პრივატიზაცია არ იყო საკმარისი მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისთვის, რადგან საბითუმო ბაზრის და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა, ნეგატიურად აისახებოდა სექტორზე. მთავრობამ გადაწყვიტა მოეწვია შესაბამისი გამოცდილების მქონე უცხოური კომპანიები, რომლებიც მართვაში აიღებდნენ ზემოაღნიშნულ საწარმოებს, **დანერგავდნენ მართვის თანამედროვე მეთოდებს და წინ აღუდგებოდნენ ეკონომიკურ ინტერესების მქონე ჯგუფების გავლენას**. აგრეთვე შესრულდა, საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის რჩევები სადისტრიბუციო კომპანიების შერწყმის შესახებ 1 ან 2 სამეურნეო ობიექტად, რომელსაც 500 000 მომხმარებელი მაინც ეყოლებოდა (რათა ისინი მიმზიდველი გამხდარიყვნენ მომავალი ინვესტორისთვის), კერძოდ, ა მოხდა 66 სადისტრიბუციო კომპანიის შერწყმა ელექტროენერჯის გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში. 2001 წელს საქართველოს საბითუმო ვაჭრობის ელექტროენერჯის ბაზრის (GWEM) მმართველობა გადაეცა ესპანურ კომპანია „იბერდროლა“-ს 5-წლიანი ვადით. მმართველობის ხელშეკრულების სპონსორი იყო EBRD. 2003 წელს მპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის

მმართველობა გადაეცა ირლანდიულ კომპანია ESB International-ს. ხელშეკრულების სპონსორები იყვნენ მსოფლიო ბანკი და KfW (გერმანიის სახელმწიფო ბანკი). აგრეთვე 2003 წელს, ელექტროენერჯის გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მმართველობა გადავიდა PA კონსალტინგზე, USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის - საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ინიციატივის ფარგლებში.

**საქართველოს ელექტროენერგეტიკაში მიმდინარე რეფორმების II ეტაპი (2005-2012 წწ).**

2004 წლის შემდგომი პერიოდის რეფორმების მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი იყო: **ძლიერი მთავრობა, ფინანსირება და წესრიგის დაცვა. თუ წინა წლებში ბევრი კარგი გადაწყვეტილება და ბრძანებულება ვერ შესრულდა ბიუროკრატიული წინააღმდეგობისა და ფინანსების სიმწირის გამო, 2004 წლის შემდეგ, ეს აღარ წარმოადგენდა პრობლემას.**

რეფორმები ენერგეტიკის სფეროში განახლდა 2005 წლიდან. მთავრობამ დაიწყო სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ელექტროსადგურების, სადისტრიბუციო და გადამცემი ქსელების რეაბილიტაციის დაფინანსება. 2005 წლის დეკემბერში, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით **გაუქმდა ელექტროენერჯის იმპორტისა და ექსპორტის ლიცენზიები. პასუხისმგებლობა ბაზრის წესების გაუმჯობესებაზე მარეგულირებლიდან ენერგეტიკის სამინისტროზე გადავიდა.** ელექტროენერჯის ბალანსისა და გაზის ბალანსის დამტკიცებაც ენერგეტიკის სამინისტროს ფუნქციებში შევიდა. ამ პერიოდის ამოცანად განისაზღვრა **დერეგულაცია**.

კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა მომდევნო წლებში შეცვალა ელექტროენერჯის ბაზრის ორგანიზაციული სტრუქტურა, გააუქმა საქართველოს საბითუმო ელექტროენერჯის ბაზარი და განსაზღვრა ელექტრონული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო) შექმნა, ა.შ. თავიდან







განსაზღვრა გადაცემის, დისტრიბუციის, პირდაპირი მომხმარებლის, კვალიფიციური სანარმოს და ა.შ. ტერმინები, დაადგინა მინიმალური მოთხოვნები გადაცემისა და დისტრიბუციის ქსელებზე მესამე მხარის დაშვებისთვის და ა.შ. მოხდა 13 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის ელექტროსადგურების დერეგულაცია. განხორციელდა დარჩენილი სადისტრიბუციო კომპანიებისა და უმეტესი ელექტროსადგურების პრივატიზაცია. გამოიცა ელექტროენერჯის ბაზრის ახალი წესები. ახალი ჰიდროელექტროსადგურების შექმნის ხელშეწყობის მიზნით მიღებულ იქნა პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“.

სექტორში განხორციელდა რამოდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინვესტიცია გენერაციის, დისტრიბუციისა და გადამცემი აქტივების რეაბილიტაციისათვის. მოკლე პერიოდში გამყარდა დისციპლინა ჯგუფური მრიცხველების გამოყენებით. **2006 წელს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს ენერჯეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, ენერჯეტიკული პოლიტიკის მთავარ მიზნად განისაზღვრა ელექტროენერჯიაზე ქვეყნის მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება საკუთარი ჰიდრო რესურსების გამოყენებით, იმპორტის და შემდგომ თბური გენერაციის თანდათანობითი ჩანაცვლების გზით.**

მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს სექტორის კომერციალიზაცია და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესება. ეს უნდა განხორციელდეს: ინვესტიციების მოზიდვით, კონკურენციის ხელშეწყობით, პრივატიზაციის განხორციელებით, ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებით, ელექტროენერჯის ბაზრის თანდათანობითი ლიბერალიზაციით, დერეგულირებით და ახალი საბაზრო მოდელის შემოღებით. დოკუმენტი ადგენს მოთხოვნებს ელექტროენერჯის სადისტრიბუციო კომპანიების მიმართ, იგი აგრეთვე ადგენს, რომ გენერაციის მცირე და ახალაშენებული სადგურები იყოს დერეგულირებული, შემოღებული იქნას სხვადასხვა ტიპის ტარიფები და ა.შ.

პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს ბაზრის თანდათანობით გახსნას და საბოლოოდ გახსნის ვადად განსაზღვრავს 2023 წელს. დოკუმენტის შემდგომ

მი შესწორებების საფუძველზე, ეს თარიღი შეიცვალა 2017 წლით.

ბაზრის რეფორმების მსვლელობისას, საქართველოს საბითუმო ვაჭრობის ელექტროენერჯის ბაზარი (სებ) გაუქმდა და შეიქმნა ელექტროენერჯის ბაზრის კომერციული ოპერატორი (თუმცა, სებ-მა ესკოს შექმნის შემდეგ რამდენიმე ხანი იურიდიულად გააგრძელა არსებობა, რათა მომსახურებოდა ვალეებს). ესკომ ფუნქციონირება დაიწყო 2006 წლის 1 სექტემბერს. მოგვიანებით ესკოს ეწოდა ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი და მისი ფუნქციებიც შესაბამისად დაკორექტირდა.

რაც შეეხება სახელმწიფო ელექტროსისტემას (სსე), დონორების მხარდაჭერამ სსე-ს საშუალება მისცა განეხორციელებინა კაპიტალდაბანდებები, რამაც 2005-2011 წლებში ჯამში შეადგინა 286.4 მილიონი ლარი, მათ შორის 123.3 მილიონი საკუთარი ფონდებიდან. ამან შედეგად მოიტანა გადაცემის სისტემის საიმედოობის გაზრდა. ეს აისახა გაუმჯობესებულ სანდობაზე და გადაცემის სისტემის უკეთ განხორციელებაში.

გადამცემი ქსელის რეაბილიტაციის შედეგად, ტექნიკური დანაკარგები სისტემაში და ელექტროგადამცემი ხაზების გათიშვის შემთხვევები მნიშვნელოვნად შემცირდა.

**დასკვნები**

რეფორმების შედეგად, 1994-2012 წლებში ელექტროენერჯის მიწოდება ჯერ თბილისისთვის, შემდეგ კი რეგიონებისთვის გაუმჯობესდა და ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილზე აღდგა 24-საათიანი მიწოდება. ჩატარდა ენერჯეტიკული აქტივების დიდი ნაწილის რეაბილიტაცია, მოხდა სექტორის კომერციალიზაცია და ელექტროენერჯეტიკული სისტემის საიმედოობის გაზრდა


სექტორში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად დაინერგა მართვის თანამედროვე მეთოდები, მონესრიგდა გადამცემი და გამანაწილებელი ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, გაიზარდა ელექტროენერჯის წარმოება, რამაც შედეგად

მოიტანა ქვეყნის ენერგომომარაგების გაუმჯობესება. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, საქართველოს ენერგოსექტორის წინაშე კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევებია, რომლებიც უკავშირდება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდას, ენერგეტიკულ გაერთიანებაში გასანერვიანებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, ჰიდრო და სატრანზიტო პოტენციალის სრულად გამოყენებას და ა.შ. ამიტომ


საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილია და მიმდინარეობს ენერგეტიკული სექტორის რეფორმების მესამე ეტაპი, რომელიც იმედი მაქვს წარმატებით იქნება განხორციელებული.

**ირმა ქავთარაძე,**  
საქართველოს საპატრიარქის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი


კაპიტალური დანახარჯები სულ (მლნ ლარი)




კაპიტალური დანახარჯები (მლნ ლარი)



გათიშვები 2003-2014



გადაცემის სისტემის ტექნიკური კარგვები % 2002-2014



წყარო: სსე წლიური ანგარიში 2014

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, თბილისი 1999წ.
2. ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში ეკოლოგიის გათვალისწინებით. ი. ფრანგიშვილის რედაქციით. თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ.50-73.
3. გ. თავაძე, ი. ქავთარაძე, დ. ჩომახიძე, დ. მენაბდე, „ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა“. თბ. 2006.
4. რ. არველაძე საქართველოში ბაზისური ელექტროსადგურის მშენებლობის აუცილებლობის შესახებ. ჟურნალი ენერჯია, №3, 1998, გვ. 27-33.
5. გ. სვანიძე. საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, ჟურნალი ენერჯია №2. 1999.
6. რ. არველაძე, ნ. კერესელიძე. XX საუკუნის ენერგეტიკა მისი შემდგომი პრობლემები და პერსპექტივები. ჟურნალი ენერჯია, №4, 2000, გვ.3-13.
7. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო. საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. თბილისი, 2006.
8. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წლიური ანგარიშები. 1999-2012წწ.
9. საქართველოს ელექტროენერჯიის საბითუმო ბაზრის წლიური ანგარიშები. 2002-2008წწ.
10. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს მრეწველობა ციფრებში 1913-200126წ.
11. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა. წლიური ანგარიში 2011.

**SUMMARY**

The paper deals with the recovery and development processes of electrical energy as a leading sector of the energy in Georgia in the period after independence. The article set out the electricity sector reform in two phases 1996-2004 and 2005-20012 years.

The goal of research is periodization and evaluation analysis of carried reforms in the electricity sector.


# საქართველოს ენერგეტიკული სექტორის კარგონიზაცია ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებთან

საქართველოში ენერგო მარეგულირებელი ორგანო 1996 წელს დაარსდა, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში. 1997 წლიდან ენერგო მარეგულირებელი გახდა დამოუკიდებელი ორგანო, ხოლო 1998 წლიდან კი მას ბუნებრივი აირის სექტორის რეგულირების ფუნქცია დაემატა.

დღეს კი უკვე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ორგანო ენერგეტიკის, ბუნებრივი აირის და წყალმომარაგების რეგულირების ფუნქციასაც ასრულებს. მისი ფუნქციონირება და როლი განისაზღვრება საქართველოს კანონით ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ და საქართველოს კანონი დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ.

საქართველოს კანონში ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ ენერგეტიკის სფერო მოიცავს შემდეგს: ლიცენზიების გაცემის წესები და ელექტროენერჯის ლიცენზიების გენერაცია, გადაცემა, დისპეჩერიზაცია და განაწილება, კონტროლი ლიცენზირების შესრულების პირობების და ჯარიმების დაკისრება მათი დარღვევისთვის. ასევე, ელექტროენერჯის წარმოების ტარიფების განსაზღვრა და მათი გენერაცია, გადაცემა, დისპეჩერიზაცია, განაწილება, იმპორტისა და მომსახურების ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერირება, ასევე, ტარიფების გარანტირებული სიმძლავრის და ტარიფების გენერაცია გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის; დავების გადაჭრა ლიცენზიანტებს, მცირე თაობის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მომწოდებლებს, მომხმარებელთა და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორებს შორის.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია მხარს უჭერს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოებას. ევროკავშირმა, მისი მეორე პაკეტის დირექტივები გააცნო წევრ სახელმწიფოებს მოთხოვნის შესაბამისად, რათა შეექმნილიყო კონკრეტული რეგულაციები კომპეტენციების ფარგლებში (დირექტივა 2003/54 / EC). თუმცა, გამოცდილებამ აჩვენა, რომ „ჯერ არ არსებობს თანაბრად ეფექტური დონის მარეგულირებელი ზედამხედველობა თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის (ელექტროენერჯის დირექტივა)“. დამატებით, ელექტროენერჯის დირექტივა გულისხმობს, რომ „რეგულირების ეფექტურობა ხშირად ხელს უშლის სახელმწიფოს მხრიდან რეგულატორების დამოუკიდებლობას, ზღუდავს მათ უფლებამოსილებასა და შეხედულებებს. 2009 წლის 13 ივლისის ევროკომისიის 2009/72/EC დირექტივა გულისხმობს, ელექტროენერგეტიკის შიდა ბაზარზე საერთო წესების დანერგვას და აუქმებს 2003/54/EC დირექტივას, რომელიც



შეიცავს სპეციალურად ცალკე IX თავს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ., რომელიც მოიცავს სხვადასხვა მუხლებს.

ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, ნორმატიული აქტები და მისი ქმედებები შეიცავს ქცევის ზოგად წესებს და იყოფა 2 ჯგუფად - ნორმატიულ და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები შეიძლება გაიცეს ხელისუფლების - სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლების და გამონაკლის შემთხვევებში - დეპარტამენტების, სააგენტოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ კანონის შესაბამისად. რაც შეეხება სამართლებრივ აქტებს, ასეთი ქმედებები იყოფა ნორმატიული აქტების და ინდივიდუალურ აქტების მიხედვით, როგორც ბრძანებები. ამჟამად მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია დაიცვას არა მხოლოდ საკანონმდებლო აქტები, არამედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიც, ეს ნიშნავს, რომ მოთხოვნების 35-ე მუხლს, პირველი პუნქტის 4.ბ.ii ნორმა სრულად არ შეესაბამება.

**ტარიფების დადგენის უფლებამოსილება:** ელექტროენერჯის დირექტივის 37-ე მუხლის (ა) მიხედვით, მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია „დამტკიცების შესაბამისად, გამჭვირვალე კრიტერიუმები დაიცვას, გადაცემის ან განაწილების ტარიფის ან მათი

მეთოდოლოგიის „ მიმართ.

**მონიტორინგი.** მარეგულირებელის მიერ მონიტორინგის განხორციელება ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა.

მონიტორინგის გამჭვირვალობის დონე გულისხმობს საბითუმო ფასებს და ელექტროენერჯის სფეროში ჩართული პირების საქმიანობის გამჭვირვალობის შესაბამისობას მათ ვალდებულებებთან.

როდესაც საქართველოს კანონმდებლობას ვადარებთ ევროკავშირის კანონმდებლობას, უნდა გავითვალისწინოთ რომ არსებობს ასპექტები, რომლებსაც ვერ შევადარებთ ჩვენს კანონმდებლობას საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სექტორის განვითარების სხვადასხვა დონეებიდან გამომდინარე.

**ამ ასპექტებს შორის არის ბაზრის ღიაობა და კონკურენტუნარიანობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობის დონეზე. საქართველოს ელექტროენერჯეტიკაში მარეგულირებელს არ გააჩნია უფლებამოსილება მოახდინოს მონიტორინგი ბაზრის ღიაობასა და კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე მოიცავს ელექტროენერჯის გაცვლას, ჩართვის საფასურსა და სხვა. მარეგულირებელს არ შეუძლია ასევე მოახდინოს იმ ნორმების იმპლემენტაციის მონიტორინგი, რომელიც დაკავშირებულია გადაცემის და განაწილების სისტემის ოპერატორების, მიმწოდებლებისა და მომხმარებლის და სხვა ჩართული მხარეების როლთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.**

რეგულაციის 714 (point (q)) შესაბამისად, ვინაიდან მსგავსი ნორმები არ არსებობს საქართველოში და ელექტროენერჯის კანონი არ ანიჭებს მარეგულირებელს უფლებამოსილებას გამოსცეს ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია გადაცემის ქსელის ხელმისაწვდომობასთან.

მანამ, სანამ ელექტროენერჯის შესახებ დირექტივა შევა მონიტორინგის უფრო მაღალ ფაზაში, ვიდრე დისტრიბუცია, ეს საკითხი რეგულირდება 26 მუხლის მე-3 პუნქტით ელექტროენერჯის კანონის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს „იქ სადაც განაწილების სისტემის ოპერატორი ვალდებულია წვერი სახელმწიფოები უზრუნველყოს, რომ განაწილების სისტემის მონიტორინგი მარეგულირებელი ორგანოების მიერ ან სხვა კომპეტენტურ ორგანოების მიერ მოხდეს, ისე, რომ მას არ შეეზღუდოს სარგებელი, რადგან მისი ვერტიკალური ინტეგრაცია ზღუდავს კონკურენციას“. მე-4 მუხლის მე-5 პარაგრაფის მიხედვით (ელექტროენერჯის კანონი ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ), მარეგულირებელი აკონტროლებს ლიცენზიანტების სალიცენზიო პირობებს.

**ჯვარედინი სუბსიდირება.** 37-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის (ვ) მიხედვით, მარეგულირებელი ვალდებულია უზრუნველყოს, გადაცემის, განაწილების და მიწოდების საქმიანობაში ჯვარედინი სუბსიდირების არარსებობა. ელექტროენერჯის კანონი (მუხლი 43) კრძალავს სუბსიდირებას ლიცენზიატის ხარჯზე, იმპორტიორის, მიმწოდებლის, სისტემის კომერციული ოპერატორის ან მომხმარებელთა სხვა კატეგორიის ხარჯზე. საკითხი ჯვარედინი სუბსიდირების გადაცემის შესახებ, ასევე განაწილების და მიწოდების საქმიან-

ობის შესახებ არ არის, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული.

**შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებების გაცემა და ჯარიმების დაკისრება.**

დირექტივა 2009/72 / EC-ის 37-ე მუხლის მე-4 ნაწილი ანიჭებს მარეგულირებელს უფლებას - გამოსცეს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებები ელექტროენერჯის საკითხებთან დაკავშირებით. ელექტროენერჯის კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სემეკი უფლებამოსილია გასცეს ორი სახის აქტები - დადგენილებები და გადაწყვეტილებები.

**ინფორმაციის მოთხოვნა.** 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, (ვ) დამსაქმებლები ვალდებული არიან მარეგულირებელს მოსთხოვონ ნებისმიერ ინფორმაცია ელექტროენერჯის ამოცანების შესრულების შესახებ. ელექტროენერჯის კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, მარეგულირებელი კომისიას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლება აქვს შეუზღუდავი წვდომა ქონდეს დოკუმენტებზე, იმპორტიორებზე, ექსპორტიორებზე, მიმწოდებლებზე. მარეგულირებელი უფლებამოსილია განიხილოს დოკუმენტები და მონაცემები მისი კომპეტენციის ფარგლებში.

**უფლებამოსილება გამოძიების ჩასატარებლად.**

37-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, (ბ) მარეგულირებელი უფლებამოსილია განახორციელოს გამოძიება ელექტროენერჯის ბაზრების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და გადაწყვიტოს დაკისრებული, ნებისმიერი, აუცილებელი და ადეკვატური ზომების გამოყენება. მან ხელი უნდა შეუწყოს ეფექტიან კონკურენციას და უზრუნველყოს მისი დაცვა ბაზარზე.

ამჟამად საქართველოს მარეგულირებელს არ აქვს უფლება ზედამხედველობა გაუწიოს ელექტროენერჯის ბაზარს. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ჰქონდა ხელისუფლებას მონიტორინგს უფლება ელექტროენერჯის ბაზრებზე, ეს დებულებები ამოღებული იქნა კანონიდან 2005 წლის დეკემბერში, რომელიც გულისხმობდა, რომ რეგულატორს არ აქვს უფლება გამოიძიოს აღნიშნული სფეროები. ევროკავშირის შესაბამისი მოთხოვნებით გამოძიების უფლების აღდგენა მოხდება.

**აპელაცია მარეგულირებლის გადაწყვეტილებაზე.** ელექტროენერჯის დირექტივის 37-ს სტატიის, მე-16 და მე-17 პარაგრაფების მიხედვით, **„გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია მარეგულირებელი ორგანოს მიერ უნდა იყოს სრულიად საფუძვლიანი და სამართლიანი, ამასთან, უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოზე განხილვას. გადაწყვეტილება შესაძლოა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს მხოლოდ კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის შემთხვევაში (პარაგრაფი 16). ნევრ-ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეროვნულ დონეზე არსებობდეს მისაღები მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მხარეს, რომელსაც მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ეხება, უფლება ექნება მიმართოს მოდერნიზებული მხარეებისა და ნებისმიერი მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორგანოს“** (მე-17 პარაგრაფი)

საქართველოს ელექტროენერჯის კანონის მე-5 სტატიის მიხედვით, მარეგულირებელი გამოსცემს



რეზოლუციებს (ნორმატიულ აქტებს) და გადაწყვეტილებებს. ამ აქტების მიღება რეგულირდება კანონით ნორმატიული აქტების შესახებ და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. ელექტროენერჯის კანონის მე-12 სტატიის მიხედვით, კომისიის მიერ მიღებულმა რეზოლუციებმა და გადაწყვეტილებებმა უნდა გაიარონ საჯარო მოსმენა და უნდა იქნან გამოქვეყნებული. მარეგულირებელი ვალდებულია შეატყობინოს დაინტერესებულ მხარეებს ნებისმიერი რეზოლუციისა და გადაწყვეტილების შესახებ მის მიღებამდე და უნდა უზრუნველყონ ისინი შესაძლებლობით დაესწრონ მოსმენებს. მარეგულირებლის გადაწყვეტილებები შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში.

**ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა.** ელექტროენერჯის დირექტივის მე-3 სტატიის მე-11 პარაგრაფით, ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის მიზნით, წევრი ქვეყნებს ან, მათ ვინც ამგვარად მოიაზრება, მარეგულირებელი ორგანო დაჟინებით ურჩევს ელექტროენერჯის საწარმოებში მოახდინონ ელექტროენერჯის მოხმარების ოპტიმიზაცია. მაგალითად: ენერგო მენეჯმენტის სერვისის შემოღებით, შეიმუშაონ ფასების კალკულაციის ინოვაციური ფორმულები ან შემოიღონ გონივრული დოზირების სისტემები ან გონივრული ენერგოსისტემები, სადაც ეს შესაძლებელია.

ამჟამად სემეკ-ს არ გააჩნია უფლებამოსილება ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის მიმართულებით. ამგვარი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. ტერმინი „ენერგოეფექტურობა“ არაა განმარტებული ელექტროენერჯის კანონში. არაა მიღებული კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ. ეს დეფიციტი გარდამავალ პერიოდში უნდა შეივსოს.

**ინვესტიციების დამტკიცების უფლებამოსილება (Power to Approve investments).** ელექტროენერჯის დირექტივის 22-ე სტატია ეხება მარეგულირებლის უფლებებს მიიღოს გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ. ამ სტატიის მიხედვით „1. ყოველწლიურად,


გადაცემის სისტემის ოპერატორები წარუდგენენ მარეგულირებელ ორგანოს ქსელის განვითარების 10-წლიან გეგმას, არსებული და საპროგნოზო მინოდებისა და მოთხოვნის საფუძველზე, მას შემდეგ რაც კონსულტაციებს გამართავენ ყველა არსებითად მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარესთან. ქსელის განვითარების ეს გეგმა უნდა შეიცავდეს ეფექტურ ზომებს რათა უზრუნველყოფილი იყოს სისტემის ადეკვატურობა და მინოდების უსაფრთხოება: ...

**ამჟამად საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს ლიცენზიატებისგან მოამზადონ 10 წლის ქსელის განვითარების გეგმა, თუმცა, 34-ე მუხლის ელექტროენერჯის კანონმდებლობის მიხედვით ლიცენზიატი ვალდებულია, რომ მოამზადოს მარეგულირებელისთვის საინვესტიციო გეგმა (კანონი არ განსაზღვრავს, თუ რა სახის საინვესტიციო გეგმა და რა პერიოდში). მარეგულირებელი არ არის ვალდებული შეამოწმოს საინვესტიციო გეგმა (ან ქსელის განვითარების გეგმა). გარდა ამისა, მარეგულირებელი არ აქვს ეს ვალდებულებები კანონის მე-7 მუხლის 22-ე ნაწილის ელექტროენერჯის დირექტივის მიხედვითაც. ზოგადად, ელექტროენერჯის ტარიფების მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც მიღებულია სემეკის მიერ 2012 წელს, ინვესტიციების ხარჯები იფარება ტარიფებით.**

**Бюджетные платежи** – совокупность денежных средств, подлежащих выдаче из бюджета в отчетный период: расходы; нефинансовые активы (средства, направленные на операции с нефинансовыми активами); финансовые активы (средства, направленные на операции с финансовыми активами, кроме накопления остатка); обязательства (средства, направленные на покрытие основной части обязательств).

### **МЕТОДОЛОГИЯ УЧЕТА, ОТЧЕТНОСТИ И ОТВЕТСТВЕННОСТЬ<sup>3</sup>**

Министр финансов Грузии с учетом международных стандартов издает надлежащие нормативные акты, которые обеспечивают соблюдение требований стандартных учетных процедур и отчетности бюджетными организациями центральных властей Грузии, властей автономных республик и местных властей. Центральные власти Грузии, власти автономных республик и местные власти ответственны за учет поступлений, платежей и изменения остатка и контроль за ними и их соответствие нормативным актам, изданным Министром финансов Грузии. Министерство финансов Грузии ответственно за учет поступлений, платежей в государственный бюджет и изменение остатка, а также операций, связанных с го-

сударственным долгом, и других операций, возложенных законодательством Грузии.

### **СОСТАВЛЕНИЯ ОТЧЕТА ОБ ИСПОЛНЕНИИ БЮДЖЕТА**

Расходующие учреждения, находящиеся на финансировании государственного бюджета и бюджета местной самоуправляющейся единицы (кроме г. Тбилиси), отчет об исполнении бюджета составляют с учетом требований настоящего Кодекса на основании правового акта, изданного Министром финансов Грузии. Расходующие учреждения, находящиеся на финансировании бюджета г. Тбилиси и республиканских бюджетов автономных республик, отчет об исполнении бюджета составляют в порядке, установленном правомочным органом соответствующей власти, с учетом требований статей 85, 86, 87, 108, 109 и 110 Кодекса.

### **ДОКУМЕНТ ОБ ОСНОВНЫХ ДАННЫХ И НАПРАВЛЕНИЯХ СТРАНЫ<sup>4</sup>**

Документ об основных данных и направлениях страны является основным планом развития страны, который отражает информацию о среднесрочных макроэкономических и фискальных прогнозах, а также информацию об основных направлениях развития центральных властей Грузии, властей автономных республик и местных властей. Составление документа об основных данных и направлениях страны обеспечивает Министерство финансов Грузии скоординировано с Национальным банком Грузии, государственными уполномоченными – губернаторами в административно-территориальных единицах, органами властей автономных республик, органами местных властей и расходующими учреждениями, определенными Правительством Грузии, для чего вышеуказанные должностные лица и органы обязаны представить Министерству финансов Грузии требуемую информацию. В целях подготовки документа об основных данных и направлениях страны Правительство Грузии до 1 марта каждого года постановлением определяет перечень информации, подлежащей представлению расходующими учреждениями, органами властей автономных республик, органами местных властей (кроме местных самоуправляющихся единиц, входящих в состав автономных республик) и сроки ее представления. В целях согласования основных данных и направлений с комитетами Парламента Грузии Правительство Грузии до 1 июня каждого года представляет Парламенту Грузии информацию об основных макроэкономических прогнозах и основных направлениях министерств Грузии. Заключение комитетов Парламента Грузии об указанной информации не позднее 20 июня направляются Правительству Грузии. Министерства Грузии до 30 июня каждого года утверждают свои среднесрочные планы действия, которые включают приоритеты и программы и мероприятия, осуществляемые для их достижения. Документ об основных данных

1 Бюджетный кодекс Грузии 18.12.2009г

2 Бюджетный кодекс Грузии 18.12.2009г

3 Бюджетный кодекс Грузии 18.12.2009г

4 Бюджетный кодекс Грузии 18.12.2009г

и направлениях страны должен содержать не менее чем следующую информацию:

а) на прошедший, текущий, планируемый бюджетный год и три последующих бюджетных года, следующие за планируемыми годом:

прогнозы основных макроэкономических индикаторов (номинальный и реальный полный внутренний продукт, экономический рост, инфляция, инвестиции и т.д.) и их описание; агрегированные показатели доходов и расходов объединенного и государственного бюджетов, операций и обязательств по финансовым и нефинансовым активам; анализ окончательных результатов выполнения государственного бюджета за прошедший бюджетный год и переработанные прогнозы на текущий бюджетный год; на планируемый бюджетный год и на три последующих бюджетных года, следующих за планиваемым годом: государственные приоритеты, определенные Правительством Грузии; программы расходующих учреждений государственного бюджета, определенные постановлением Правительства Грузии, и размеры, цели и результаты их финансирования; только для информационных целей среднесрочные приоритеты автономных финансирования программ и мероприятий, подлежащих осуществлению для их достижения; агрегированные показатели ориентировочных предельных объемов ассигнований, предусмотренных для каждого расходующего учреждения государственного бюджета; ориентировочную предельную численность занятых на планируемый бюджетный год по расходующим учреждениям. Правительство Грузии не позднее 10 июля одобряет первый вариант документа об основных данных и направлениях страны (кроме информации, предусмотренной подпунктом «в.в» части 5 настоящей статьи). Документ об основных данных и направлениях страны (кроме информации, предусмотренной подпунктом «в.в» части 5 настоящей статьи) представляется Парламенту Грузии в соответствии со статьями 38 и 39 настоящего Кодекса. Правительство Грузии обеспечивает дальнейшее соответствие документа об основных данных и направлениях страны проекту государственного бюджета.

### **ПОДГОТОВКА ПРОЕКТА ГОСУДАРСТВЕННОГО БЮДЖЕТА<sup>1</sup>**

Министерство финансов Грузии рассматривает бюджетные заявки и основные параметры проекта государственного бюджета представляет Правительству Грузии на рассмотрение не позднее 15 сентября. Министерство финансов Грузии представляет Правительству Грузии проект государственного бюджета и обновленный документ об основных данных и направлениях страны не позднее 25 сентября. При осуществлении мероприятий, предусмотренных частями первой и 2 настоящей статьи, в случае несогласования между Министерством финансов Грузии и расходующим учреждением Министерство финансов Грузии правомочно представить Правительству Грузии

<sup>1</sup> Алексин Б.И. “Государственный долг: Учебное пособие”. Юнити-Дана, 2012 г.

собственный вариант проекта государственного бюджета, в связи с которым окончательное решение принимает Правительство Грузии.

### **РАССМОТРЕНИЕ И УТВЕРЖДЕНИЕ ПРОЕКТА ГОСУДАРСТВЕННОГО БЮДЖЕТА**

Проект государственного бюджета вместе с прилагаемыми материалами и документ об основных данных и направлениях страны, представленные в Парламент Грузии, рассматривают комитеты Парламента Грузии, парламентские фракции, Большинство, Меньшинство, члены Парламента. При комитетских рассмотрениях проект государственного бюджета представляет министр соответствующего министерства или его заместитель вместе с Министром финансов Грузии или его заместителем<sup>2</sup>. Высказанные при комитетских рассмотрениях замечания и предложения, а также заключения Службы государственного аудита и Национального банка Грузии, Парламент Грузии не позднее 22 октября направляет Правительству Грузии. Замечания, высказанные по поводу документа об основных данных и направлениях страны на три последующие бюджетные года, следующие за планиваемым годом, носят рекомендационный характер. Правительство Грузии переработанные варианты проекта государственного бюджета и документа об основных данных и направлениях страны вместе с информацией об учете высказанных замечаний и предложений не позднее 5 ноября, повторно представляет Парламенту Грузии. Проект государственного бюджета рассматривается на пленарном заседании. Доклад о кратком обзоре проекта годового бюджетного закона и государственного бюджета на текущий год представляет Премьер-министр Грузии или какой-либо член Правительства Грузии по поручению, полученному соответствующим актом Премьер-министра. Парламент Грузии также заслушивает доклады Службы государственного аудита, Национального банка Грузии и Финансово-бюджетного комитета Парламента Грузии. Высказанные на пленарном заседании замечания и предложения направляются Правительству Грузии не позднее 15 ноября. Правительство Грузии окончательный вариант проекта государственного бюджета и соответствующий ему переработанный вариант документа об основных данных и направлениях страны вместе с информацией о состоянии предусмотренных замечаний и предложений, высказанных на пленарном заседании, представляет Парламенту Грузии не позднее 30 ноября. Парламент Грузии голосует за проект государственного бюджета не позднее третьей пятницы декабря. Проект закона о государственном бюджете принимается большинством списочного состава, в одном чтении<sup>3</sup>. Проект государственного бюджета, принятый Парламентом Грузии, должен содержать информацию, предусмотренную подпунктами «а» - «ж» части 3 статьи 38 настоящего Кодекса. В Парламенте Грузии

<sup>2</sup> Бюджетный кодекс Грузии 18.12.2009г

<sup>3</sup> Бюджетный кодекс Грузии 18.12.2009г



изменения в проект государственного бюджета могут быть внесены с согласия Правительства Грузии. В этом случае Правительство Грузии представляет Парламенту Грузии соответствующий исправленный проект закона. Изменения в проект государственного бюджета могут быть внесены также в случае его рассмотрения на пленарном заседании Парламента, если с высказанным замечанием согласится докладчик. Если Парламент Грузии до третьей пятницы декабря не сможет принять проект закона о государственном бюджете, за тот же вариант проекта государственного бюджета или за проект, переработанный согласовательной комиссией, состоящий из членов Правительства Грузии и Парламента Грузии, допускается повторно голосовать в 10-дневный срок, но не позднее 31 декабря. В случае не утверждения проекта государственного бюджета расходы покрываются в соответствии с государственным бюджетом предыдущего года. С начала планируемого бюджетного года не позднее одного месяца Министерство финансов Грузии на основании информации, полученной от местных самоуправлений и автономных республик, обеспечивает подготовку окончательного варианта документа об основных данных и направлениях страны и представление Финансово-бюджетному комитету Парламента Грузии в виде информации. Годовой бюджетный закон публикуется в порядке, установленном, законодательством Грузии.

## ОТВЕТСТВЕННОСТЬ ЗА ИСПОЛНЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННОГО БЮДЖЕТА<sup>1</sup>

Бюджетные организации ответственны за осуществление платежей в соответствии с ассигнованиями и сбор доходов в пределах своей компетенции. Министр финансов Грузии осуществляет надзор за организацией и управлением исполнения государственного бюджета. Парламент Грузии правомочен контролировать законность расходования средств государственного бюджета Правительством Грузии посредством Службы государственного аудита.

## УЧЕТ И ОТЧЕТНОСТЬ ГОСУДАРСТВЕННОГО БЮДЖЕТА

Государственное казначейство для финансирования платежей бюджетной организации осуществляет учет платежей в соответствии с бюджетной классификацией, который включает информацию о всех этапах осуществления платежей. Государственное казначейство также ведет учет поступлений, предусмотренных бюджетной классификацией, и учет по возврату излишне уплаченных сумм. Государственное казначейство в 20-дневный срок после истечения каждого месяца подготавливает отчетность с показаниями поступлений, платежей, изменения остатка и полного сальдо государственного бюджета и представляет Парламенту Грузии.

<sup>1</sup> Бюджетный кодекс Грузии 18.12.2009г

## ლიტერატურა

1. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ. საგადასახადო საქმე. თბ., 2007.
2. კობალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ. გადასახადები და დაბეგვრა. თბ. 2011.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2010.
4. Алехин Б.И. «Государственный долг: Учебное пособие». Юнити-Дана, 2012 г.
5. Бюджетный кодекс Грузии 18.12.2009г
6. www.mof.ge; 7 .www.doingbusiness.org; 8 .www.geostat.ge; 9 .www.nalogi.ru

## პრინციპები ფორმირების ბიუჯეტური სისტემის გუჯი

არტაკ ოგანესიანი დოქტორანტი ტგუ

### რეზიუმე

პრინციპები ფორმირების ბიუჯეტური სისტემის გუჯი განისაზღვრება ბიუჯეტური კოდექსის გუჯი, რომელიც რეგულირებს წესებს მომზადების, განხილვის, დამტკიცების, შესრულების ბიუჯეტის, ანგარიშის და კონტროლის პროექტების გუჯი, რესპუბლიკური ბიუჯეტების ავტონომური რესპუბლიკების და ბიუჯეტების მუნიციპალიტეტების ერთეულების, ასევე ბიუჯეტური ურთიერთობები და პასუხისმგებლობა ცენტრალური ხელისუფლების გუჯი, ავტონომური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების ხელისუფლების. ბიუჯეტური სისტემა გუჯი – სრულყოფილი ბიუჯეტური ურთიერთობების, რეგულირების იურიდიული აქტების მიზნების მობილიზაციის და გამოყენების ფინანსური საშუალებების შესრულების ფუნქციების ცენტრალური ხელისუფლების გუჯი, ავტონომური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების ხელისუფლების.

ბიუჯეტური უფლებამოსილებების მქონეების ბიუჯეტური სისტემის გუჯი განხორციელდება საფუძველზე კონსტიტუციის გუჯი, ორგანიკური კანონის გუჯი «თავისუფლების ეკონომიკური», კონსტიტუციური კანონის გუჯი «თავისუფლების ადჯარსკი ავტონომური რესპუბლიკის», ორგანიკური კანონის გუჯი «კოდექსი მუნიციპალიტეტის», ორგანიკური კანონის გუჯი «თავისუფლების კონსტიტუციის ადჯარსკი ავტონომური რესპუბლიკის», აქტუალური კოდექსის, კანონის ადჯარსკი ავტონომური რესპუბლიკის «ბიუჯეტური პროცესის და უფლებამოსილების ადჯარსკი ავტონომური რესპუბლიკის», კანონმდებლობის გუჯი ონალოგის და შეგროვების, სხვა კანონმდებლობის და სუბკანონმდებლობის ნორმატიული აქტების გუჯი, ასევე იურიდიული აქტების, მიღების (გამოსვლის) ცენტრალური ხელისუფლების გუჯი, ავტონომური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების ხელისუფლების.

# რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის გამოკვლევა და მის საფუძველზე ბანკოთარების სტრატეგიის არჩევა კახეთის რეგიონის მაგალითზე

სიტყვა «ლანდშაფტი» გერმანული წარმოშობის სიტყვაა (Landshaft) და მიწის (მხარის) იერ-სახეს, მის გამომსახველობას ნიშნავს. ეს ტერმინი სხვა კონტექსტში გამოყენების დროსაც, იგივე შინაარსისაა, იმ განსხვავებით, რომ იძლევა არა მიწის, არამედ დასახასიათებელი საგნის (მოვლენის) სურათს.

როცა სიტყვა «ლანდშაფტი» ბიზნესთან მიმართებაში გამოიყენება, იგი ბიზნესის გეოგრაფიულ, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ განფენილობას გულისხმობს [1, გვ. 280].

ბიზნესის გეოგრაფიული განფენილობა რეგიონის მთელ ტერიტორიაზე ბიზნეს-სუბიექტების განთავსება-განლაგებაში, ანუ ბიზნესით ტერიტორიის მოცვაში გამოიხატება. ეს მაჩვენებელი იანგარიშება 1000 კვ. კმ-ზეც და 1000 მცხოვრებზეც. იგი რეგიონის ტერიტორიის ბიზნეს-სუბიექტებით დაფარვის მაჩვენებლად ითვლება.

კახეთის რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიულ განფენილობას რეგიონის ბუნებრივი ლანდშაფტი და მისი საზღვრები უდევს საფუძვლად. კახეთის რეგიონი ჩრდილოეთ და აღმოსავლეთით რუსეთს ესაზღვრება, სამხრეთით – აზერბაიჯანს, ხოლო დასავლეთით ქვემო ქართლს და მცხეთა-მთიანეთის რეგიონს.

კახეთის რეგიონი ძირითადად მთაგორიანი მხარეა. აქ ვაკე ადგილებს (ალაზნის ველი) ცვლის ქედები (ცივი-გომბორის), ტყეები, ნაკრძალები (ლაგოდეხის), ზეგნები (ივრის ზეგანი), ხეობები (ალაზნის ხეობა), უდაბნოები და ნახევრადუდაბნოები (ელდარის ველი, შირაქი), მთები (ყვარლის და ლაგოდეხის მთები, მთათუშეთი) და სხვა. ბუნებრივია, რომ ვაკეზე და მთებში, ზეგნებსა და ხეობებში ვერც ერთი და იგივე სახის ბიზნესი განვითარდება და ვერც ერთნაირად განვითარდება. ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად მათ სხვადასხვანაირი პირობები აქვთ – ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები, ზოგს საერთოდ არაფერი.

ეს განსაკუთრებით ითქმის მთებში განლაგებულ დასახლებებზე. კახეთის რეგიონის 21% კი მთებია. მთების სოფლები მონყვეტილია ბარს. ისინი ნაკლებად ფლობენ ყველანაირ ინფორმაციას ბიზნესზე. ალბათ ამიტომ არის, რომ კახეთის ბარი უფრო მოცულია ბიზნეს-სუბიექტებით, ვიდრე მთა. თუმცადა, ის ფაქტი, რომ კახეთის 11310 კვ. კმ. ფართობზე, რომლის მოსახლეობა 406 000 კაცი, დარეგისტრირებულია 34026 საწარმო, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. მთავარი დარეგისტრირება კი არ არის, არამედ მთავარი არის ამუშავება. ამის შესახებ საქართველოს სტატისტიკის სამსახური ინფორმაციას აღარ აქვეყნებს. მოქმედ და გამოკვლეულ საწარმოთა შესახებ უკანასკნელად

2007 წლის ინფორმაცია გამოქვეყნდა. მაშინ კახეთის რეგიონში 1775 საწარმო მუშაობდა [2, გვ. 29], ანუ რეგისტრირებულ საწარმოთა მხოლოდ 16,4%. რადგან 2007 წლიდან 2015 წლამდე არც კახეთში და არც მთელ საქართველოში ბიზნესგარემო არ გაუმჯობესებულა, უნდა ვივარაუდოთ, რომ 2014 წელშიც, მოქმედ საწარმოთა რიცხვი, ისევე რეგისტრირებულ საწარმოთა 16,4% ანუ 5580 ერთეული იქნებოდა

$$\left( \frac{34026}{100} \cdot 16.4 = 5580 \right)$$

(ეს არის ყველაზე ოპტიმისტური ვარაუდი, რადგან, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის წლიურ ანგარიშში ამ მიმართულებით მომუშავე მხოლოდ 396 საწარმო არის დასახელებული). ასეთი სავარაუდო გაანგარიშებით უნდა ჩავთვალოთ, რომ 1000 კვ. კმ ფართობზე ანგარიშით რეგიონში მუშაობს 493 საწარმო, ხოლო 1000 მცხოვრებზე ანგარიშით 14 საწარმო. ბიზნეს-სუბიექტების ასეთი სიმჭიდროვე არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან, თუ აღარაფერს ვიტყვით მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებშიც კი, იგი 2-3-ჯერ მეტია – უნგრეთში 1000 მცხოვრებზე მოდის 30 საწარმო, პოლონეთში 47 [3, გვ. 93]. მეტიც, ამ საშუალო მაჩვენებლების უკან, ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, იმალება კახეთის მთიანი ნაწილის, კერძოდ, მთათუშეთის სრული იზოლაცია. ამ კუთხის ბიზნესური პოტენციალი ფაქტიურად შეუსწავლელია. ნაწილობრივ ეს ეხება რეგიონის ბარის ნაწილსაც.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ რეგიონში ბიზნეს-ლანდშაფტის სათანადო გეოგრაფიული განფენილობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა შეიქმნას რეგიონის, მისი ყველა დასახლებული პუნქტის, მთის და ბარის, ზეგანის და ველის და ა. შ., გეოინფორმაციული ბაზა. მხოლოდ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეუძლია რეგიონის ხელმძღვანელობას მისცეს ბიზნესის განვითარების სწორი მიმართულება რეგიონში და მისცეს რეკომენდაციები ყველა პოტენციალურ მენარმეს. სხვათაშორის, საქართველოს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაშიც ჩაიწერა [4, გვ. 47], რომ «რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ამ ბაზის შექმნა იგეგმება», მაგრამ ფაქტია, რომ ამ მიმართულებით კახეთის რეგიონში ჯერ არაფერი გაკეთებულა. არადა, ყველაფერი საჩქარო და მოსასწრებია, ჩვენ ხომ 25 წლით დავიგვიანეთ. ეს 25 წელი ხომ მოსახლეობა შიმშილობს! კახეთის რეგიონი, რომელიც საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთი

მაღალშემოსავლიანი მხარე იყო, დღეს სიღარიბის და სიღატაკის ზღვარზეა. ასეთი დაპირებები «იგეგმება», «ივარაუდება», «იგულისხმება» და ა. შ., საქართველოს მთავრობის მხრიდან სხვა დროსაც გაისმა, მაგალითად, «რეგიონის განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია»-ში (2009), მაგრამ გაკეთდა რეგიონში რამე?

საბჭოთა პერიოდში შექმნილი იყო და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში (მინათმონყობის კვლევითი ინსტიტუტი, მევენახეობა-მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტი, სოფლის მეურნეობის კვლევითი ინსტიტუტი და სხვები) ინახებოდა საქართველოს ყველა მხარის გეოინფორმაციული ფონდი. საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ ეს ინსტიტუტები დაშალა და იქ არსებული ეს ოქროს ფონდიც დაიკარგა. ასე რომ, საქართველოს რეგიონების გეოინფორმაციული ბაზა ნოლიდან არის შესაქმნელი. ეს არ არის ადვილი და ერთ თვეში გასაკეთებელი საქმე. საქართველოს ყოფილი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, რომელშიც 300-400 კაცი მუშაობდა, მას გულდასმით და სკრუპულოზურად წლობით ამუშავებდნენ. მათში არა მხოლოდ ცალკეული მხარის ზოგადი დემოგრაფიული, ეკონომიკური და გეოგრაფიული მონაცემები იყო დაფიქსირებული, არამედ, რეგიონის თითოეული სოფლის, დაბის და რაიონის რესურსიც – ნიადაგი (მასში ჰუმუსის ფენის სიმაღლეც კი), წყალი, ტემპერატურა, ნალექები, ქარის მიმართულება და სიჩქარე, მზის ნათება დღის პირველ და მეორე ნახევარში და ა. შ. როგორც აღვნიშნეთ, ეს კეთდებოდა წლების განმავლობაში. ამას აკეთებდნენ მეცნიერთა ჯგუფები, რომლებიც მივლინებებით ჩადიოდნენ ადგილზე და ქრონომეტრაჟული დაკვირვებებით, სინჯების აღებით და სხვა მეთოდებით ქმნიდნენ ფაქტიურად უტყუარ, თითოეული დასახლებული პუნქტის, ვაკის და მთის, ქედების და ზეგნების გეოინფორმაციულ ბაზას. ეს ყველაფერი ჩვენივე დაუდევრობით, ჩვენი უნიათობით დაუბრუნებლად დაიკარგა. ეს ინსტიტუტები აღარ არსებობს. ის ხალხიც, ვინც ამას ქმნიდა, დაბერდა და დაიხოცა. ეხლა ვინღაა ამის გამკეთებელი, ისეთივე რუდუნებით, გულმოდგინებით, თავდადებით და პატიოსნებით? ჩვენ ვთვლით, რომ არავინ. ამის მიუხედავად, ეს უნდა გაკეთდეს. თუ ეს არ გაკეთდა, რეგიონის ეკონომიკური განვითარების სწორ სტრატეგიის შემუშავებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან იგი ეფუძნება ბიზნესის განვითარების სტრატეგიას რეგიონში, ეს უკნასკნელი კი – რეგიონის გეოინფორმაციულ მასალებს.

საქართველოს რეგიონები, უღარიბეს, ღარიბ და საშუალო დონის რეგიონებად იყოფა. კახეთი ღარიბ რეგიონების რიცხვშია. კახეთში ერთი დასაქმებულის საშუალო თვიური ხელფასი 460,3 ლარია. მასზე ნაკლები აქვთ მხოლოდ გურიას (397 ლარი), რაჭა-ლეჩხუმს და ქვემო სვანეთს (381,6 ლარი). მთლიანად საქართველოში კი, იგი 800,5 ლარია [5, გვ. 119]. ერთ სულ მცხოვრებზე ანგარიშით კახეთში წარმოებული სამეწარმეო პროდუქტის მოცულობა მინიმალური

სიდიდისაა. 2014 წელს მან შეადგინა მხოლოდ 1766 ლარი (კიდევ უფრო მცირე იყო იგი წინა წლებში. 2010 წელს იგი მხოლოდ 586 ლარს შეადგენდა). ასეთ დროს, იგივე მაჩვენებელი სამეგრელოში 3351 ლარია, იმერეთში 2722 ლარი, ქვემო ქართლში 5236,6 ლარი, აჭარაში 5703 ლარი, მთლიანად საქართველოში კი საშუალოდ – 5793 ლარი [5, გვ. 37]. ერთ სულ მცხოვრებზე სამეწარმეო პროდუქტის გამოშვებით კახეთს ჩამორჩება მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმი, მცხეთა-მთიანეთი და გურია.

უღარიბეს და ღარიბი რეგიონების განვითარების დონეებს შორის გამოსათანაბრებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემა გამოთანაბრებითი ტრანსფერი. მას იღებს კახეთიც. ჩვენი აზრით, გამოთანაბრების საკითხის დადგომამდე, უნდა გაირკვეს რეგიონის რეალური პოტენციალი და მისი ამუშავების შესაძლებლობა. გურიას, რაჭას და მცხეთა-მთიანეთს, შეიძლება მართლაც არა აქვს მდიდარი თუ არა, საშუალო დონის რეგიონად ქცევის პოტენციალი, მაგრამ კახეთის რეგიონს ეს ოდითგანვე ჰქონდა. საბჭოთა დროს, საქართველოს მთავრობას პიარისთვის სჭირდებოდა მთელი ქვეყნის და მათ შორის კახური ყურძნის ხელოვნურად გაათმაგებული მოსავლიანობის დაფიქსირება. რეგიონს დღეს ეს არ სჭირდება, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ რა გვაქვს რეგიონში და რეალურად (მაქსიმალურად) რისი მიღწევა შეგვიძლია. ყველამ ვიცით საყოველთაო აღიარებული ფრაზა – «წარმოუდგენელია გზა გაიკვლიო თუ არ იცი, სად იმყოფები». აქედან გამომდინარე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი პირველი წინადადებაა დაუყოვნებლივ შეიკრას მეცნიერთა და პრაქტიკოსთა გუნდები, რომელთაც მაღალპროფესიონალიზმის გარდა ქვეყნის ბედიც ანაღვლებთ და მათ მიერ დაიწყოს საქართველოს რეგიონებში, მათ შორის კახეთის რეგიონში ბიზნეს-ლანდშაფტის პირობების ანუ ბუნებრივი ლანდშაფტის აღწერა. ეს საშუაო უნდა ჩატარებულიყო რეგიონებად საქართველოს დაყოფისთანავე, რათა რეგიონებს თავიდანვე სცოდნოდათ თავის სასტარტო პირობები ანუ, ის, თუ «სად იმყოფებოდნენ».

დღეს ჩვენ ზოგადად ვიცით, რომ კახეთის რეგიონი სასოფლო-სამეურნეო, კერძოდ, მევენახეობა-მეღვინეობის ზონაა (იხ. ცხრილი 1), მაგრამ თუ გვექნება მისი უტყუარი გეოინფორმაციული მონაცემები მისი ბუნებრივი ლანდშაფტის შესახებ, შეგვეძლება სასოფლო-სამეურნეო სექტორების ურთიერთთანაცვლება, გამორიცხვა ან პირიქით დამატება.

გეოინფორმაციული მონაცემების მოპოვება არ შეიძლება ვანდოთ რეგიონის სოფლების გამგებლობებში პარტიული ნიშნით მოკალათებულ საეჭვო პროფესიონალური რეპუტაციის ახალგაზრდებს, რადგან მათ მიერ წარმოებული აღრიცხვა თანამდებობის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. რეგიონის მომავლის სწორი დაგეგმვა-პროგნოზირება კი ითხოვს რეალურ, უტყუარ მასალას. ამის უზრუნველსაყოფად საჭიროა სპეციალისტთა ჯგუფებმა დამოუკიდებლად იმუშაონ, თითოეულ რაიონში და თითოეულ სოფელში ჩაატარ-

კახეთის რეგიონის ზონალური სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს-ლანდშაფტი [6, გვ. 163]

ზონები	ქვეზონები	რაიონები
შიდა კახეთის სამრეწველო მევენახეობის ზონა	1 <sup>ა</sup> სამრეწველო მევენახეობის ქვეზონა	ახმეტა, თელავი, ყვარელი, გურჯაანი
	1 <sup>ბ</sup> მევენახეობის და მეთამბაქოების ქვეზონა. საადრეო მებოსტნეობის ქვეზონა	ლაგოდეხი
გარე კახეთის მევენახეობის, მემარცვლეობის და მეცხოველეობის ზონა	მემარცვლეობის ქვეზონა	დედოფლისწყარო
	მევენახეობის ქვეყანა	სიღნაღი
	მეცხოველეობის ქვეზონა	საგარეჯო

ონ ქრონომეტრაჟები, აიღონ და შეამონმონ ნიადაგის სინჯები, მოუსმინონ სოფლის მცხოვრებლებს. ყველა სოფელში მოიძებნება ისეთი ბრძენი კაცი, რომელმაც თავისი სოფლის რესურსი გამგებლობის ჩინოვნიკებზე უკეთ იცის. ოპონენტებს, რომლებიც ამ საკითხზე აუცილებლად შემოგვედავებინან, ახლავე ვუპასუხებთ: არა თუ გამგებლობების ანგარიშგებაში ვერ ნახავთ, არამედ თვით გამგებელიც ვერ გიპასუხებთ, თუ, თავისივე სოფლის მთის რომელ ფერდობებს აცხუნებს მზე დილით და რომელს საღამოს. სოფლის გლეხკაცმა კი ეს შესანიშნავად იცის. ამას კი ის მნიშვნელობა აქვს, რომ დიდი დაქანების ფერდობებზე მაღალი მოსავლიანობით მხოლოდ ქერის მოყვანა შეიძლება, რადგან ქერს დილის მცხუნვარე მზე სჭირდება, სხვა კულტურებს კი – არა.

ბუნებრივ ლანდშაფტს ეფუძნება არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი, არამედ ტურიზმიც, ხე-ტყის ქრის და ხერხვის ბიზნესიც, საშენ მასალათა წარმოება-მოპოვებაც, პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებაც (ნისქვილკომბინატები, ღვინის დაყენება, ზეთსახდელეები, რძის პროდუქტების წარმოება) და ზოგიერთი სხვაც. რა თქმა უნდა, არის ბიზნესის ისეთი სახეებიც, რომელთაც არ სჭირდებათ რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის მონაცემები ასეთებია: საბანკო, სადაზღვევო, საკონსულტაციო ბიზნესი, მაგრამ ისინი რეგიონში მცირე ხვედრითი წილით არიან წარმოდგენილნი და მნიშვნელოვნად არ აპირებენ რეგიონის მეურნეობრივ სახეს ანუ მის ბიზნეს-ლანდშაფტს.

დღეს, ჩვენ ვიცით, ბიზნესის რომელი სახეებია გავრცელებული კახეთის რეგიონის ამა თუ იმ სოფელში – სად მევენახეობა (კერძოდ, ყურძნის ჯიშებიც კი), სად მემარცვლეობა, სად მებოსტნეობა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმის გამო, რომ არა გვაქვს (დაკარგული გვაქვს) რეგიონის გეოინფორმაციული მონაცემები, შეუძლებელია შევავასოთ რეგიონის დღევანდელი ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიული განფენილობა, აღმოვაჩინოთ მასში დადებითი ან უარყოფითი ნიშნები, შევთავაზოთ მათ უკეთესი ალტერნატივები და ა. შ. აი, ამიტომ მიგვაჩნია, რომ რიგით პირველი, თანაც სასწრაფო და გადაუდებელი

საქმე არის რეგიონის უტყუარი გეოინფორმაციული ფონდის შექმნა.

რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის შეფასება ხდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ქრილითაც. აქ მისი ვერტიკალური და ჰორიზონტალური განფენილობა იგულისხმება. ვერტიკალური განფენილობა ბიზნესის განვითარების სიღრმეს გვიჩვენებს, ანუ იმას თუ რამდენად ამომწურავად არის გამოყენებული ბიზნესის რესურსი. რადგან სხვადასხვა სახის ბიზნესს სხვადასხვა რესურსი სჭირდება, ვერტიკალური განფენილობა, ცხადია, ბიზნესის სახეების მიხედვით უნდა იყოს შესწავლილი და განხილული. ამასთან, გასარკვევია ისიც, რომ ეს რესურსი რა მოცულობისაა – დიდია თუ მცირე. დიდი – დიდ ბიზნესს აამუშავებს, პატარა კი – მხოლოდ მცირეს. ასე რომ, რეგიონის გეოინფორმაციული მასალის მოკვლევა, არა მხოლოდ ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიული, არამედ, მის ჰორიზონტალური განფენილობის გასარკვევადაც გამოდგება.

იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური აქვეყნებს, კახეთის ბიზნეს-ლანდშაფტის ვერტიკალური განფენილობა ყველაზე «ღრმა» არის მევენახეობა-მეღვინეობის ბიზნესში. მევენახეობისთვის გამოყენებულია არა მხოლოდ ყველაზე კულტურული ნიადაგები (ნემომპალა-კარბონატული, ტყის ყავისფერი ნიადაგები, შავმიწა ნიადაგები), არამედ, ნაბლა და ალვეიურ-უკარბონატო ნიადაგებიც კი. ვენახს აქვს დაკავებული: გურჯაანში – 7618 ჰექტარი, ყვარელში – 6382 ჰექტარი, თელავში – 6048 ჰექტარი, დედოფლისწყაროში – 1498 ჰექტარი, ახმეტაში – 1747 ჰექტარი, სიღნაღში – 920 ჰექტარი, ლაგოდეხში – 877 ჰექტარი [7, გვ. 15].

კახეთში ყურძნის 66 ჯიშია გავრცელებული [8, გვ. 23] და გლეხური ან ქართული წესით ამდენივე სახის ღვინოც მზადდება. რეგიონის მევენახეობაში 11 მსხვილი კოოპერატივი შეიქმნა. არის 43 – ხუთ-ათწევრიანი საშუალო სიდიდის მევენახეთა კოოპერატივებიც. დანარჩენი წვრილი მენარმეებია. ინდმენარმეები თავისი ოჯახის წევრების დახმარებით უვლიან მათ კუთვნილ ვენახებს.

იგივე ითქმის მეღვინეობაში. აქაც, კახეთს აქვს

მსხვილი ფირმებიც, საშუალოც და წვრილი საოჯახო მარნებიც («ქვევრის ღვინო»). წვრილი მარნები არ არიან რეგისტრირებულნი.

კახეთში ძირითადად მაღალხარისხოვანი სუფრის თეთრი და წითელი მშრალი, ბუნებრივად ტკბილი და სადესერტო ღვინოები იწარმოება. ევროპული ტიპის სუფრის თეთრი, მაღალხარისხოვანი, საუკეთესო საგემოვნო თვისებების მქონე ღვინოები მზადდება წინანდლის, ნაფარეულის, გურჯაანის, მანავის და სხვა მიკროზონებში, ადგილობრივი უნიკალური თეთრყურძნიანი ვაზის – რქანთელის, მწვანე კახურის, ხიხვის და ქისის ჯიშების ყურძნებისგან. სუფრის წითელი მშრალი, მაღალხარისხოვანი სასიამოვნო არომატის მქონე ღვინოები მზადდება ქართული აბორიგენული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშის საფერავისგან, ქინძმარაულის, თელიანის, ახაშენის, მუკუზანის, ხაშმის და კახეთის სხვა მიკროზონებში. კახეთში მზადდება წარმოშობის ადგილის დასახელების, ბუნებრივად ტკბილი წითელი ღვინოები მხოლოდ, ახაშენის, ქინძმარაულის და მუკუზანის მიკროზონებში. მას აქაური მიკროკლიმატი, ნიადაგები და ქართული ვაზის ჯიშის – საფერავის მაღალი შაქრის და მჟავების დაგროვების უნარი განაპირობებს.

კახეთმა საუკუნეთა მანძილზე შექმნა და ჩამოაყალიბა სუფრის ღვინის ორიგინალური ტიპი, რომელიც საკმაოდ განსხვავდება მსოფლიოში არსებული ღვინის ამ ტიპებისგან., იგი ერთადერთი, მშრალი ორიგინალური ღვინოა მსოფლიოში. გამოირჩევა მაღალი ექსტრაქტულობით, ფენოლური ნაერთების და ტანინის მაღალი შემცველობით, სასიამოვნო ბუკეტით, ჯამური არომატითა და გემოთი და რაც მთავარია, კახური ტიპის ღვინო მდიდარია ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებით.

რაც შეეხება კახეთის ღვინის ბიზნეს-ლანდშაფტის ჰორიზონტალურ მომცველობას, მას მისი ექსპორტი გვიხსნათებს: მე-20 საუკუნის ბოლოდან კახეთის ღვინომ თანდათან ისეთ რთულ და მკაცრ ბაზრებზე შეაღწია, როგორც ევროპის, ამერიკის და აზიის ბაზრებია.

საქართველოდან ყოველწლიურად 2007-2010 წლებში 12 მლნ ლიტრი ღვინო გადიოდა ექსპორტზე. აქედან ექსპორტის – 70% მოდიოდა კახეთის ღვინოზე. ამჟამამდე ექსპორტი 6 მლნ ლიტრამდე შემცირებულია რუსეთის მიერ ემბარგოს გამოცხადებით, თუმცა რუსეთის მხრიდან გარკვეული ემბარგოს მოხსნის დამაიმედებელი განცხადებები თანდათან კეთდება, რაც დიდად სასარგებლო იქნება კახეთის რეგიონისთვის.

ქართული ღვინის ექსპორტში ყველაზე მნიშვნელოვანი წილი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებზე მოდის. ისინი მევენახეობის სპეციფიკურ ზონებში მოკრეფილი ყურძნისგან მზადდება. ქართული ღვინის 6 მლნ ლიტრ ექსპორტში ადგილწარმოშობის ღვინოებს 29% უკავია, აქედან 82% კახეთის ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებზე მოდის.

ეს სავარაუდოდ არის 1,4 მლნ ლიტრი. მათ კახეთის ღვინის კომპანიები აწარმოებენ. ამის გარდა საოჯახო მარნებიც წელიწადში 160 ტონამდე ღვინოს ყიდიან. ძირითადად ეს არის ჩამოსასხმელი ქვევრის ღვინო. მას თავისი სტაბილური მომხმარებელი ჰყავს. 2014 წელს კახეთში 122,2 ათას ტონაზე მეტი ყურძენი გადაამუშავდა, ანუ მთლიანად საქართველოში მოწეული ყურძნის 98,5%. ამავე წელს საქართველოდან ექსპორტზე გავიდა 181 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო. რაღა თქმა უნდა, რომ მისი 85-90% კახური ღვინო იყო.

მევენახეობა-მეღვინეობის SWOT-ანალიზით დგინდება (იხ. ცხრილი 2), რომ კახეთის რეგიონში ამ სფეროს განვითარებას მეტად ანგარიშგასანევი ძლიერი მხარეები აქვს, შესაძლებლობები კი – უფრო მეტი. ისინი აშკარად ქარბობენ სუსტ მხარეებს და საფრთხეებს, რომლებიც თუ რეგიონის ხელმძღვანელობა იაქტიურებს, აშკარად მოგვარებადნი იქნებიან. მაგალითად, სუსტ მხარეებად მიჩნეული ვაზის სანერგეს არარსებობა, ნერგის ლაბორატორიული შემონმების ხელმიუწვდომლობა და ვაზის საძირეთა და ვაზის ჯიშის წმინდა სადედეების არარსებობა, მთლიანად მოიხსნება რეგიონში ერთი სრული ტექნოლოგიური ციკლის მქონე სანერგეს გახსნით. ასევე ამაღლება მევენახე-მეღვინეთა დაბალი კვალიფიკაცია, რომელიც ასევე სუსტ მხარეებშია დაფიქსირებული, თუ მათ რეგიონის ხელმძღვანელობა მოუწყობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს და ა. შ. სხვათაშორის ამ სუსტი მხარეების გამოსწორებას რეგიონის ხელმძღვანელობა შესაძლებლობებში აფიქსირებს. ეს სრულიად სწორი მიდგომაა. მთავარია, რომ ეს ქალაქებზე დაწერილად არ დარჩეს და პრაქტიკულადაც განხორციელდეს. მოცემულ რეგიონის მევენახეობა-მეღვინეობის SWOT-ანალიზის სუსტ მხარეებში ჩვენი ყურადღება ყველაზე მეტად მიიპყრო დაბალშემოსავლიანმა და გამეჩხერებულმა ვენახებმა. ასეთ ვენახებს საკმაოდ დიდი ფართობები უკავიათ კახეთში. შეიძლება დაბალ შემოსავალს მწირი ნიადაგები იძლევა, შეიძლება ეს ვენახები ყურძნისთვის ნაკლებშესაფერის ნიადაგებზე გაშენებული და ეს არის ამის მიზეზი. სწორედ ამიტომ გვჭირდება ნიადაგის შემსწავლელი სპეციალისტები, რომლებიც ჩაერთვებიან ჩვენს მიერ ზემოთდასახელებულ გეოინფორმაციული მასალის შემკრებ ჯგუფებში და რეგიონის ხელმძღვანელობას ნიადაგების შესახებ მისცემენ სწორ დასკვნებს. დამოუკიდებლად მევენახე-მეღვინე გლეხები (ფერმერებიც კი) ამას ვერასოდეს ვერ გააკეთებენ. ამას სპეციალისტები და ლაბორატორიული შემონმებები სჭირდება.

რაც შეეხება გამეჩხერებულ ვენახებს ამას ვენახის დაბერება და სხვადასხვა ავადმყოფობები იწვევს. მევენახეებს ამ საქმეში კონსულტაციაც კი არ სჭირდებათ. მათ იციან, რომ ვენახს განახლება უნდა, მაგრამ მათ საამისოდ არა აქვთ ფინანსური საშუალებები. აი, აქ სჭირდებათ მათ სუბსიდია და არა კრედიტი. კრედიტი თუნდაც იაფი, მათ აშინებთ, რადგან ახლადჩაყრილი ვენახი 3 წელზე ადრე მოსავალს არ იძლევა. ეს 3 წელი კი მევენახემ, არაფერშემოსავლის მქონემ,

მელვინეობა. SWOT-ანალიზი

<p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ვაზის კულტურული ჯიშების მრავალფეროვნება.</li> <li>➤ ნაყოფიერი ნიადაგები.</li> <li>➤ აგროკლიმატური პირობები.</li> <li>➤ ღვინის დამზადების ორიგინალური მეთოდები.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ვაზის თანამედროვე სანერგე მეურნეობის არარსებობა, გამონაკლისია თელავში, სოფელ კონდოლში მოქმედი ქართულ-ფრანგული ინვესტიციით მოწყობილი ვაზის სანერგე «არივიე ჯორჯია» და ასევე რამდენიმე მსხვილი ფერმერის სანერგე მეურნეობა, თუმცა მათ სრული ტექნოლოგიური ციკლი არ გააჩნიათ.</li> <li>➤ ვაზის საძირეთა და ვაზის ჯიშთა წმინდა სადედეების არარსებობა.</li> <li>➤ ნერგის ლაბორატორიული შემოწმების ხელმიუწვდომლობა.</li> <li>➤ დაბალმოსავლიანი და გამეჩხერებული ვენახები.</li> <li>➤ ღვინის საწარმოში დანაკარგების შესახებ სახელმწიფო ნორმების არარსებობა.</li> <li>➤ საოჯახო ღვინის მარნების პროდუქციის ბაზარზე ხელშეწყობის არარსებობა.</li> <li>➤ მევენახე-ფერმერთა და მელვინეთა კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების დაბალი დონე.</li> <li>➤ შხამ-ქიმიკატების ფალსიფიკაცია და სიძვირე.</li> <li>➤ სასუქების და საწვავის სიძვირე.</li> <li>➤ სეტყვა, გვალვა, ქარი.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ვაზის თანამედროვე სანერგე მეურნეობების მოწყობა და სერტიფიცირებული და მაღალხარისხოვანი ვაზის ნერგის ხელმისაწვდომობა.</li> <li>➤ საოჯახო და მცირე სიმძლავრის მარნებში თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარების მოწყობა.</li> <li>➤ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე რეგიონში წარმოებული ღვინოების წინ წაწევა.</li> <li>➤ ღვინის წარმოებაში საწარმოო დანაკარგების სახელმწიფო ნორმების შემუშავება.</li> <li>➤ მწარმოებლებისთვის ლაბორატორიული მომსახურების ხელმისაწვდომობა.</li> <li>➤ პროფესიული გადამზადების სპეციალური პროგრამების დანერგვა.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ნიადაგის მინისქვეშა მავნებლების (კავკასიის მარმარა ღრაჭა) გავრცელება.</li> <li>➤ საინვესტიციო გარემოს გაუარესება.</li> <li>➤ საექსპორტო ბაზრების დაკარგვა.</li> </ul>

ბანკს პროცენტი უნდა უხადოს.

საჭიროა რეგიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღწეროს ასეთი ვენახები, ექსპერტების დახმარებით გამოიანგარიშოს მათი აღდგენა-განახლების სრული ხარჯები და ადგილობრივ ბიუჯეტში გაითვალისწინოს მათი სუბსიდირება. ეს საქმეც დაყოვნებას არ მოითმენს, ეს საქმეც გადაუდებელია.

სუსტ მხარეებში სახელდება შხამ-ქიმიკატების და სასუქების ფალსიფიცირება და სიძვირე. ქვეყნები, რომლებიც რაიმე პროდუქტის ადგილობრივ წარმოების პროტექციონისტულ პოლიტიკას ატარებენ, მასთვის საჭირო რესურსების შესაძენად ადგილობრივ მომწოდებლებს ფასის ზღვარს უწესებენ. მევენახეობა-მელვინეობა მეურნეობის ის სექტორია, რომელიც

ქვეყნის მთავრობის მხრიდან აუცილებლად პროტექციონიზმის «ქოლგას» საჭიროებს. თუ ამ სექტორის მიმართ საქართველოს მთავრობაში ეს მიდგომა ჩამოყალიბდება, მაშინ კახეთში მევენახეობა-მელვინეობის განვითარების მართლაც «ბუმი» დაიწყება, რადგან სახელმწიფო ამ სექტორის ბევრ სუსტ მხარეს თვითონ გამოასწორებს და საფრთხეების აცილებასაც თვითონ დაუდგება თავდებად. ასეთ შემთხვევაში კახეთის რეგიონში მევენახეობა-მელვინეობის ბიზნეს-ლანდშაფტი მიიღებს სრულ განფენილობას (გეოგრაფიულად, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად). დღეს კი, ეს განფენილობა, სრული არ არის. იმ ნიადაგებზე სადაც ვენახი უნდა აიყოს სხვა კულტურებია დათესილი და პირიქით, იქ სადაც მევენახეობის მსხვილი კოოპერატ-

ივი უნდა იყოს, წვრილ-წვრილი ინდემენარმეები და არ-არეგისტრირებული მევენახე გლეხები დასაქმებული და პირიქით. დაბალია ჰორიზონტალური კავშირებიც – ქვეყრის ღვინოს უჭირს წინ წაწევა საერთაშორისო ბაზარზე, რადგან მას ძირითადად მევენახე-მეღვინე გლეხები ამზადებენ, რომელთაც ასეთი კავშირები არა აქვთ და ა. შ.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის თქმა დაგვჭირდა, იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ კახეთის მევენახეობა-მეღვინეობას სახელმწიფოს ხელი სჭირდება, მას მფარველობა, მზრუნველობა და პატრონობა სჭირდება. საქართველოს მთავრობამ ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობად უნდა გამოიყენოს ის ფაქტი, რომ კახური ტრადიციული მეთოდით დაყენებულ ღვინოს ან-ალოგი არ მოეპოვება მთელ მსოფლიოში, რის გამოც საერთაშორისო ირგანიზაცია UUNEMHO-მ ეს მეთოდი შეიტანა მსოფლიო არამატერიალური კულტურის საგანძურის ნუსხაში. კახური ტრადიციული ღვინოებისთვის საუკეთესო ყურძენი მოდის ბაკურციხიდან ანაგამდე მიკროზონებში. საქვეყნოდ არის ცნობილი კარდანახული წარაფი. კახეთის თეთრი ღვინოების წინამძღოლია წინანდალი და საფერავი, რომლებთანაც დაკავშირებულია ქართული მეღვინეობის წარსულიც და მომავალიც. ამჟამად კახეთში საფერავის ბუშია. მის ჩამოსხმაში ჩართულია ახალი ტექნოლოგიები. აღ-დგა ძველი ტრადიციული მეთოდებიც და ქვეყრის საფერავს უკვე ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიო საუკეთესო ღვინოებში. წითელყურძნიან ღვინოებს შორის ლიდერობს «მუკუზანი», რომელსაც უამრავი ჯილდო აქვს მიღებული. იგივე მდგომარეობაში არიან ახაშენი, ქინძმარაული და ნაფარეული.

2011 წლის ივლისში საქართველომ ხელი მოაწერა ორმხრივ შეთანხმებას ევროგაერთიანებასთან გეოგრაფიული აღნიშვნის (GI) აღიარებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ევროგაერთიანებამ 18 ქართული ღვინის გეოგრაფიული აღნიშვნა აღიარა. აქედან 11 არის კახეთის გეოგრაფიული პუნქტები. რეგიონისთვის ეს წარმატებაც არის და საამაყოც. თუმცა, იგი კახეთის ღვინის გეოგრაფიის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კახეთის მეღვინეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღვინის ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიული მომცველობა უფრო გაფართოვდეს და კახეთიდან მას კიდევ სხვა გეოგრაფიული პუნქტებიც დაემატოს.

კახეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის სხვა სახეებიც არის განვითარებული, სახელდობრ:

➤ **მემარცვლეობა** – მარცვლეული კულტურებიდან წამყვანია ხორბალი. ხორბლის ნათესი ფართობით და წარმოებით კახელი წამყვანი რეგიონია საქართველოში. საშუალოდ წელიწადში იგი 50 ათას ტონა ხორბალს აწარმოებს. მეორე ადგილზეა ქერი. წელიწადში საშუალოდ 6 ათასი ტონა ქერი იწარმოება. ქერის წარმოების წილი 28-29 პროცენტია. კახეთში მზესუმზირის წარმოებაცაა განვითარებული, სიმინდის კულტურაც;

➤ **მებოსტნეობა-მებაღეობა** – საადრეო ბოსტნე-

ულის წარმოება მეტად განვითარებულია ლაგოდეხის, გურჯაანის და ყვარლის ზონებში. მოყავთ საადრეო მარწყვი, კიტრი, ნესვი, პომიდორი და სხვა. ეს კულტურები დაახლოებით 300 ჰექტარზე ითესება;

➤ **მეხილეობა** – ატმის ძირითადი მწარმოებელია გურჯაანის რაიონი, საგარეჯოს რაიონი, ხურმისა და სხვა თესლოვანი ხილისა ლაგოდეხი, ნანილობრივ თელავი, სიღნაღი და ყვარელი. კურკოვანი ხილის წარმოებაში კახეთს საქართველოში 38%-მდე უკავია.

➤ **მეკარტოფილეობა** – ამ კულტურისთვის ნაყოფიერი ნიადაგებია მთათუშეთში და გომბორის უღელტეხილზე მდებარე სოფლებში. მეკარტოფილეობას კახეთში ძირითადად საოჯახო წარმოების ხასიათი აქვს;

➤ **მეცხოველეობა** – საქართველოს მეცხოველეობის მთლიან სულადობაში კახეთს მხოლოდ მეხუთე ადგილი უკავია და მისი წილი 9%-ს შეადგენს. ცხოველთა სულადობით განსაკუთრებით გამოირჩევიან საგარეჯო, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, სიღნაღი და ყვარელი. საქონლის ხორცის წარმოებით კახეთი საქართველოში მეოთხე ადგილზეა, ხოლო რძის წარმოებას 6-7% უკავია. განვითარებულია მეცხვარეობა (ახმეტა, დედოფლისწყარო, საგარეჯო) და მელორეობა. დღეს ქვეყანაში წარმოებული ღორის ხორცის საერთო მოცულობაში კახეთის წილი 10-15%-ია;

➤ **მეფრინველეობა** – ქვეყნის ფრინველების საერთო რაოდენობაში კახეთს 15-17% უკავია, ფრინველის ხორცის წარმოებაში – 10-12%, ხოლო კვერცხის წარმოებაში – 15-18%. საგარეჯოსა და პატარძელში ფუნქციონირებენ მეფრინველეობის ფაბრიკები;

➤ **მეფუტკრეობა** – განვითარებულია ყვარელში, სიღნაღში და გურჯაანში. მეფუტკრეობის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს ლაგოდეხს, რომლის ტყე და მინდვრები მალალხარისხოვანი თაფლის წარმოების შესაძლებლობას იძლევა.

მეურნეობის ამ მრავალფეროვნების მიუხედავად ამ სექტორებს ნაკლებად აქვთ სამრეწველო მნიშვნელობა. მათ დიდ ნაწილს ოჯახები აწარმოებენ და თვითონვე მოიხმარენ. ამასთან, მეურნეობის ამ სექტორების SWOT-ანალიზი მათ შესახებ უამრავ სუსტ მხარეზე და საფრთხეზე მიგვითითებს (იხ. ცხრილი 3) მემარცვლეობაში – მოსავლიანობის დაბალ დონეს, მაღალ თვითღირებულებას, დაბალ კონდიციურ სათესლე მასალას, მავნებლების გავრცელებას და სხვას; მებოსტნეობა-მებაღეობაში – პროდუქტების მაღალფუჭადობას, სამაცივრე და სასაწყობო მეურნეობების არ არსებობას (ან სიშორე), მავნებლების გამრავლებას, გვალვებს და სხვა; მეხილეობაში – დაბალმოსავლიანობას, რეალიზაციის პრობლემას, სამაცივრე მეურნეობის სიმცირეს, ქარიშხალს, გვალვას, სეტყვას და სხვა; მეკარტოფილეობაში – სავარგულების ურწყვადობას, თანამედროვე ტექნიკის ხელმიუწვდომლობას, სტიქიურ მოვლენებს, აგრონომების ნაკლებობას და სხვა; კიდევ უფრო მეტია სუსტი მხარეები მეცხოველეობა-მეფრინველეობა და მეფუტკრეობაში. ესენია: დაბალპროდუქტიულობა, საშიშ დაავადებათა მატება, ვეტერინალური სექტორის განუვითარებლობა, სა-

**ცხრილი 3**

კახეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის ძირითად მიმართულებათა (გარდა მევენახეობა-მელვინეობისა) SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები	შესაძლებლობები	საფრთხეები
<b>მემარცვლეობა</b>			
<p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>უნიკალური ხორბლის სახეობების მრავალფეროვნება.</li> <li>ნაყოფიერი ნიადაგები და ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.</li> <li>დაბალკონდიციური სათესლე მასალა.</li> <li>საჰექტარო მოსავლიანობის დაბალი მაჩვენებელი.</li> <li>დასარაიონებელი ახალი ჯიშები.</li> <li>წარმოებული პროდუქციის მაღალი თვითღირებულება.</li> </ul> <p>ზეთსახდელეში გამოხდელი ზეთის დაბალი ხარისხი და გამოსავლიანობა.</p>	<p><b>შესაძლებლობები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სათესლე და ჯიშთა გამოცდის მეურნეობების მოწყობა.</li> <li>მაღალკონდიციური სათესლე მასალის წარმოება.</li> <li>სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა.</li> <li>ინვესტიციების მოზიდვა წისქვილების, ზეთსახდელეების, სპირტსახდელეებისა და ცხოველთა საკვების მწარმოებელი ქარხნების ასაშენებლად.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>სტიქიური მოვლენები: სეტყვა, ქარი და გვალვა.</li> <li>გამოუცდელი ჯიშების დათესვა.</li> <li>კალიების გამრავლება და სხვა საშიში მავნებლების ფართო გავრცელება.</li> </ul>
<b>მეზოსტნეობა-მებაღეობა</b>			
<p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ნაყოფიერი ნიადაგი და ხელსაყრელი აგროკლიმატური გარემო.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>შესანახი სასაწყობო ფართობის ნაკლებობა.</li> <li>მალფუჭებადი კულტურებისათვის სამაცივრე საწყობების სიშორე და მუნიციპალიტეტებში მათი არარსებობა.</li> <li>საკონსერვო ქარხნების არარსებობა.</li> <li>კვალიფიციური აგრონომების ნაკლებობა.</li> <li>თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელმიუწვდომლობა.</li> </ul>	<p><b>შესაძლებლობები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>რეგიონში, განსაკუთრებით კი, დედაქალაქთან ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტებში, საგარეჯოსა და თელავში შესაძლებელია სასათბურე მეურნეობების შექმნა.</li> <li>სანედლეულო ბაზის გაფართოება.</li> <li>საკონსერვო ქარხნების მშენებლობა.</li> <li>ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების შესანახი სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების შექმნა ინვესტიციების მოზიდვით.</li> <li>მაღალმოსავლიანი და დარაიონებული ჯიშების გამოყენებით იმპორტირებული არაქისის ადგილობრივი წარმოების პროდუქციით ეტაპობრივი ჩანაცვლება.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>გვალვა, წყალდიდობა, სეტყვა და ქარიშხალი.</li> <li>მავნებლების გამრავლება.</li> </ul>
<b>მეხილეობა</b>			
<p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ნაყოფიერი ნიადაგები, ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები და ხეხილის მრავალფეროვანი ჯიშები.</li> <li>ბიო-მეხილეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>დაბალმოსავლიანი ხეხილის ბაღები.</li> <li>ატმის სიმწიფის პერიოდში მისი რეალიზაციის პრობლემა ან გაყიდვა დაბალ ფასში.</li> <li>სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევის ხელმიუწვდომლობა.</li> <li>სამაცივრე მეურნეობების სიმცირე და მომსახურების მაღალი ფასი.</li> <li>საკონსერვო ქარხნების არარსებობა.</li> <li>კვალიფიციური აგრონომების ნაკლებობა.</li> </ul>	<p><b>შესაძლებლობები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ხეხილის ჯიშების თანამედროვე სანერგე მეურნეობების შექმნა.</li> <li>სერტიფიცირებული ხეხილის ნერგებით ბაღების გაშენება.</li> <li>სამაცივრე მეურნეობების მოწყობა</li> </ul>	<p><b>საფრთხეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>სეტყვა, ქარიშხალი, ყინვა.</li> <li>ნიადაგის მიწისქვეშა მავნებლების გავრცელება.</li> </ul>



მეკარტოფილეობა			
<p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ნაყოფიერი ნიადაგები.</li> <li>➤ ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები.</li> <li>➤ ბიოპროდუქციის წარმოების მაღალი პოტენციალი.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სავარგულები არ ირწყევა.</li> <li>➤ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმიუწვდომლობა, ფერმერები ძირითადად ხელით შრომას ეწევიან.</li> <li>➤ რეგიონში კვალიფიციური აგრონომების ნაკლებობა.</li> <li>➤ ფერმერებს არ აქვთ მაღალკონდიციური სათესლე მასალა.</li> </ul>	<p><b>შესაძლებლობები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ კახეთის მთიან რეგიონებში ბიოკარტოფილის წარმოება.</li> <li>➤ თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა.</li> <li>➤ სასაწყობო და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის, აგრეთვე თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეყვანა რეგიონში.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სტიქიური მოვლენები: სეტყვა, ქარიშხალი, ძლიერი ყინვა.</li> </ul>
მეცხოველეობა			
<p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ კარგი აგროკლიმატური პირობები.</li> <li>➤ საძოვრებისა და სათიბების დიდი მასივები.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ დაბალკალორიული საძოვრები.</li> <li>➤ არსებული პირუტყვის დაბალპროდუქტიულობა.</li> <li>➤ უმძიმესი ეპიზოტიური მდგომარეობა.</li> <li>➤ ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების შემთხვევების მატება.</li> <li>➤ ცხოველთა გადასარეკიტრასების მოუწესრიგებლობა.</li> <li>➤ ცხოველთა ინვენტარიზაციისა და პასპორტიზაციის არარსებობა.</li> <li>➤ კერძო ვეტერინარული სექტორის განუვითარებლობა.</li> <li>➤ სამართლებრივი ბაზის სისუსტე.</li> <li>➤ სოფლად არსებული ვეტუბნების უმოქმედობა.</li> <li>➤ ამ სფეროში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.</li> <li>➤ ჯიშთსაშენი მეურნეობების არარსებობა.</li> <li>➤ მკვეთრად გაუარესებული ეპიზოოტოლოგიური მდგომარეობა, ცხვარში არსებული დაავადებები, განსაკუთრებით თურქული.</li> </ul>	<p><b>შესაძლებლობები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საძოვრების დიდი მასივებზე ცხოველთა საკვები კულტურების დათესვა, გასარწყაება.</li> <li>➤ მაღალპროდუქტიული პირუტყვის გამრავლება მორიგეობითი ძოვებით, თანამედროვე ჯიშთსაშენების მოწყობა.</li> <li>➤ ხელოვნური დათესვის პუნქტების მოწყობა.</li> <li>➤ ცხოველთა სასაკლაოების მოწყობა.</li> <li>➤ კერძო ვეტერინარული სისტემის ფორმირება.</li> <li>➤ რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი თანამედროვე ტიპის საწარმოების შექმნა.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების ეპიდემია (თურქული, ბრუცელოზი, ასევე ცალკეულ შემთხვევებში კი ჯილეხი).</li> </ul>
მეფრინველეობა			
<p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ რეგიონში ფრინველთა – ქათამი, მწყერი, ხოხობი, ინდაური, იხვი, ბატი და ა. შ. სახეობათა გამოზრდისთვის ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მეფრინველეობის ფაბრიკების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა.</li> <li>➤ ფრინველის მაღალპროდუქტიული სახეობების შერჩევა და გამრავლება.</li> <li>➤ ადგილზე საკვებწარმოების ბაზის გაძლიერება.</li> <li>➤ მეხორცეული მიმართულების მეფრინველეობის განვითარება და იმპორტის ჩანაცვლება.</li> </ul>	<p><b>შესაძლებლობები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საკვებწარმოების ადგილობრივი ბაზის სიმცირე.</li> <li>➤ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის სიძვირე.</li> <li>➤ დაბალპროდუქტიული ფრინველის სახეობები.</li> <li>➤ კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ფრინველის გრიპის ეპიდემის გავრცელება.</li> </ul>

**მეფუტკრეობა**

<p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>კახეთში არსებული ტყისა თუ მდელის მრავალფეროვანი მცენარეები.</li> <li>მცენარეების ყვავილობის ხანგრძლივი პერიოდი.</li> <li>ყვავილების უნიკალური თვისებები და მრავალფეროვან ორგანულ ნივთიერებათა კლასების მალა-ლი შემცველობა.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>დამხმარე ინვენტარისა და მასალების სიძვირე.</li> <li>ფუტკრის ოჯახების (საკუთების) გადასატანი კონტეინერების სიმცირე და ამორტიზაცია.</li> <li>თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნა და მათი დანერგვის სიძვირე.</li> <li>თაფლი არ წარმოადგენს საექსპორტო პროდუქტს.</li> <li>დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილება.</li> </ul>	<p><b>შესაძლებლობები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>თაფლი ექსპორტით გავა ევროპისა და ამერიკის ბაზარზე.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>გვალვა, სეტყვა, ქარიშხალი და ყინვა.</li> <li>ფუტკრის დაავადებების გავრცელება.</li> </ul>
---	--	--	---

მართლებრივი ბაზის არასრულყოფილება, მკვეთრად გაუარესებული ეპიოოტოლოგიური მდგომარეობა, დაბალკალორიული საძოვრები და ველ-მინდვრები და მრავალი სხვა. ეს არის არასრული სია იმ სისუსტეების და საშიშროებებისა, რომლებიც სოფლის მეურნეობის ამ სექტორებს დღესაც უდგათ და მომავალშიც ელოდებათ. ამასთან, ამ სექტორების პროდუქციის რეალიზაცია შიდაბაზარზეც ძნელდება, რის გამოც ვერცერთი მისი სახე – მაღალი თვითღირებულების, დაბალი ხარისხის და ბოლოს, წარმოების მცირე მოცულობის გამო, ჯერ-ჯერობით საგარეო ბაზრებზე ვერ გავა და კახეთის რეგიონისათვის მყარი ვალუტის შემომტანი ვერ იქნება.

სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის ამ მიმართულებებში ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიული განფენილობა დამაკმაყოფილებელია, ანუ რეგიონის ყველა ოჯახს (გარდა ქალაქად მაცხოვრებლებისა) საკუთარ მეურნეობაში მოყავს ხილიც, ბოსტნეულიც, ბაღჩეულიც, კარტოფილიც, ჰყავთ ცხოველები და ფრინველებიც, მოყავს სიმინდი, სილნალსა და დედოფლისწყაროში მზესუმზირაც, ლაგოდეხსა და ყვარელში ყავთ ფუტკარიც. მარცვლეული კულტურების სექტორში, კერძოდ, ხორბლის და მზესუმზირის წარმოებაში ბიზნეს-ლანდშაფტის ვერტიკალური განფენილობაც დამაკმაყოფილებელია, რადგან ამ ბიზნესს ენევიან ინდემნარმეებიც და მსხვილი ფერმერებიც. იგივე ითქმის მეფრინველეობაზე. ამ სექტორში არსებობს ფაბრიკებიც (საგარეჯოს და პატარძეულის) და ინდემნარმეებიც. დანარჩენ სექტორებზე ამას ვერ ვიტყვით. რაც შეეხება ბიზნეს-ლანდშაფტის ჰორიზონტალურ განფენილობას, ამ სექტორებისთვის ეს «თეთრი ლაქაა» – არცერთი დასახლებულთაგანი სექტორი ექსპორტზე არ მუშაობს.

კახეთის რეგიონში სუსტად არის განვითარებული სამრეწველო (გარდა ღვინის წარმოებისა) და სამშენებლო სექტორები. სამრეწველო სექტორიდან შეიძლება დავასახელოთ კუსტარული ზეთსახდელები (სილნალი და დედოფლისწყარო), ფიქალ-მარმარილოს მომპოვებელი ფირმები (თელავი), კირქვის მომპოვებელ-გადამამუშავებელი ფირმები (დედოფლისწყარო), ხე-ტყის სახერხი კომპანიები (ახმეტა) და სხვა). მათი რაოდენობაც მცირეა და სიდიდეც. ისინი მცირე ან საშუალო

სიდიდის არიან. კიდევ უფრო ცოტაა სამშენებლო ფირმები. ისინი ქალაქებში არიან განთავსებულნი. იგივე ითქმის საბანკო და სადაზღვევო ბიზნესზე, უძრავი ქონების ბიზნესზე, სავაჭრო ბიზნესზე, საკონსულტაციო ბიზნესზე. ისინიც ძირითადად შედარებით მსხვილ ქალაქებში (თელავი, სილნალი) არიან განლაგებულნი, გამონაკლისია ამ მხრივ მხოლოდ სავაჭრო ბიზნესი, რომელსაც ქსელი მთელ რეგიონში აქვს.

და ბოლოს ტურისტული ბიზნესი. კახეთის ძველეთის ტერიტორიული კონცენტრაცია, სახელმონვეჭილი მელვინეობის კერები, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, ულამაზესი ბუნება – ტყეები, მთები, დაცული ტერიტორიები, რეგიონში ტურიზმის განვითარების უდიდეს პოტენციალს ქმნის. კახეთის რეგიონში 15-მდე ტურისტული ფირმაა გახსნილი, 30-მდე მსხვილი სასტუმრო («ამბასადორი», «ძველი თელავი», «ყვარლის ტბა» და სხვ.), 100-ზე მეტი მცირე სასტუმრო და საოჯახო სახლი, 70-მდე კვების ობიექტი და ა. შ. კახეთის რეგიონში ტურისტებისთვის 155 განთავსების საშუალებაა 2872 საწოლით [9, გვ. 6]. პირველი პარამეტრით მას საქართველოს რეგიონებს შორის მეოთხე, ხოლო მეორე პარამეტრით – მეშვიდე ადგილი უკავია (ამ პარამეტრით კახეთი გურიის რეგიონსაც კი ჩამორჩება, მაშინ როდესაც ტურისტული რესურსი კახეთში გურიის რეგიონთან შედარებით 4-5-ჯერ მეტია). 2015 წლის სამ კვარტალში კახეთი მოინახულა საქართველოში შემოსული ტურისტების მხოლოდ 8%-მა (იმერეთი – 19,8%, აჭარა – 12,1%, თბილისი 26,2% და ა. შ.) [9, გვ. 13]. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ტურისტულ ბიზნეს-ლანდშაფტს არა აქვს სათანადო არც გეოგრაფიული, არც ვერტიკალური და არც ჰორიზონტალური განფენილობა. არადა, კახეთის ტურიზმის პოტენციალი, თუ მისი ლანდშაფტი სათანადო ჰორიზონტალურ განშლას მიიღებს, ე. წ. გააქტიურებს მუშაობას უცხოელების შემოყვანაზე, მაღალ დონეზე იქნება ათვისებული და რეგიონს მყარი ვალუტის სახით დიდ შემოსავალს მოუტანს. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ბოლო ნაბიჯია. იქამდის ტურისტულ ბიზნესის განვითარებას სჭირდება რეგიონში შიგაპირობების შექმნა. უნდა შედგეს მარშრუტები, მომზადდეს გიდები, ამუშავდეს ბალნეოლოგიური კურორტები, მონესრიგდეს ნაგავსაყრელები და სას-

**ტურიზმი. SWOT-ანალიზი**

<p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ რეგიონის კულტურული მემკვიდრეობა.</li> <li>➤ ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები.</li> <li>➤ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და ამ სექტორის განვითარების დიდი სურვილი).</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ტურისტებისთვის სერვისის მინოდების დაბალი ხარისხი.</li> <li>➤ ინფრასტრუქტურის ხარვეზები.</li> <li>➤ სექტორში მომუშავე ადამიანების არასაკმარისი ცოდნა-გამოცდილება.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ რეკრეაციული ტურიზმის განვითარება.</li> <li>➤ სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება.</li> <li>➤ აგროტურიზმის განვითარება.</li> <li>➤ სამმთო ტურიზმის განვითარება მთათუშეთში.</li> <li>➤ ბალნეოლოგიური კურორტების ამოქმედება.</li> <li>➤ ღვინის ტურიზმის გაფართოება.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა.</li> <li>➤ საინვესტიციო კლიმატის გაუარესება.</li> </ul>

ტუმროების წყალმომარაგება, მოგვარდეს მანანწალა ცხოველების პრობლემა, ამაღლდეს მოსახლეობის დაინტერესება ამ ბიზნესში ჩართულობის თვალსაზრისით და მრავალი სხვა.

ეს არ არის მარტო ჩვენი შეფასება. რუსული ტურისტული სააგენტოს «ვ მირე ფანტაზიი» მენეჯერის ალა არტიომენკოს შეფასებით, საქართველოში მოქმედი სააგენტოები არაორგანიზებულით გამოირჩევიან. მათ ძალიან შეზღუდული და მნიერი შეთავაზებები აქვთ. არ არსებობს კომპლექსური პაკეტები [10, გვ. 15]. მისივე თქმით, რუსი ტურ-ოპერატორი დამსვენებლების გამოგზავნისგან საქართველოში ხშირად თავს იკავებენ, რადგან არ სურთ, კლიენტების უკმაყოფილება დაიმსახურონ. იგივე აზრი გამოთქვა ამერიკელმა მეცნიერმა ჯეფრი ლიპმანმაც. მან საქართველოში ტურისტების მოზიდვის მთავარ პირობად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ყველა დონის სერვისის სრულყოფა დაასახელა [11, გვ. 21]. ამის აუცილებლობა ჩანს რეგიონში ტურიზმის დღევანდელი მდგომარეობის SWOT-ანალიზიდანაც (ცხრილი 4).

ჩვენი აზრით, ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეს ქვეყნის მთავრობა, რეგიონის დონეზე კი – რეგიონის ხელმძღვანელობა. «ტურიზმი სუფთა ინდუსტრიაა, – ნერს ნევადის შტატის გუბერნატორი ბობ მილერი, – ის საკმაოდ ადვილად და სწრაფად ვითარდება, ამიტომ ხშირად ეს სფერო ხელისუფლების ყურადღების მიღმა რჩება, რაც უდაოდ, დიდი შეცდომაა. ის ქვეყნებსა და რეგიონებს აძლევს თავის წარმოჩენის საშუალებას. სწორედ ამიტომ უნდა იყოს ხელისუფლება ტურიზმით დაინტერესებული, მთავრობის მოვალეობაა უზრუნველყოს ის საშუალებები და პირობები, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ქვეყანაში მოიზიდავს» [11, გვ. 23].

ამრიგად, კახეთის რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის SWOT-ანალიზით მისი მეურნეობის დარგებიდან სამომავლოდ პრიორიტეტულად და ამასთან მაღალ-

შემოსავლიანად ორი დარგი გვესახება. პირველია – მევენახეობა-მელვინეობა, მეორე – ტურიზმი. ორივე ისინი ორიენტირებული იქნებიან საგარეო ბაზარზე. მევენახეობა-მელვინეობაში ამას უკვე ყვრება საფუძველი, ტურიზმში კი, ამ მიმართულებით, შეიძლება ითქვას, ჯერ არაფერია გაკეთებული. ამას თავისი მიზეზი აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მევენახეობა-მელვინეობა კახელი კაცის ძირძველი საქმეა, ბუნებრივი ღირსებაა. კახელმა დაბადებიდანვე იცის ვენახის მოვლაც და ღვინის დაყენებაც. ბავშვობიდანვე იგი თავისებური სიამაყით ითავსებს ამ მამა-პაპურ ტრადიციას და მთელ თავის სიცოცხლეს უძღვნის მას. ამას იგი აკეთებს არა იმდენად შემოსავლის მიღების მიზნით, რამდენადაც ამ საქმის სიყვარულით. კახელი კაცისთვის ვენახს, ყურძენს, და ღვინოს სხვა ხიბლი აქვს. იგი მისი სულის წყობის ნაწილია, ერთგვარი ჯაჭვია მამებსა და შვილებს შორის, გაუცნობიერებელი კომუნიკაცია მამა-პაპასთან და კოდი იმისა, რომ ცოცხლობს მათი საქმე, რომ კახეთში იგი არ მოუკლავს «ცივილიზაციის სიკვდილს», რომ შვილები ღირსეულად აგრძელებენ მამა-პაპურ საქმეს.

სულ სხვა საქმეა ტურისტული ბიზნესი. ტურიზმი კახელებისთვის «ახალი ხილია». ის მათ გენეტიკურად არ მიუღიათ. ეჭვითაც კი უყურებენ. არადა, ტურიზმს, განსაკუთრებით სამთო ტურიზმს (მთათუშეთი, კახეთის მთიანეთი) განვითარების დიდი პოტენციალი აქვს კახეთში. აქაურ მთებში და ტყეებში, ველებსა და მინდვრებზე პირველყოფილი ბუნებაა. უცხოელებს კი მეტად უყვართ ასეთ ადგილებში მოგზაურობა და არც ფულს იშურებენ ასეთი დასვენებისთვის. ასევეა რეკრეაციული ტურიზმი, სამონადირეო ტურიზმი (ლაგოდების ნაკრძალი), ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სათხილამურო ტურიზმი (ცივის მთაზე) და სხვა.

ასე რომ, კახეთის რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტზე ჩვენი დაკვირვება-გამოკვლევით, ორი დასკვნის გამოტანა შეეძლება:

1. კახეთის ვაკე ადგილებში, ეხლაც და მომა-

ვალშიც, პრიორიტეტი უნდა ჰქონდეს ექსპორტზე ორიენტირებულ მევენახეობა-მელვინეობას.

2. კახეთის მთაში, პრიორიტეტი უნდა ჰქონდეს სამთო ტურიზმს.

მევენახეობა-მელვინეობა რომ კახეთის რეგიონისთვის №1 პრიორიტეტია, ეს გათავისებული აქვს კახეთის მოსახლეობასაც და რეგიონის ხელმძღვანელობასაც. მათი სამიზნე ამჟამად იმ სუსტი მხარეების ნეიტრალიზებაა, რომელიც მას აქვს. ეს არის ყურძნის ხარისხის გაუმჯობესება, სანერგე ჯიშთსაშენების შექმნა, მელვინე-მევენახეობის კადრების თანამედროვე მოთხოვნებით მომზადება-გადამზადება და სხვა.

რეგიონში მუსირებს იმის შესახებ აზრიც, რომ მოხდეს ქვევრის ღვინოს «გავეროპელება», ანუ მისი ინდუსტრიალიზაცია. ამ საკითხში ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ ქართველ მელვინეებს, რომლებსაც ქვევრის ღვინის ინდუსტრიალიზაცია, განსხვავებით «ქარხნის» ღვინისგან, დაუშვებლად მიაჩნიათ და ამტკიცებენ, რომ ქვევრის ღვინის დაყენების ტექნოლოგია არის კახეთის რეგიონის და საერთოდ საქართველოს ღვინის მრეწველობის დიდი პოტენციალი. ხოლო თვით კახური «ქვევრის ღვინო» მისი გამორჩეული ბრენდი [12].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კახეთში მევენახეობა-მელვინეობის ბიზნეს-ლანდშაფტის განვითარების ჩვენი სამომავლო რეკომენდაციები ასეთია:

1. ყურძნის ხარისხის გაუმჯობესება, კახეთში სანერგე მეურნეობების და ნერგების შესამომშენებელი ლაბორატორიების შექმნა.

2. მევენახე-ფერმერთა და მელვინეთა მომზადება-გადამზადების სასწავლო პროგრამების ამუშავება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამ მიმართულებით ყველა რაიონში პროფესიული კოლეჯების გახსნა.

3. მცირე და მიკრო სანარმოების (ინდემნარმები) სტიმულირება მევენახეობის განვითარებაში (რომ ადგილი არ ჰქონდეს ვენახების გაჩეხვას გლეხების მიერ და მის ადგილზე საზამთროს დათესვას). ეს შეიძლება მოხდეს გადასახადების გაუქმებით (ვენახზე ისინი ქონების გადასახადს იხდიან და ეს საკმარისად უნდა ჩაითვალოს).

4. კახეთის რეგიონის ხელმძღვანელობით მევენახეობისთვის სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

რაც შეეხება ტურიზმს, აქ შესასრულებელი სამუშაოები შეიძლება ითქვას ნოლიდან უნდა დაიწყოს. ის მინიმუმი, რაც დღეს კახეთში არის საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. კახეთში ეს დარგი ორი მიმართულებით უნდა განვითარდეს – სამთო ტურიზმი და ბარის ტურიზმი. ბარის ტურიზმის – აგროტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ღვინის ტურიზმი და სხვა – განვითარება დანაწილებულია, მაგრამ მას სისტემური ხასიათი არა აქვს.

კახეთის ბარის რეგიონში აგროტურიზმის, შემეცნებითი ტურიზმის, ღვინის ტურიზმის და სხვათა სათანადო საერთაშორისო სტანდარტებით განსავითარებლად საჭიროდ ვთვლით შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

1. რეგიონის მელვინეობა-მევენახეობის ტრადიციულ კერებში აღირიცხოს დღეს მოქმედი მევენახე-მელვინეები, რომლებიც შთამომავლობით მისდევენ მეურნეობის ამ დარგს, აქვთ ტრადიციული მიზნები და ფლობენ მამაპაპურ წესზე ღვინის დაყენების ხელოვნებას.

2. ამ პირთა სია რაიონის მუნიციპალიტეტებმა გადასცენ ტურისტულ ფორმებს, რომ მათ ისინი ჩარიცხონ ღვინის ტურიზმის მარშრუტში. ამ ოჯახებში ტურისტები დაესწრებიან რთველს, ღვინის დაყენებას, ჩურჩხელების ამოვლებას და ა. შ. უცხოელი ტურისტებისთვის ეს მეტად საინტერესო იქნება.

3. ქვევრის ღვინო ქვევრში მზადდება. მექვევრეები, ანუ ქვევრის დამამზადებლები კი თითებზე დასათვლელი დარჩა. საჭიროა მექვევრეთა კერების ჩართვაც ღვინის ტურიზმის მარშრუტებში.

4. რეგიონში არსებობს ბალნეოლოგიური კურორტების ამუშავების შესაძლებლობები. ესენია: საგარეჯოში – უჯარმა და გურჯაანში – ახტალა. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უნდა იზრუნონ მათ ამოქმედებაზე და თუ ეს არ შეუძლიათ, მაშინ მოახდინონ პრივატიზება.

5. რეგიონში ტურიზმის სათანადო განვითარებისთვის აუცილებელია სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ნაგავსაყრელების მოწესრიგება, მანანნალა ძაღლების პრობლემის მოგვარება და ა. შ.

6. საჭიროდ ვთვლით რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მაგალითად, კოლეჯებში) მოენწყოს ტრენინგები ტურისტული ბიზნესის დანაწილების და მართვის უნარ-ჩვევების შესაძენად და ა. შ.

რეგიონის ხელმძღვანელობამ იქ არსებულ ტურისტულ კომპანიებთან და სასტუმროებთან ერთად ამ მიმართულებით უნდა გაშალოს მუშაობა. ასეთ შემთხვევებში მეტად კარგი შედეგი აქვს რეკლამას, მაგრამ იქამდის როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგიონში ბევრი რამ არის მოსაგვარებელი, რადგან, რაც ეხლა რეგიონში ამ სფეროს მოსამსახურებლად არის შექმნილი, თვალთდასახის და ყურთვასაგონის ჩათვლით, არ არის უცხოელი ტურისტებისთვის მისაღები – ქუჩებში ყრია ნაგავი, დარბიან მანანნალა ძაღლები, ყველგან არ არის წყალი და კანალიზაცია, მოუწესრიგებელია შიდა სასოფლო გზები, ქუჩებში ღამის განათება ან არ არის, ან არის, მაგრამ არ მუშაობს, არის წყვეტები ელექტროენერჯით მომარაგებაში და მრავალი სხვა. მართალია, ეს ძირითადად სოფლებს ეხება, მაგრამ ჯერ ერთი, პერიოდულად ქალაქებშიც აქვს ამას ადგილი, და მერე მეორე – სოფლებიც ხომ ჩართულია ტურისტულ მარშრუტებში.

კახეთში შემოსულ ტურისტულ ნაკადებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ ისინი მეტ ლტოლვას იჩენენ მთიანი მხარის – მთათუშეთისკენ. ზოგი ტურისტი როცა მარშრუტში არ შედის თუშეთი, წყდება ნაკადს და დამოუკიდებლად მიემგზავრება თუშეთში.

ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოელებს ანდამატივით იზიდავთ მთა და მთასთან დაკავშირებული ტურიზ-

მის სახეობები. ასეთ დროს მათათუშეთი მასიური სამთო ტურიზმის განვითარებისთვის სრულიად მოწყობილია.

მთელ მსოფლიოში მთიან ტერიტორიებს დედამიწის საკმაოდ დიდი ნაწილი უკავიათ. ასევეა საქართველოშიც. ერთ-ერთი საერთაშორისო კლასიფიკაციით, რომლითაც მთიანი რეგიონების 4 ზონა (კატეგორია) არის დადგენილი, საქართველო მე-4 კატეგორიაში შედის. ეს არის ზონა, რომლის ტერიტორიის 50-100% მთიანეთია. ამ კატეგორიაში ხვდება 52 ქვეყანა, მ. შ. შვეიცარია, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვები.

ბოლო ათწლეულებში მთიანეთის პრობლემატიკა სულ უფრო აქტიურად მუშავდება უცხოეთის როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ნიშანდობლივია, რომ ამ მხრივ, წინა პლანზე იწვევს მთის არამარტო ეკოლოგიური თუ რეკრეაციული ასპექტები, არამედ მთაში მოხინაღრე ადამიანების მრავალფეროვანი პრობლემატიკა, მ. შ. მათი დეპოპულაციის და მიგრაციის შეჩერება. მთაში ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა არის იქ ტურიზმის განვითარება. კაცობრიობამ ტურიზმის როლი და მნიშვნელობა მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21 საუკუნის დასაწყისში გაიცნობიერა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია იოჰანესბურგში 2002 წელს გამართული სიღარიბის დაძლევის მსოფლიო ფორუმი, რომელმაც პირველად აღიარა ტურიზმი, როგორც სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ეს ფაქტორი მთელი «სისრულით და სისავსით» უდგას საქართველოს, როგორც ბარში, ისე მთაში». ასეა კახეთიც. ბარში მოსახლეობა სხვა სახის ბიზნესითაც საქმდება და ამ გზით რაღაცა შემოსავალს იღებს, მთის მოსახლეობა კი, მხოლოდ მეცხოველეობას მისდევს და ისიც შინა მოხმარებისთვის. ასეთ დროს, საზღვარგარეთის ქვეყნების, მაგალითად, შვეიცარიის გამოცდილებით, მთის მოსახლეობა ძირითადად ტურიზმშია დასაქმებული.

ტურიზმი ბარშიც იძლევა შემოსავალს, სადაც შემონახულია ტურისტებისთვის საჩვენებელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ან მათი დასვენებისა და გართობისთვის სათანადო პირობები, მაგრამ მთა ამ მხრივ უნიკალურია. ეს კარგად გაითავისა შვეიცარიამ, ჩვენსავით მთიანი რეგიონების მე-4 ზონის პარამეტრების მქონე ქვეყანამ, და, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1954 წლიდან) დაიწყო მთიანეთში მცხოვრები ფერმერების და მეტყვევებისთვის სუბსიდიების გამოყოფა. შემდეგ დაიწყო გარკვეულ ზღვარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მთიანეთის მოსახლეობისთვის (გლეხური კომპლექტი) სუბსიდიების მიცემა, მთიანი სოფლების გამსხვილება. შემუშავდა შვეიცარიის მთიანეთის განვითარების ფედერალური კონცეფცია. 1974 წელს მიღებული იქნა კანონი მთის რეგიონების საინვესტიციო ხელშეწყობის შესახებ. 1975 წლიდან დაიწყო შეღავათიანი სესხების გაცემა შვეიცარიის საინვესტიციო ფონდიდან (IHG). იგივე ორგანიზაცია გასცემდა მცირე ინსტიტუციურ

გრანტებს. მოხდა მთიანეთის თემების «განვითარების რეგიონებად» დაყოფა. შეიქმნა ასეთი 54 რეგიონი. ამ რეგიონების განსავითარებლად იქმნებოდა პროგრამები და პროექტები. 1991 წლისთვის უკვე დაფინანსებული იყო 3078 ასეთი პროექტი, შედეგად შვეიცარიის მთიანეთში 1970-1990 წლების პერიოდში მოსახლეობამ 10%-ით იმატა.

იმის მაგივრად, რომ ჩვენც ასევე მოვქცეულიყავით, პირიქით, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ჯერ რაჭველების, შემდეგ სვანების და შემდეგ ხევსურების ჩამოსახლება ბარში. ამ ფაქტით სასონარკვეთილმა, წარმოშობით რაჭველმა პოეტმა, მურმან ლებანიძემ ლექსათ ამოთქვა თავისი ნუხილი «ვაი თუ ვინმეს მოენონოს ეს სოფელი, ვაი თუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს». მართლაც, დაიწყო რა საზღვრისპირა მთიანეთის მოსახლეობისგან დაცლა, არაოფიციალურად მეზობელმა ქვეყნებმა ბევრგან გადმოიწიეს საზღვრები. ეს პროცესი ეხლაც მიმდინარეობს.

საბჭოთა პერიოდში კახეთის მთიანეთიდან მოსახლეობის ბარში ჩამოსახლება არ მომხდარა. აქ, როგორც ბარის, ისე მთის მოსახლეობის მიგრაცია დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების დღიდან და დღესაც გრძელდება. კახეთიდან, ისე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებიდან მიგრაციის შეჩერება, მხოლოდ მათ ადგილზე დასაქმებას შეუძლია. მთიანი რეგიონებისთვის ეს სამთო ტურიზმი იქნება. მთის რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები ხელსაყრელ პირობებს არ ქმნის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისთვის, სამთო ტურიზმისთვის კი მას, სწორედ თავისი ბუნებრივი «სირთულის» წყალობით დიდი უპირატესობები გააჩნია.

კახეთის მთიანეთი, კერძოდ, მათათუშეთი, შედის საქართველოს იმ 13 მთიან და მაღალმთიან მხარეს შორის, რომელიც საქართველოს გააჩნია. ამ მთების ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების უნიკალური ნიმუშები ხელუხლებელი, ანუ პირველქმნილი ტყეებია. ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი მთები და ტყეები არა მხოლოდ კახეთის მთიანეთში, არამედ საქართველოს მრავალ სხვა ადგილზე შემოგვრჩა. მათ არა მარტო რეგიონული, ან ეროვნული, არამედ გლობალური მნიშვნელობაც აქვთ, რადგან ევროპის ქვეყნებში არა თუ ბუნებრივი, არამედ ხელოვნურად გაშენებული ტყეებიც კი იშვიათია.

კახეთის მთიანი ზონის რესურსი, სამთო ტურიზმის თვალსაზრისით, ამოუწურავია. საჭიროა მხოლოდ შვეიცარიის მსგავსად მოხდეს ამ მაღალმთიანი ზონის ტურისტული რესურსების მეცნიერულ დონეზე შესწავლა-დამუშავება, შედგეს სახელმწიფო პროგრამები და კონცეფციები. ეს ის სფეროა, სადაც ტურისტები საშუალოდ 4-ჯერ მეტ თანხას ხარჯავენ ზღვაზე დამსვენებლებთან შედარებით. სამთო ტურიზმით დაინტერესებულთა რიცხვი წლითი-წლობით იზრდება. ევროპის მთის კურორტები (შვეიცარიის, ესპანეთის და სხვები) ველარ უძლებენ ტურისტების მოზღვაებას. ასეთ დროს მთელ საქართველოში, და მოცემულ შემთხვევაში კახეთის მთიანეთში (მათათუშეთი, ყვა-

რელ-ლაგოდების მთები), არსებული თვითმყოფადი და უნიკალური ბუნებრივი გარემო სრულიად აუთვისებელია ამ თვალსაზრისით.

კახეთში სამთო ტურიზმის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ორგანიზებას კახეთის რეგიონის ხელმძღვანელობა და მისი ტურისტული კომპანიები დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ. ამ საქმეში უნდა ჩაერთოს საქართველოს მთავრობაც, მთიან რეგიონებზე მომუშავე მეცნიერებიც, მთის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერთა აკადემიის კომისიაც, არასამთავრობო ორგანიზაცია «მთის მოყვარულთა კავშირიც» და სხვებიც. ჩვენი ეს შემოთავაზება რომელსაც დეტალურად უფრო ქვემოთ განვიხილავთ, და, რომელსაც კახეთის რეგიონის მთიან ნაწილისთვის სტრატეგიულ არჩევნად მოვიაზრებთ, პირდაპირ ეხმაურება საქართველოს ახალ კანონს «მალალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ» (2015 წლის 16 ივლისი, №4036-რს), რომელშიც დაფიქსირდა საქართველოს მთავრობის განზრახვლება მალალმთიანი რეგიონის განვითარების შესახებ. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კანონი – «მალალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ» 1999 წლის 8 ივნისსაც იყო მიღებული, მაგრამ იმ კანონით გათვალისწინებული დღემდე მთაში არაფერი არ გაკეთებულა. ამ ახალმა კანონმა, ის ძველი, ძალადაკარგულად გამოაცხადა 2016 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, არაოფიციალურად ძალადაკარგული, შეიძლება ითქვას, «მკვდრადმოხილი» ის შექმნის დღიდან იყო.

ძნელია იმის თქმა, და, იქნებ შეუძლებელიცაა, რა ბედი ელოდება ამ ახალ კანონს. იმის თქმა კი ეხლავე შეიძლება, თუ რა ბედი ელოდება ამ კანონით საქართველოს მთას, არა აქვს მნიშვნელობა კახეთის მთიანეთი იქნება იგი, სვანეთის თუ ხევსურეთის. უპირველეს ყოვლისა, ის კითხვა გვიჩნდება, თუ რატომ ეწოდა ამ კანონს მალალმთიანი რეგიონების განვითარების კანონი. საქმე ისაა, რომ მალალმთიან ზონად ითვლება ზღვის დონიდან 2000 მეტრის ზევით, ხოლო ზოგადად მთიანეთი 1000 მეტრის სიმაღლის ზევით მდებარე ტერიტორია. საქართველოს ტერიტორიის 52% ზღვის დონიდან 1000 მეტრი სიმაღლის ზევით მდებარეობს [13, გვ. 190]. მთიანი ტერიტორია იყოფა დაბალმთიან (სიმაღლე 500-1000 მეტრი ზღვის დონიდან. ასეთია მაგალითად, ბორჯომი, საირმე), საშუალომთიან (1000-დან 2000 მეტრამდე ზღვის დონიდან. ასეთია მაგალითად, შოვი, უნერა, ბაკურიანი და სხვ.) და მალალმთიან ნაწილებად (2000 მეტრს ზევით ზღვის დონიდან (ასეთ ადგილებში დასახლებები ცოტა გვაქვს). საქართველოს მთიანი ტერიტორიის 31% 1500-3000 მეტრებს შორის მდებარეობს. ამ ზონაში, უფრო ზუსტად 1600-2400 მეტრ სიმაღლეზე მოსახლეობის მხოლოდ 3,2% ცხოვრობს, 800-დან 1600 მეტრამდე სიმაღლეზე მოსახლეობის 11,8%, ხოლო 800 მეტრ სიმაღლემდე, ე. ი. ვაკე ადგილებში – 85% [13, გვ. 190].

საქართველოს მალალმთიან ზოლში სახელმწიფოს საზღვრები გადის. ასეა სვანეთში, რაჭაში, ხევსურეთში, მთათუშეთში, ლაგოდების მთიანეთში და სხვაგან.

ისინი ნაკლებად დასახლებული ადგილებია, ხშირად გოჯი დაბლობი მინის არმქონე აზიდული მთები და მთაგრეხილები, ციცაბო კლდეები და ხევები. კარგია, რომ მივიღეთ კანონი ამ სასაზღვრო ზოლების ათვისების და განვითარების შესახებ, მაგრამ სასურველი იყო ეს კანონი შეხებოდა არა მხოლოდ მალალ მთებს, არამედ, საერთოდ, მთიანეთს და თუ მასში არ შევიდოდა საქართველოს ტერიტორიის დაბალმთიანი ნაწილი, საშუალო მთიანი ნაწილი მაინც აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო. ასეთი მიდგომით კახეთის მთიანეთიც, და სხვა რეგიონების მთიანი ნაწილებიც გაიყოფა მალალ მთებად და მთისწინეთად, ანუ საშუალო მთიან ნაწილად. ახლადმიღებული კანონი შეეხო მარტო მალალმთიან ნაწილს. ასეთ დროს საქართველოში ორივე მთიანეთს განვითარება სჭირდება. საქართველოს მალალმთიანი რაიონები არც საბჭოთა დროს იყო განვითარებული, მთისწინეთში კი დასახლებებიც იყო და კურორტებიც. ამჟამად დასახლებები (სოფლები) აუტანელი ცხოვრების პირობების გამო, მოსახლეობისგან დაიცალა, კურორტები უპატრონობისგან განიძარცვა და დაინგრა. ასე რომ, გადარჩენის, აღდგენა-განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა სჭირდება როგორც ერთს, ისე მეორეს.

საჭიროებამ მოითხოვა და გადავხედეთ მსოფლიოს მთიანი ქვეყნების – შვეიცარიის, ესპანეთის, კანადის, იაპონიის, გერმანიის, ჰოლანდიის საკანონმდებლო პოლიტიკას. ყველა ამ ქვეყნის კანონი მთასთან მიმართებაში ეხება ქვეყნის მთიანეთს და არა ჩვენსავით მხოლოდ მალალმთიანეთს.

გამოდის, რომ ამ კანონით მთათუშეთი (და არა მხოლოდ მთათუშეთი) ორად გაიყოფა. სახელმწიფო იზრუნებს და გაატარებს განვითარების პოლიტიკას მის 2000 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორიებზე, კერძოდ, ზედა ომალოს, ბოჭორმას, კოკლათს, დიკლოს, შენაქოს, კვაველოს და სხვა სოფლებზე, და 2000 მ-ზე დაბლა მთიანეთს, სოფლებს – ხისოს, დართლოს და სხვას, ყურადღებას არ მიაქცევს. ცხადია, ასეთი პოლიტიკა არ იქნება სწორი. ჩვენი აზრით, ეს კანონი საქართველოს მთიანეთის განვითარებას უნდა ეხებოდეს და არა მხოლოდ მის მალალმთიან რეგიონებს. თუმცა, კანონის ეს საკითხი ადვილად გამოსწორებადი მხარეა. უფრო მნიშვნელოვანი არის კანონში მოცემული მალალმთიანი მხარეების სოციალური შეღავათები. საქართველოს მთიან რეგიონებში მეფობს უგზოობა, უსინათლობა, ინფორმაციული ვაკუმი, დაბალი დონის განათლების სისტემა და სამედიცინო მომსახურება, პრიმატული სოფლის მეურნეობა, განუვითარებელი მრეწველობა, მძიმე ეკოლოგიური ვითარება და ა. შ. და ა. შ., და, ასეთ ადგილებში დასახლებულად ვეპატიჟებით ექიმებს ორმაგი პენსიის დაპირებით, პენსიონრებს სახელმწიფო პენსიაზე 20%-ის დამატებით, მასწავლებლებს ხელფასზე 35%-ის დამატებით, ოჯახებს – პირველ და მეორე ახლადდაბადებულ ბავშვზე ერთი წლის განმავლობაში თვეში ას-ასი ლარის და მესამე და ყველა შემდეგ ბავშვზე 2 წლის განმავლობაში, თვეში ორას-ორასი ლარის გაცემით [14, გვ. 4-5]. ნუთუ, ვინმე, ვისაც წარმოდგენა მაინც

თუ აქვს საქართველოს მთიანეთში ცხოვრების უმძიმეს პირობებზე, ფიქრობს, რომ ეს ის შედეგებია, ის სტიმულებია, რომლებიც მისაღებად ბარში მცხოვრები აიყრებიან ბარიდან და მთაში წავლენ?

საქართველოს მთიანი რეგიონების გადარჩენას და აღორძინებას ასეთი კოსმეტიკური ღონისძიებები არ უშველის. ამისთვის ჩვენ შვეიცარიის პრაქტიკა უნდა გამოვიყენოთ და შეიძლება ითქვას, საქართველოს ბიუჯეტი მთისკენ უნდა შემოვაბრუნოთ. მსოფლიოში აღიარებულია, რომ მთა იყო, არის და იქნება ქვეყნის უდიდესი დასაყრდენი, რადგანაც მფლობელია იმ ურიცხვი, სიმდიდრისა, რომელიც ესოდენ საჭიროა კაცობრიობის არსებობისთვის. სწორედ მთაშია ამოუწურავი რესურსები მტკნარი წყლისა, ტყის მასივების, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა, მინერალური წყლებისა, წიაღისეულისა, ეგზოტიკური ცხოველების და მცენარეულობისა, ულამაზესი ლანდშაფტებისა და კულტურული მემკვიდრეობისა [13, გვ. 136]. თუ ეს არ გვჯერა, იმას მაინც ხომ ჩვენი თვალთ ვხედავთ, რომ მთიანი რეგიონები, რომლებზედაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადის, მოსახლეობისგან დაიცვალა, სოფლები გაუკაცრიელდა და გაჩნდა რეალური შიში მოსაზღვრე ხალხების მიერ ამ ტერიტორიების დაუფლებისა, ასეა კახეთის რეგიონში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სხვაგან.

ასეთ დროს ოჯახებს, რომლებიც მთაში დასახლდებიან (რით, რა სახსრებით დასახლდებიან?) გამრავლების შემთხვევაში ერთი-ორი წლის განმავლობაში ას-ორას ლარს ვთავაზობთ თითო ბავშვზე თვეში. ასე გვინდა ავალორძინოთ მთა? ასეთი დაფინანსებით გვინდა დავასახლოთ მთა? და საერთოდაც ჰქვია ამას შემდგარი სახელმწიფოს სახელმწიფო პოლიტიკა?

საქართველოს მთიანეთის გადასარჩენად და მით უფრო ასაღორძინებლად ამ საქმეს ერჰარდის დარი კაცი უნდა ჩაუდგეს სათავეში, რომელმაც ომით განადგურებული გერმანია რამდენიმე წელიწადში კვლავ მოწინავე ქვეყნების რიგში ჩააყენა. საქართველოში ასეთი კაცი არ მოიძებნა, მაგრამ სპეციალისტთა ისეთი სამთავრობო გუნდის შეკვრას მაინც რაღა უშლის ხელს, რომელთაგან თითოეულს ერჰარდისდარი თითო თვისება მაინც ექნება?

ქართველი მეცნიერი დ. ქარჩავა მთაში დაბრუნებულ ხალხისთვის სახლების აშენებას თვლის საჭიროდ [15, გვ. 32]. ჩვენი აზრითაც ეს აუცილებელია, მაგრამ ამ სოფლების გაშენებამდე უნდა ვიფიქროთ იქ დაბრუნებული მოსახლეობის დასაქმებაზე. საქართველოს მთიანეთში სანედლეულო რესურსები ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობისაა, ანუ იმდენი, რამდენიც მცირე სანარმოთა მოწყობისთვის არის საკმარისი. აი, ამ საკითხებზე უნდა იზრუნოს საქართველოს მთავრობამ და ან თვითონ მოაწყოს ასეთი სანარმოები და მთაში ჩასული მოსახლეობა დასაქმოს, ანდა მათ აამუშავებინოს ისინი გრანტებით, იაფი კრედიტებით და გადასახადებში დიდი შეღავათების მიცემით. ეს შეღავათები უნდა მიეცეს ყველა სამეწარმეო საქმეს. ეს უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ მაღალმთიანეთში, არამედ საერთოდ მთიანეთში, რომლადაც ითვლება

ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე ზევით მყოფი ადგილები.

ეს არ არის მარტო ჩვენი აზრი. ამ აზრის იყო და არის რეგიონალურ პრობლემატიკაზე მომუშავე ყველა მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა შესწავლის მთელი კომისია, რომელიც 1969 წლიდან იკვლევს მთაში არსებულ პრობლემებს და მათ მოსაგვარებლად მეცნიერულად დასაბუთებულ მოსაზრებებს აწვდის საქართველოს მთავრობას. მაგრამ რა? მთავრობაში მათ მიერ შემუშავებულ წინადადებებს არც კი იხილავენ. 1999 წელს დამტკიცებული მთის განვითარების შესახებ საქართველოს კანონი, ისე გავიდა 15-16 წელი, ს აერთოდ არ ამუშავებულა. იგივე ბედი ეწევა ამ კანონებსაც, თუ იგი არ გადამუშავდა და მასში არ შევიდა ისეთი სტიმულები, რომლებიც ნამდვილ, რეველუციურ გარღვევას მოახდენენ საქართველოს მთიანეთის შენარჩუნებასა და აღორძინებაში.

წინამდებარე ნაშრომში კახეთის ბიზნეს-ლანდშაფტებიდან ასეთი გადახვევის გაკეთება იმიტომ დაგვიჭირდა, რომ კახეთის რეგიონის 21%-იც მთიანია და თუ ბარში, ასე თუ ისე, მოსახლეობა რალაცით არის დასაქმებული, კახეთის მთიანი ადგილები მოსახლეობისგან დაიცალა. ამასთან, კახეთის ბარის განვითარებაში სტრატეგიული არჩევანი, რომელიც საგარეო ბაზრისთვის იმუშავებს, მევენახეობა-მელენეობაზე კეთდება. ასეთია ჩვენი აზრი, სხვა მეცნიერების აზრიც და თვით კახეთის მოსახლეობის აზრიც. რაც შეეხება კახეთის მთიანეთს, იქ, ბარის ზონის სტრატეგიული არჩევანის ტოლფასი, თავისი შინაარსით, შემოსავლის სიდიდით და რაც მთავარია, ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფით, არის მხოლოდ სამთო ტურიზმი.

დიახ, სწორედ სამთო ტურიზმი და დიახ, სწორედ თუშეთში!

თუშეთი ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. ბუნებამ თუშეთი დააჯილდოვა უაღრესად მიმზიდველი პეიზაჟების მრავალფეროვნებით. აქ ცადაზიდული ბუმბერაზი მთების ლანდშაფტები შეხამებულია ტყის, ხეობისა და მწვანეხავედროვანი საფარის მქონე გორაკ-ბორცვებისა თუ მცირე ველების წარმტაც სურათებთან და მქუხაზე მდინარეების მრისხანე ტალღების ლაჟვარდოვან პეიზაჟებთან. თუშეთის ბუნებრივ თავისებურ სილამაზესთან ორგანულად შერწყმულია ლამაზი არქიტექტურით, სიპის ქვით ნაშენი და გადახურული საცხოვრებელი სახლებით, ციხე-სახლებით, ციხე-კოშკებით, ციხე-სიმაგრეებით, საომარი ციხეებით, გალავან-ციხეებით, ეკლესია-მონასტრებით, საკულტო ხატ-სალოცავი ნაგებობებით დამშვენებული თუშური ძველი სოფლები, გაშენებული მთის ფერდობებსა და წვერებზე, გორებსა და ვაკეებზე. ამჟამინდელი ოცდათექვსმეტი სოფელი და თვრამეტი ნასოფლარი, დღესაც ამაყად მდგარი ციხე-კოშკები და ციხეთა ნანგრევები თუშეთის გმირული წარსულის უტყვი მატანია. თუშეთის სოფლებს განსაკუთრებით ლამაზ იერ-სახეს აძლევს

თუშური კოლორიტის შენარჩუნებით აღდგენილ ძველ საცხოვრებელ სახლებში, ციხე-სახლებში, ციხე-კოშკებში, ახალ აშენებულ სახლებში გახსნილი კეთილმოწყობილი საოჯახო სასტუმროები.

თუშეთი ორმოცდათექვსმეტი სოფლით მჭიდროდ დასახლებული მხარე ყოფილა. XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან XX საუკუნის 40-50-იან წლებში თუშმა ხალხმა თავისი საცხოვრისი მიატოვა, კახეთში ჩამოსახლდა.

მოსახლეობის გარეშე დარჩენილი საქართველოს ეს ულამაზესი მხარე – თუშეთი, ზამთარში მკვდარ სანახაობას წარმოადგენს. ცოცხლდება მხოლოდ ზაფხულში, როცა კახეთში მცხოვრები თუში ხალხი, თუშეთში თავისი წინაპრების მიტოვებულ საცხოვრის მიაკითხავენ.

ცხოვრების სირთულის მოუხედავად, თუში ხალხი როგორც კახეთში, ისე თუშეთში თავის ოჯახურ და სამეურნეო საქმიანობას შეძლებისდაგვარად მაინც ეწევა. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჩართულია და ძალზე დიდ ინტერესს იჩენენ და შესაბამის საქმიანობას ეწევიან მათთვის არატრადიციული სამეურნეო დარგის ტურიზმის განვითარების საქმეში, ისიც თუშეთში მხოლოდ სეზონურად ზაფხულში. მოსახლეობის ნაწილი – ძირითადად ქალები და ბავშვები ზაფხულში ადიან თუშეთში და იქ ისვენებენ, და შემოდგომას ალვანებში ბრუნდებიან.

დღეს, თუშეთში თუში ხალხის დაბრუნების საკითხი ძალზე აქტუალურია, რადგან თუშეთში ტურისტული რესურსების უდიდესი შესაძლებლობების გამო შესაძლებელია მარალგანვითარებული სამთო ტურიზმის განვითარება. როგორც ტურიზმის, ისე სამეურნეო საქმიანობის დარგების განვითარება ადგილობრივი მაცხოვრებლების გარეშე შეუძლებელი იქნება.

თუში ხალხის კახეთიდან თუშეთში დაბრუნების, მუდმივად დასახლებისა და ამ მხარის აღორძინების ყველაზე დიდი შესაძლებლობა გაჩნდა მაშინ, როცა დაიწყო სოფელი ფშაველი-ომალოს დამაკავშირებელი 72 კმ-იანი სამანქანო გზის მშენებლობა და 1978 წლის 23 სექტემბერს თუშეთის ცენტრში სოფელ ომალოში პირველი ავტომანქანა შევიდა.

მართალია ამ გზის მშენებლობამ თუშეთს გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოუტანა, მაგრამ კახეთიდან თუშეთში მოსახლეობის დაბრუნებისა და იქ მუდმივად დასახლების თვალსაზრისით რაიმე სიკეთე არ მოუტანია. მაგალითად, 1975 წელს თუშეთში მუდმივად ცხოვრობდა 40 კომლი 168 მოსახლით, ხოლო ეს მაჩვენებლები 2009 წელს იყო – 22 კომლი და 25 მოხუცი მოსახლე. ეს მდგომარეობა ძირითადად, დაკავშირებულია იმასთან, რომ აღნიშნული გზა გადადის კავკასიონის ქედზე, ზღვის დონიდან 2970 მეტრის სიმაღლეზე თორღვას აბანოს სერის უღელტეხილზე და დიდთოვლობის გამო წელიწადში შვიდი-რვა თვე გაუვალი ხდება და იკეტება. ასევე იკეტება კავკასიონზე გადასასვლელი უღელტეხილები, საცალფეხო და საცხენოსნო გზა-ბილიკები. ამის გამო თუშეთსა და კახეთს შორის და

პირიქით მოსახლეობის მგზავრობაც წყდება. შვიდი-რვა თვე კახეთთან კავშირის გარეშე ჩაკეტილ თუშეთში ცხოვრება არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ფერხდება თუში ხალხის კახეთიდან თუშეთში დაბრუნება და მისი აღორძინება.

ეს პრობლემა საბოლოოდ, რომ გადაწყდეს, ე. ი. თუშ ხალხს და ტურისტებს მთელი წლის განმავლობაში რომ ჰქონდეთ კახეთსა და თუშეთს შორის, და პირიქით მიმოსვლისა და მგზავრობის საშუალება, აუცილებელია კახეთისა და თუშეთის დამაკავშირებელი მინისქვეშა გვირაბების გაყვანა-მშენებლობა. ერთი გვირაბი გაყვანილი უნდა იქნას მდინარე სტორის ხეობიდან ვერხოვნის ხეობამდე (ფიცრის ქალა), ხოლო მეორე გვირაბი – კახეთის მდ. ალაზნის ხეობიდან (პანკისის ხეობა) თუშეთის მდ. ალაზნის ხეობამდე (ალაზნის თავი).

ამ გვირაბების გაყვანა საბოლოოდ გადაწყვეტს, სამთო ტურიზმის განვითარების და მთლიანად თუშეთის აღორძინების პრობლემას. თუ ეს პროექტი განხორციელდა, მაშინ თუშეთს მუდმივად ეყოლება უცხოელი სტუმარი. იქ განვითარდება სამთო ტურიზმის ახალ-ახალი სახეობები – მთასვლელობა, მეკლდეურობა, სათხილამურო ირაიტიინგი და ფრის-ტაილი, რაფტინგი, პარაპლანერიზმი და სხვა.

კახეთის რეგიონის ხელმძღვანელობას ვაცნობებთ, რომ დაუკავშირდნენ საქართველოს «მთის მოყვარულთა კავშირს», რომელმაც მესტიას, ლენტეხს და ონს მოუმზადა 22 სამთო გიდი, დაკვალა და აღწერა 17 სამთო-ტურისტული მარშრუტი. ასეთი სამუშაოს ჩატარება სჭირდება კახეთის რეგიონსაც მთა-თუშეთისთვის.

კახეთის რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტში ტურიზმის, განსაკუთრებით სამთო ტურიზმის განვითარების მთელი შესაძლებლობა, მთელი სიმდიდრე თუშეთის მთიანეთში დევს. მაგრამ მისი არსებობა, თავისთავად ჯერ არ ნიშნავს პრობლემის გადაწყვეტას. აუცილებელია რეგიონის მესვეურებმა დაინახონ, სწორად შეაფასონ ის, რაც თითქოს დამალული არ არის, მიაგნონ მის გაცოცხლების, თანამედროვე «ტურისტულ ცხოვრებაში» ადაპტაციის ფორმებსა და მეთოდებს ისე, რომ არ დაუკარგონ მას საკუთარი ისტორიული ფასეულობა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუშეთი, რომელიც წინათ მეცხვარეობის მხარედ ითვლებოდა, შეიძლება გახდეს ტურიზმის მხარედ. ამას არ უშველის მხოლოდ მთავრობის პოლიტიკური ნება, ამას სათანადო ინვესტიციებიც სჭირდება.

კახეთის რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის პრიორიტეტებში მესამე და შემდეგი ადგილები სხვა დარგებს უკავიათ, ესენია მესაქონლეობა-მეცხვარეობა, მემარცვლეობა, საადრეო მებოსტნეობა. კიდევ უფრო უკანა ადგილებზეა – მესიმინდეობა, მელორეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მზესუმზირის მოყვანა და სხვა. ყველა მათ ადგილობრივი დანიშნულება აქვთ. რა თქმა უნდა, ისინიც უნდა განვითარდნენ. მაგრამ მათ საექსპორტო პოტენციალი (ანუ რეგიონში უცხოური ვალუტის შემოტანა) არ ექნებათ. დიას,



ქართველ მომხმარებელს სჭირდება ქართული მზესუმზირის ეკოლოგიურად სუფთა ზეთი და ეს კახეთიდან უნდა მიიღოს, სჭირდება ადრეული, ასევე ეკოლოგიურად სუფთა კიტრი და პომიდორი და ეს ლაგოდეხის სოფლებიდან უნდა მიიღოს, სჭირდება კახური ღორის ხორცი და ეს თითქმის გადაშენების პირას მისული კახური ღორის მოშენება-მომრავლებით – კახეთიდან უნდა მიღოს და ა. შ. ბიზნესის ამ სახეების განვითარებას რეგიონის ხელმძღვანელობის მხრიდან, განსხვავებით პირველი ორი სახისგან – მევენახეობა-მელვინეობისა და სამთო ტურიზმი-საგან – მხოლოდ მხარდაჭერა სჭირდება, კერძოდ, ლაგოდეხში სამაცივრე და სასაწყობო მეურნეობის მონაცობა საადრეო ბოსტნეულისთვის, მაღალკონდიციური სათესლე მასალის გამოყვანა მემარცვლეობის და მეკარტოფილეობის ზონებისთვის, ატმის და გარგლის სანერგე მეურნეობების შექმნა კახეთის მეხილეობის ზონებში, პირუტყვის პერიოდული ვაქცინაციის ჩატარება მესაქონელობის ზონებში, აქვე ჯიშთსაშენების და ხელოვნური დათესვის პუნქტების აშენება და ა. შ. ეს ჩამონათვალი არც ცო-

ტაა და არც უმნიშვნელო, მაგრამ კახეთის რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის თავისებურება მაინც პირველი ორი დარგია – ჯერ მევენახეობა-მელვინეობა და შემდეგ სამთო ტურიზმი. პირველის განვითარება რაოდენობრივად, შეიძლება ითქვას დამთავრებულია, ახლა უნდა დაიწყოს მისი ხარისხობრივი სრულყოფა, მეორე კი რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც თავიდან ასაწყობია. ასეთ დროს რეგიონს ტურიზმის უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია. განსაკუთრებით ეს ითქმის მთათუშეთში სამთო ტურიზმის განვითარებაზე. მოსახლეობა ამას თავისი ძალებით ვერ გააკეთებს. ამას რეგიონის ხელმძღვანელების ძალისხმევა სჭირდება და შეიძლება ისიც არ ეყოს...

#### **მანანა ხარხალი**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Коллис Д., Гемават П., Топографическая съемка бизнес-лапдилафта, в книге – курс MBA по стратегическому менеджменту, под ред. Лайм Фаей и Роберт Ренделл, М., 2007.
2. მენარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2008.
3. შენგელია ნ., ინვესტიციების ოპტიმალური გამოყენებისა და თანაფარდობის თავისებურებები, ჟურნ. «ეკონომიკა», №8, 2014.
4. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, თბ., 2014.
5. მენარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2015.
6. ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2009.
7. კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია – 2014-2021 წ.წ., თბ., 2013.
8. ლაზარიაშვილი თ., მევენახეობა-მელვინეობის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში, ჟურნ. «ბიზნესი და კანონმდებლობა», №18, 2010.
9. ტურიზმის სტატისტიკური ანგარიში, მესამე კვარტალი, 2015; საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2015.
10. ჭანტურია მ., ტურიზმი სტრატეგიის გარეშე, ჟურნ. «ბიზნესი და მენეჯმენტი», №2, 2012.
11. არველაძე ნ., WELCOME TO GEORGIA და ტურიზმის განვითარება? ჟურნ. «საქართველოს ეკონომიკა», №9, 2007.
12. [Geworld.ge/wew.php?ArtId=20988&da...](http://Geworld.ge/wew.php?ArtId=20988&da...)
13. საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, თბ., 2010.
14. საქართველოს კანონი «მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ», თბ., 2015.
15. ქარჩავა ლ., ბიზნესგარემო საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, ჟურნ. «ახალი ეკონომისტი», №4, 2012.